



მოლიერი

დრამატული
თხზულებანი



მელონი

მ ო ლ ი ე რ ი

ჟან-ბატისტი მოლიერი, ჩამდვილი გვარის ზოქელებია, დაიბადა 15 იანუარს 1622 წ. ქ. შარიში. ჩამომავლობით უბრალო ხელოსნის შვილი იყო, მაგრამ თავის წრისათვის არა ჩუქულებრივი განათლებას მიიღო. დედა მოლიერის ორნივე განათლებული ქალი იყო და თვითონ ზრდიდა თავის შვილს. მოლიერი ცხრა წლისა იყო, რომ დედა მოუკვდა; რამდენიმე ხნის შემდეგ იგი შინაბრეს იესუიტების ერთერთ სუგეიასოს სარწმუნოებელში, სიდაც ასაღეს და მოლიერმა გულდადებით შეისწავლა ძველი დრამატურების ჩაწერები. მოლიერის მამა მოწადინებული იყო, რომ შვილი მის ზეგაბას დასდებოდა, მაგრამ მოლიერმა ხელ-ხელა უარა დაქმევანა ამ გადაწყვეტილებას და გაემგზავრა არაღესის იურიდიულ მეცნიერების შესასწავლად. ხოლო ამასაც თავი დასხება და რადესაც დაუხლოვდა ერთ არტიტ ქალს, მადლებს ბეჟანს, გადასწყვიტა სუციალებათ სცენასზე შესვლა. მამა კერ წახადმდევი იყო, მაგრამ შემდეგ დასთანხმდა. ეს მოხდა 1643 წელს. მოლიერმა და მადლებამ შეადგინეს არტიტების ამხანაგობა და დაიწეს წარმოდგენების მართვა შარიში. მოლიერმა ბევრი ტანჯვა-წყალებს გამოაარა, რამდენჯერმე

ამხანაგობის კალების გამო ცხეში განხლამ ხსვეს და შერეპე იძულებული გახდა ზარიზიდან ზრფინციაში გადასახლებულყო. 15 წელიწადი გაატარა შოლიერმა მოგზაურობაში; ეს დრო მისთვის შეტად ძელი ასატანი იყო, მაგრამ მისთან დიდათ სსარტებლოც, რადგან სწორეთ ამ ხანში შეიძინა ის ჭეშმარიტი ცოდნა ცხოვრებისა და აღმიაჩებისა, რომელმაც ასე ძლიერათ იზინა თაყი მის გამოქედეში.

1658 წ. მეგობრების დახმარებით შოლიერი და მასი დასი მოიწვიეს ზარიჭში, სდაც დაბინაყდა სსმუღამოთ და ამ დროიდან იწყება მისი დიდებული სსმწერლო მოღვაწეობა.

1659 წ. ზარიზში წარმოდგენილ იქნა მისი გამოქედათ „ზრანჭია ქალები“, რომელმაც ნამდვილი მანიაიესტის შოაბექდილებს მოახდინა მსშინდელ შწერლობასა და სსხოგადოებაზე. ამას მოყვა: „სგანარელი“, სსახუნჯო გამოქედათ იტალიური ტემოფინებაზე დაწერილი, „ქმართა სკოლა“, „ცოდთა სკოლა“, „დარ-ფუზინი“, რამხტიული დრამა, დრამა ზხრით გამსჭვალული, „შიზახთრობი“— ნიშუში კლასიკური გამოქედათ, რომელშიაც სსუცხყოთ არის დაწერილი სსსიათები და სხე-ხვეულებანი, „ტარტიუფი“ ძლიერი და ცოტათი ხალკლანი დრამა, „ამფიტრინი“— ჯადოსური და შოთლოტოური ოცნება, რომელიც დაწერილია ლექსით და გატატებით, „კოიფანგი“, „სკანკინის ცუღლეუტობა“, „შეტნერი ქალები“ „ეჭვით ზუღმეოფი“, რომელიც დასცინის მატეუარა ექიმებს, და შრავალი სხვა. უმოზურესი ყურადღებათ მოლიერმა მიაქცია თანამედროვე ცხოვრებას, მაგრამ ამსთანავე მისი ტმირები კვიხატეერ სსხოგადოთ აღმიაჩს მოქელი მისი ნაკლებევახებით, ტარეპე განსახდურული ჯგობაისა და დროისა.

მოლაიერის „კრიუანგი,“ „მიწანთროპი,“ „დონ-უქანი“ ეკუთვნის ყოველ დროს და ქვეყანას. მოლაიერი უძობდა თავის ზიესეში ზირ-ქოთხეობას, თვალმაცხეობას, წვრილმანობას, ციბიკეობას, ზრანჭიობას, მუსმუსელობას, სარწმუნოებრივ სიყვალბეს და ცრუ-მეცნიერებას. იგი არ ერიდებოდა არც ერთ წოდებას და მის მწკავე კაღამს ვერ ზცდა თვით ძლიერი მეფე ლუი XIV-ც, რომელიც ერთ დროს წყალობის თვალთა უყურებდა მოლაიერს. მოურთიდეებელმა სატირამ მრავალი მტერი შესძინა მადლ წრეს და სამღვდელოებაში, უკანასკნელმა მთელი მანგრობა აამხედრა მოლაიერის წინააღმდეგ და ერთმა ბრიყვმა მღვდელმა ისიც კი სასთჳს მეფეს, რომ მოლაიერი ცოცხლად დაეწვათ.

მოლაიერი გარდაიცვალა 1673 წ. 17 თებერვალს. ას თამაშობდა თავის საკუთარ ზიესეში (ეჭვით ავადყოფი), დაავადყოფიებული ცუდათ შეიქნა, წაიყვანეს სახლში და ერთი საათის შემდეგ გარდაიცვალა.

ჩვენს დარბაზ რეპერტუარში ვერ-ჯერობით მხოლოდ 12 ზიესა მოლაიერისა კადმოთარგმნილი. ამ ზიესებს თარგმნა ეკუთვნის ჩვენს მწერლობაში უკვე - ცნობილ ლიტერატორებს. განსუენებულმა დიმიტრი ყიფიანმა საარგმნა: „ეჭვით ავადყოფი“, *) „სგინარელი ანუ ქმარი, რომელსაც ჭკობია ცოლი მღაღატომსო“, „მღაღ ცოლის შერთვევინება“, „სიყვარული მკურნალობის“ ** და „სიყვარული მხატვრობის“. აკაკი წერეთელმა — „სკანების ცუდლუტობა“

*) ამ ზიესის მეორე თარგმანი ეკუთვნის ივ. მაჩაბულა, რომელიც ამ კრებულში იბეჭდება.

ავ. მახანგელმა — „ეჭვით ზუამყოფი“. ზეტერბურგის უნა-
ჰუნსტატის ქანთუელ ს(უ)დენ(უ)ბმა იუ. მახანგელის რედქ-
ტორაბით — „კრიჭანი“, იუ. მაჭყვარიანმა — „ტარტიუფი“
და „ქმართა სკოლა“. ს(უ) ჭრელაშვილმა — „დონეუანი“.
გიორგი თუმანიშვილმა — „ყოფილ დანდნი“*), „ზნანქია ქა-
ლუბი“ — ელენე ღორაქიფანიძისა (დიმ. ყიფიანის ასული).
ჯორ კიდეუ ბეურნი ზიესუბი დაკვირსა მოღუერისა კადმოიან-
გმხელი და იმედია, ყეყლა თუ ანა, სოჯიერთი ზიესუბა
მანტ კადმოიანგმხენა, შ(უ)დრე „მანსანტრონი“, „ამოვა(უ)-
რიანი“ და „ცოლათა სკოლა“.

*) მეორე თარგმანი ეკუთვნის სერგეი მესხს. დაბეჭდილია
„დროებაში“. ამ კრებულში გ. თუმანიშვილის თარგმანი იბეჭდება.

პირველი მოქმედება.

გ ა მ ო ს ვ ლ ა პ ი რ ვ ე ლ ი

ვალერი და ელიზა.

ვალერი. რათ გადაგკვრია ღრუბელი მაგ მშვენიერს სახეზედ, საყვარელო ელიზა? ნუ თუ ნანობ, რომ ჩემმა მხურვალე სიყვარულმა შენ ეგ ფიცი გაგაბედვინა?

ელიზა. არა, ვალერ, მე მაგას არა ვნანობ და არც თავის დღეში შევინანებ, რომ ჩემის სიტყვებით მე შენ გასიამოვნო რამე. თუ კი შენ ჩემის გულისათვის თავი დაანებე შენს ოჯახს და აქ: ამ უცხო ქვეყანაში ჩემთან ყოფნისთვის არა სთაკილობ მამაჩემს მოსაშსახურეთ დასდგომოდი და ყოველი იმისი უცნაური სურვილი აგესრულებინა. ნუ თუ მე მაგიერი არ უნდა გადავიხადო? მაგრამ მე დარწმუნებული არა ვარ. რომ სხვებმაც ჩემის თვალით შემოგხედონ.

ვალერი. ეგ სულ მეტია, რაც ეხლა ჩამოსთვადე: მხოლოდ ჩემი სიყვარულია შენის ყურადღების ღირსი.

თუ ხალხის ყაყანისა გეშინიან, თითონ მამა-შენივე კისრულობს ქვეყნის თვალში გაგამართლოს. იმის სიკრიჟანგე, იმის ჟანგიანი ქცევა თავის შვილებთან უფრო გასაკვირველ საქმეს გააბედდინებს კაცსა.

ელიზა. ეგ ყველა კარგი, ვალერი, მაგრამ რატომ არ ეცდები ჩემი ძმა მიიმხრო? იმის შეწვენა საჭირო იქნება ჩვენთვის.

ვალერი. ორივეს გაძლოლა ძნელია. მამისა და შვილის ხასიათი ისე შორი-შორს არის ერთმანეთთან, რომ მათი ერთად მოთავსება შეუძლებელია. მაგრამ შენ კი შენის მხრით ეცადე შენს ძმასთან, და თქვენ ისეთი სიყვარული გაქვსთ ერთმანეთისა, რომ არა მგონია, რომ არ დაიყოლიო და ჩვენი მხარე არ დააქერინო. აგერ, ისიც მოდის. მე წავალ. ეხლა ლაპარაკისათვის დრო გაქვს, მაგრამ იმის მეტს კი ნურას ვაღუმხელ; რასაც საჭიროდ დაინახავ.

ელიზა. არ ვიცი შევიძლებ ამ ამბის გამხელას თუ არა.

გამოსვლა 2.

კლევანტი და ელიზა.

კლევანტი. რა მოხარული ვარ, რომ აქ მარტოსა გხედავ დაო. გაცხარებული დაგეძებ სალაპარაკოდ და მინდა ერთი საიდუმლოება გაგიმხილო.

ელიზა. მე მზათა ვარ ყური დაგიგდო.

კლევანტი. ჩემი საიდუმლოება ქრისტის სიტყვაშია მოქცეული: მე მიყვარს.

ელიზა. შენ გიყვარს?

კლევანტი. სწორეთ, მე მიყვარს ერთი ქმნილება. შე ვიცი მამა მყავს და როგორც შვილი უნდა დავემორჩილო. მე ვიცი, რომ მშობელთ დაუკითხავად არავის სიყვარული არ უნდა გამოვეუცხადო. მე ვიცი, რომ ზეცამ ისინი დანიშნა ჩვენის სურვილის ბატონათ დამათ უნებურათ არც ერთს ჩვენს გულის-წადილს არ უნდა მივდიოთ. იმათ სიყმაწვილის ცეცხლი არ უღვივის გულში და ჩვენზედ უფრო ძვირად შესცდებიან, ჩვენს შესაფერს ჩვენზეთ უკედ ხედვენ, ჩვენ უფრო იმათ გამოცდილებას უნდა დავუჯეროთ, ვიდრე ჩვენს გნებათ ღელვას; ხშირათ ყმაწვილური გატაცება ბნელ უფსკრულში ჩაგვყრის ხოლმე. მე ეს ყველა ვიცი და ამიტომ ჩამოგითვალე ყველაფერი ესე დაწვრილებით, რომ შენ თავი აღარ შეიწუხო ამის გამეორებაზედ: ეგ ტყუილი შრომა იქნება: ჩემი სიყვარული ბრმა და ვთხოვ ყველა საყვედურს თავი დაანებო.

ელიზა. ჯერ შენი საყვარლისთვის სიტყვა ხომ არ მიგიცია?

კლევანტი. ჯერ არა, მაგრამ მე ეგ გადაწყვეტილი მაქვს და განმეორებით ვთხოვ, ნუ მოინდომებ ამ გადაწყვეტილებაზედ უარი მათქმევინო.

ელიზა. განა ეგრე მიცნობ?

კლევანტი. არა დაო, მაგრამ შენ ჯერ არაფერს გიყვარს; შენ არ იცნობ იმ ტკბილ ძალას, რომლითაც

სიყვარული ჩვენს გულზედა მეფობს. მე მეშინიან შენის განკიცხვისა.

ელიზა. დავეხსნათ, ძმაო, განკიცხვაზედ ლაპარაკს; ვინ არის იმისთანა, რომელიც ერთხელაც არის თავის გრძნობას არ გაეტაცოს? მე რომ ჩემი გული გადმოგიშალო, იქნება შე შენზედ უფრო გატაცებული გეჩვენო.

კლევანტი. ღმერთმა ჰქნას, რომ შენც მაგ ცეცხლს...

ელიზა. ჯერ შენი საქმე გავათაოთ. აბა მითხარ, ვინ არის შენი საყვარელი?

კლევანტი. ის არის ერთი უმაწვილი ქალი, რომელიც დიდი ხანი არ არის, რაც ჩვენში სცხოვრობს. შეუძლებელია იმის მნახველს იმის სიყვარული არ ჩაუვარდეს გულში. ბუნებას იმაზედ ტურფა ქმნილება არ გაუჩენია. ვნახე თუ არა, მაშინვე აღტაცებაში მოვფედი. სახელად ჰქვია მარინა; მარტო დედა-ლა ჰყავს, ერთი საწყალი დედა-კაცი, რომელიც სულ ავათ-მყოფობს და რომელსაც ეს ნაზი ქმნილება ისე უფლის და უფრთხილდება, რომ ვერ წარმოიდგენ; რასაც კი ხელს მოჰკიდებს, ყველას ხალისიანათ, მადიანათ აკეთებს. ყოველ იმის საქმეში გამობრწყინავს იმის სიმშვენიერე, იმის მიმზიდველი თავაზიანობა, იმის მომხიბვლელი გულკეთილობა, იმის გასაოცრათ პატიოსანი ქცევა, იმის... ახ, დაო, ნეტავი კი შენ ის გაჩვენა!

ელიზა. იმის გასაცნობათ ეგეცა კმარა, რაც მითხარ. მე ვგრძნობ, რაც უნდა იყოს, რაკი შენ ის ეგრე გიყვარს.

კლევანტი. მე შევიტყე, რომ ისინი ღარიბები არიან.

წარმოიდგინე, რა სასიამოვნო უნდა იყოს, უშველო იმას, ვინც გიყვარს და იმის გაუგებლათ შეუმსუბუქო გაკირვებული მდგომარეობა. ეხლა წარმოიდგინე, რა სიმწარეა ჩემთვის, რომ მამი-ჩემის სიძუნწით მოკლებული ვარ ამ სიამოვნებას; მე საქმით ვერ ვუმტკიცებ ჩემს სიყვარულს იმ მშვენიერ ქმნილებას.

ელიზა. ვხედავ, ვხედავ, ძმაო, შენს მწუხარებას.

კლემენტი. ოჰ, დაო, ჩემს მწუხარებას საზღვარი არა აქვს. ერთი მითხარ, ასე სასტიკად მოქცევა გაგონილა! ხედავ როგორ თვალ-ყურს გვაღვევებენ, რომ მეტი არა დაიხარჯოს-რა ჩვენზედ; როგორა გვტანჯავენ და გვაწვალებენ ამ უზომო სიძუნწით, ერთის სიტყვით, მე შენთან ლაპარაკი იმიტომ მინდოდა, მეთხოვნა, მამა-ჩემი ერთად გამოგვეკითხა: ვნახოთ რას იტყვის ამ საქმეზე და თუ წინააღმდეგი გამიხდა, მაშინ გადავიკარგები სადმე, იმ ქალთან ერთად ვიცხოვრებ როგორც ღმერთი შეგვაძლებინებს: მე ამ აზრით ყველგან ვაძებნინებ სასესხებელს ფულს; თუ შენი საქმე ჩემსასა ჰგავს, და თუ მამა-ჩემი ორივეს სურვილს წინააღმდეგა, ორივენი მოვშორდეთ და განვთავისუფლდეთ ამ ტანჯვისაგან, რომელშიაც მაგისმა უზომო სიძუნწემ ჩაგვყარა.

ელიზა. მართლა რომ მამა-ჩვენმა ისე გაგვიხადა საქმე, რომ ყოველ-დღე დედა-ჩემს გვანატრებს და...

კლემენტი. იმის ხმა მოსმის. პატარა ხანს. თავი მოვირიდოთ და ისე გავათაოთ ჩვენი ლაპარაკი.

გამოსვლა 3.

ჰარპაგონი და ლაფლეში.

ჰარპაგონი. ეხლავ აქედან დაიკარგე და აღარ გაბედო სიტყვის შემობრუნება, გაეთრიე აქედან ეხლავე შე წუწკო, შე ჩამოსაღრჩობო.

ლაფლეში. (აქათ) ამ წყეული ბებრისთანა არა მინახავს-რა. თუ ამას გვამში ეშმაკი არ უზის და მე აღარა ვიცი-რა.

ჰარპაგონი. რას ბუტბუტებ მანდა?

ლაფლეში. რისთვის მაგდებ კარში?

ჰარპაგონი. განა მაგის მიზეზსაცა მკითხავ, შე არამზადა? წადი აქედან, თორემ უსიკვდილო ვერ გადამირჩები.

ლაფლეში. რა დავაშავე შერე სასიკვდილო?

ჰარპაგონი. ის დააშავე, რომ აქედამ უნდა გახვიდე.

ლაფლეში. ბატონო, თქვენმა შვილმა მიბრძანა აქ მოვუცადო.

ჰარპაგონი. წადი და ქუჩაში მოუცადე; ჩემს სახლში კი ნულარ დგებარ ეგრე ჯირკვიით გაჩერებული, რომ შეიტყო! რა ხდება და მასუკან გამოიყენო მე არ მინდა, რომ მუდამ-თვალ-წინ ჩემის საქმეების მზევრავათ ერთი მოღალატე მყავდეს, რომელიც თავის დასაბრმავებელის თვალებით ყოველ ჩემ საქმეს დაშტერებია, თვალებითა სჯამს, რაც რამ მახადია, და ყველგან გაფა-

ციცებული იცქირება, რა არის მოსაპარავი, ხომ არსად რა იქნება.

ლაფლეში. მოსაპარავი, ასე გგონია ეგრე ადვილი იყოს! განა თქვენ ადვილათ გასაქურდი კაცი ხართ? აილაფერი დაკეტილში გაქვთ შენახული და დღე-ღამე უარაულობთ.

ჰარპაგონი. რასაც მინდა დაკეტილში შევინახავ და რასაც მინდა, ვუყარაულებ. გაგონილა ამისთანა ჯაშუში კაცს სახლში ჰყავდეს და ყოველისფერს თვალი ადევნოს? (იქათ) ვაიმე თუ ჩემის ფულისაც შეიტყო რამე. (ხმს-მადლა) შენ ისეთი კაცი ხარ, რომ წახვალ და ქვეყანას მოსდებ, ვითომ მე ფული მაქვს დამალული.

ლაფლეში. თქვენ ფული გაქვთ დამალული?

ჰარპაგონი. მაგას ვინ გეუბნება, შე მხეცო?! (იქით) ბრაზი მომდის! (ხმს-მადლა) მე იმას გეუბნები, რომ შენისთანა ვირ-ეშმაკს არ გაუკვირდება ტყუილი ხმები დამიყაროს.

ლაფლეში. ერთი მითხარით. ვის რა ენაღვლება, ფული გაქვთ, თუ არა გაქვთ? ჩვენთვის სულ ერთი არ არის?!.

ჰარპაგონი. (ხელს ასწევს ლაფლეშის საჯის კასარ-ტყეილათ) შენც სჯაში ერევი? მე გიჩვენებ, სჯა როგორ უნდა, როცა მაგ ყურებს აგიწიწკნი. გასწი, აქედან დაიკაგე!

ლაფლეში. აჰა, მივდივარ!

ჰარპაგონი. მოიცა, თან ხომ არა მიგაქვს-რა?

ლაფლეში. თან რა უნდა მიმკონდეს?

ჰარპაგონი. მოდი ერთი დაგათვალიერო. გაშალე ხელები.

ლაფლეში. აჰა, აჰა.

ჰარპაგონი. მეორე?

ლაფლეში. მეორე?

ჰარპაგონი. ჰო, მეორე.

ლაფლეში. აჰა, მეორეც.

ჰარპაგონი. (ღაფლუმს შარვაღსედ უჩვენებს) ამაში რა გიღევს?

ლაფლეში. თქვენ თითონ ნახეთ, რაც მიღევს.

ჰარპაგონი. (შარვაღს უშინჯავს) ეს განიერ შარვლიანები თავიანთივე შარვლით უნდა ჩამოახრჩონ; ყველა ნაქურდალის დამალვა შეიძლება ამაში.

ლაფლეში. ამისთანა კაცს ის უნდა მოუვიდეს, რისაც ეშინიან. რა მადლი იქნებოდა ამის გაქურდვა!

ჰარპაგონი. რაო?

ლაფლეში. როგორა?

ჰარპაგონი. გაქურდვაზედ რას ამბობ?

ლაფლეში. იმას ვამბობდი, რომ ყველგანა მჩხრეკავთ. გინდათ შეიტყოთ, ხომ არა მოგპარეთ-რა.

ჰარპაგონი. მნებაეს და გჩხრეკავ. (ჯიბეებში ხელს ჩაუკეთავს).

ლაფლეში. (იქით) ღმერთმა დასწყევლოს ძუნწი კაციცა და სიძუნწეც!

ჰარპაგონი. რაო, რას ამბობ?

ლაფლეში. რას ვამბობ?

ჰარპაგონი. ჰო, რას ამბობ ძუნწს კაცზე და სიძუნწზე?

ლაფლეში. მე ვამბობ, რომ ღმერთმა დასწყევლოს ძუნწი კაციცა და სიძუნწეცა მეთქი.

ჰარპაგონი. ვიზედ ამბობ შენ მაგას?

ლაფლეში. ძუნწს კაცზედ.

ჰარპაგონი. ვინ არის მერე ძუნწი?

ლაფლეში. ძაღლი და ღორი; მე რა ვიცი ვინ არის...

ჰარპაგონი. არა, ვიზედ ამბობ მერე მაგას?

ლაფლეში. თქვენ რაო, ვიზედაც ვამბობ.

ჰარპაგონი. შე რაც მგონია ის მე ვიცი, მაგრამ ნე მინდა შევიტყო, ვის ეუბნებოდი, ეხლა რასაც ლაპარაკობდი?

ლაფლეში. მე ვეუბნებოდი... ჩემს ქუდას.

ჰარპაგონი. მაშ მე თუ კაცი ვარ, შენს ყბებს გამოველაპარაკები.

ლაფლეში. დამიშლით განა, ძუნწი კაცი დავსწყევლო?

ჰარპაგონი. მაგას მე არ დაგიშლი, მაგრამ ყბედობას და თავხედობას გადაგაჩევევ, თუ კაცი ვარ.

ლაფლეში. მე არავინ დამისახელებია.

ჰარპაგონი. კიდევ! გაულახავი ვერ მოპირჩები, თუ კიდევ ხმა ამოგიღია.

ლაფლეში. ვისაც ნიორი არ უქამია, პირი როდი აუყროლდება.

ჰარპაგონი. აღარ გაჩუმდები?

ლაფლეში. ბარემ სათქმელი ბევრი მაქვს, მაგრამ უნდა გავჩუქდე, მეტი რა გზა არის!

ჰარპაგონი. რაო, რაო?

ლაფლეში. (აჩვენებს თავის კურტკის ჯი უს) აი ერთი ჯიბე კიდევ, არ გეყოფათ ახლა?

ჰარპაგონი. მაშ მოიტა, ზომეცი, ნულარ გამაშინ-ჯვინებ...

ლაფლეში. რა უნდა მოგცეთ?

ჰარპაგონი. რაც ჩვენგან მიგაქვს.

ლაფლეში. მე თქვენგან არა მივაქვს-რა.

ჰარპაგონი. მართლა?

ლაფლეში. მართლა.

ჰარპაგონი. მაშ წადი ჯანდაბას.

ლაფლეში. (იქით) კარგათ არ მისტუმრებს!!.

ჰარპაგონი. შენს სინილისზე მიმიგდიხარ. მაშ, შენს სინილისზე მიმიგდიხარ.

ბამოსვლა 4.

ჰარპაგონი მარტო.

ლამის ჯავრით გაშხეფქოს ამ სათოკე ბიკმა; არაფრათ არ მექაშნიკება აქ წუწკი ძაღლის აქ გდება. მართლა რომ ძნელი ყოფილა სახლში ბევრი ფულის შენახვა. ბედნიერი ის არის, ვისაც თავის ქონება კარგათ აქვს გაცემული და შინ მარტო სახარჯო ფულს ინახავს. ძალიან გასაკირია კაი შესანახავი ალაგი იპოვო, თუნდ მთელს სახლში; რკინის ზანდუკებისა. მეშინიან, ვერ ვენდობი. ისინი მე ქურდების მახეთ გამო-მადგებიან, პირველათ იმათ მისცვივიან.

გამოსვლა 5.

ჰარპაგონი, ელიზა და კლევანტი ერთმანეთს ელაპარაკებიან სცენის უკან.

ჰარპაგონი. (თაფის თავი შარტო ჰგონია) არ ვიცი, კარგათა ვქენ, რომ ბალში ჩაფთალი ის ათასი თუმანი, გუშინ რომ დამიბრუნეს თუ არა? ათასი თუმნის ოქრო შინ შესანახავათ დიდი... (ღინჯსავს ეღმისას და კლევანტს და თაფისაფის იტყვის) ვაიმე, მე ჩემი თავი თითონვე გამომხელია. გავცხარდი და შგონი ხმა-მალლა ლაპარაკი დავიწყე. (კლევანტს და ეღმისას) რა გინდათ თქვენ აქა?

კლევანტი არაფერი, მამა.

ჰარპაგონი. დიდი ხანია, რაც მანდა დგეხართ?

ელიზა. ეს არის ეხლა მოვედით.

ჰარპაგონი. თქვენ გაიგონეთ...

კლევანტი. რა?

ჰარპაგონი. ის...

ელიზა. რა?

ჰარპაგონი. რაცა ვთქვი.

კლევანტი. ჩვენ არა გავეიგონია-რა.

ჰარპაგონი. როგორ არა, როგორ არა!

ელიზა უკაცრავათ, მამა.

ჰარპაგონი. მე კარგათა ვხედავ, რომ ჩემის სიტყვებისათვის თქვენ ყური მოგიკრავთ. მე იმაზედ ელაპარაკობდი, რომ ეხლანდელს დროში ძნელია ფულის შოვნა და ვამბობდი, რომ ბედნიერია, ვისაც სახლში ათასი თუმანი უძევს მეთქი.

კლენტი. ჩვენ ფეხ-აკრეთით იმიტომ მოვდიოდით, რომ თქვენი ლაპარაკის დაშლას ვერიდებოდით.

ჰარპაგონი. მე მიხარო, რომ ეს გაგაგებინეთ, თორემ შეიძლებოდა საქმე მრუდეთ გჩვენებოდათ და გეფიქრათ, რომ ვითომ მე მქონდეს ათასი თუმანი ფული.

კლენტი. თქვენი საქმეები ჩვენ რას შეგვცხება.

ჰარპაგონი. ახ, ნეტავი ერთი ათასი თუმანი მქონდეს.

კლენტი. მე არა მგონია...

ჰარპაგონი. ურიგოთ არ მოვიხმარებდი.

ელიზა. ეგ უბრალო...

ჰარპაგონი. სწორედ რომ მექირვება ათასი თუმანი.

კლენტი. მე მგონი რომ...

ჰარპაგონი. გამაკეთებდა, გამამდიდრებდა...

ელიზა. თქვენ ხართ...

ჰარპაგონი. მაშინ ჩივილს არ დავიწყებდი და არ ვიტყვოდი, საძაგელი დრო დაგვიდგა მეთქი.

კლენტი. მაინც არც ეხლა შეგშვენის ჩივილი: ყველამ იცის, რომ თქვენ სამყოფი გაქვთ.

ჰარპაგონი. როგორ თუ სამყოფი მაქვს! ტყუის, ვინც მაგას ამბობს!.. ეგ რა დასაჯერებელია! სულ ავაზაკები არიან, ვინც მაგისთანა ხმებს ავრცელებენ.

ელიზა. რისთვისა ჯავრობთ ბატონო?

ჰარპაგონი. როგორ არ გავჯავრდე, რომ ჩემი ღვიძლი შეილები მლალატობენ და მტრათ მიხდებიან.

კლენტი. განა ის მტრობაა, რომ გითხრათ სამყოფი გაქვთო?

ჰარპაგონი. მაშ რაა? ეგ სიტყვები და თქვენგან ფულების ხარჯვა, იცით, რას დამმართებენ? მოვლენ ერთ დღეს და ყელს გამოქპრიან; ასე ეგონებათ სულ ოქროებში ვზივარ.

კლევანტი. რა ბევრ ფულებს შე ვხარჯავ!

ჰარპაგონი. რა ფულებსა?! ის რა არის, რომ შორ-თულ-მოკახმულ ეტლით ქალაქში დასეირნობ? გუშინ შენი და მაგის გულისათვის დავტუქსე, მაგრამ შენ კიდევ გადააქარბე. განა ღმერთი აიტანს მაგასა?! რაც თავით ფეხამდე გაცვიათ, ყველა რომ ვიანგარიშოთ, ღარიბ კაცს გაამდიდრებდა. ათასჯერ მითქვამს შენთვის, კლევანტი, რომ შენი ქცევა თვალში არ მომდის. გაგიჟებით გინდა დიდ-კაცს დაემსგავსო და ეგრე მდიდრულათ იცვამ და იხურავ, ალბათ ჩემგან მოპარულის ფულით.

კლევანტი. როგორ თქვენგან მოპარულის ფულით? ქალღალდა ვთამაშობ და ამ თამაშობაში ვიგებ და რასაც ვიგებ, ყველაფერს ჩემზედა ვხარჯავ.

ჰარპაგონი. ძალიან ცუდათ გიქნია. თუ თამაშობაში ბედი გაქვს, უნდა მოხმარებაც იცოდე; უნდა წესიერი სარგებელით გასცე მოგებული ფული, რომ ერთ დროს გამოგადგეს. სხვაზე არას გეტყვი, ერთი ეს შემეტყობინე, რა ეშმაკათ გინდა ეს ლენტები თავით ფეხამდე რომ დაგკონწიალობენ; ნახევარი დიუჟინი ქინძისთავი არ კმარა ამ შარვლის დასაჩაგრებლათ?! დიდათ საჭიროა პარიკებზე ფულის დახარჯვა, როდესაც შენი ოხერი თმა თავზედ ამოგდის უფასოთ, უარარაოთ.

თუნდა დაგენაძლევებით, რომ ამ ლენტეხზე და პარიკებზე ექვს თუმანზე მეტია დახარჯული და თუმანი მანეთათაც რომ გასცე წელიწადში, აი შენი ექვსი მანეთი.

კლევანტი. მართალსა ბრძანებთ.

ჰარპაგონი. თავი დავანებოთ მაგას. ახლა სხვა საქმეზე ვილაპარაკოთ. (ჯაისახავს, რომ კლევანტი და ელანა კრამანკას რადგან ასიშნებენ და იტყვის თავისთვის) მგონია ერთმანეთს ანიშნებენ, ქისა მოვპაროთო. (ხმა-მადლა) რაო, რას ანიშნებთ?

ელიზა. ორივეს თქვენთან რაღაც სათქმელი გვაქვს და ერთმანეთს ვაქებებთ, არა ჯერ შენ უთხარი, არა ჯერ შენაო.

ჰარპაგონი. მეც მაქვს რაღაც სათქმელი თქვენთან.

კლევანტი. ჩვენ ქორწინებაზე უნდა მოგახსენოთ რამე.

ჰარპაგონი. მეც მაგაზე მინდა მოგელაპარაკოთ.

ელიზა. ოჰ, მამა-ჩემო!

ჰარპაგონი. რასა ჰყვირი?

კლევანტი. ჩვენ გვეშინიან ქორწინებისა, მხოლოდ მაშინ, თუ თქვენ მოინდომებთ თქვენებურათ საქმის გარიგებას. ჩვენ გვეშინიან, ვაი თუ ჩვენი გული თქვენს არჩეულს ვერ შეეთვისოს.

ჰარპაგონი. ცოტა მოთმინება იქონიეთ. ნუ შეგეშინდებათ, მე ვიცი ორივეს რაც გეჭირვებათ და არც ერთი არ დაიწუნებთ ჩემს არჩეულს. დავიწყოთ თავიდან. (კლევანტს) ხომ არ გინახავს ერთი ყმაწვილი ქალი, მარინა, აქვე ახლოს რო დგას?

კლევანტი. როგორ არა, მამა.

ჰარპაგონი. შენა?

ელიზა. მეც გამიგონია.

ჰარპაგონი. როგორ, მოგწონს შენ ის ქალი?

კლევანტი. ჩინებული ქალია.

ჰარპაგონი. სახით როგორია?

კლევანტი. მშვენიერი, ჭკვიანი სახე აქვს.

ჰარპაგონი. შეხედულობა და ქცევა?

კლევანტი. საუცხოვო.

ჰარპაგონი. როგორ გგონია, იმისთანა ქალი ღირსი არ არის, რომ კაცმა იმაზე თვალი დაიკიროს?

კლევანტი. სწორეთ ღირსია, მამა.

ჰარპაგონი. არც დასაწუნი საცოლოა.

კლევანტი. დასაწუნი კი არა, სანთლით მოსაძებნია.

ჰარპაგონი. სახეზედ ეტყობა, რომ სახლისა კაი გაძლოდა უნდა იცოდეს.

კლევანტი. მართალსა ბრძანებთ.

ჰარპაგონი. იმისი ქმარი იმის კვაყოფილი დარჩება.

კლევანტი. უეკველა-თ

ჰარპაგონი მარტო ერთია სამძიმო: მე არა მგონია იმდენი ჰქონდეს, რაც საკიროა.

კლევანტი. მზითევს როდი უნდა მიჰხედოს კაცმა, როცა პატიოსან ქალს ირთავს.

ჰარპაგონი. მაგას სტყუი, სტყუი, მაგრამ ისიც კია, რომ თუ რაც საკიროა იმდენი არა აქვს, სხვა გზით შევიძლებ მზითევის შესრულებას.

კლევანტი. რასაკვირველია.

ჰარპაგონი. მე მიხარიან, რომ თქვენ ყველაფერზე მეთანხმებით. იმისმა პატიოსანმა ქცევამ და კეთილ-მა ხასიათმა გულში ისარი გამიყარა და მე გადავწყვიტე ის ცოლათ შევირთო, თუ მზითევი აქვს რამე.

კლენტი. ეჰე!

ჰარპაგონი. რაო?

კლენტი. თქვენ გადასწყვიტეთ...

ჰარპაგონი. მარინას შერთვა.

კლენტი. ვინა! თქვენა, თქვენა?

ჰარპაგონი. ჰო, მე, მე... რა მოგდის, ერთი მითხარი.

კლენტი. არაფერი: უცბათ თვალებზე ბინდი გადამეკრა; უნდა წავიდე აქედან.

ჰარპაგონი. მაგიტ არა გიკირს-რა. წადი სამზარეულოში, ერთი კიკა ცივი წყალი დალიე.

გამოსვლა 6.

ჰარპაგონი და ელიზა,

ჰარპაგონი. რა სნეულები არიან ეხლანდელი ყმა-წვილები! ქათმის ღონე არა აქვთ. აი, შვილო, ჩემი გადაწყვეტილება. შენს ძმასაც ერთი ქვრივი მინდა შეერთო, რომელზედაც დღეს დილით მელაპარაკენ. შენ კი ანსელმს მინდა მიგათხოვო.

ელიზა. ანსელმსა?!

ჰარპაგონი. ჰო, ანსელმსა; კაცს მოწიფულს, ჰკვიანს და გონიერს; ორმოც-და-ათი წლისა ძლივს იქნება და შეძლებასაც კარგს უქებენ.

ელიზა. (თავს დაუკრავს) თუ თქვენი ნებაც იქნება, მე მსურს გაუთხოვარი დავრჩე.

ჰარპაგონი. (გააჯვარებს ელიზას) თუ თქვენი ნებაც იქნება, ქალ-ბატონო, მე მსურს გაგათხოვოთ.

ელიზა. (თავს დაუკრავს კიდევ) ნურას უკაცრავათ ბატონო.

ჰარპაგონი. (კიდევ გააჯვარებს) ნურას უკაცრავათ, ქალბატონო.

ელიზა. მე დიდი პატივის-ცემა მაქვს ბატონ ან-სელმისა, მაგრამ (თავს დაუკრავს); თუ თქვენი ნებაც იქნება, მე იმას ვერ შევირთავ.

ჰარპაგონი. მეც თქვენი დიდი პატივის-ცემა მაქვს, მაგრამ (გააჯვარებს), თუ თქვენი ნებაც იქნება, ამაღამვე იმაზე ჯვარს დაიწერთ.

ელიზა. ამაღამვე!

ჰარპაგონი. დიად, ამაღამვე.

ელიზა. (თავს დაუკრავს) ვე შეუძლებელია, მანა-ჩემო.

ჰარპაგონი. ეს შესაძლებელია და მოხდება კიდევ, ქალბატონო.

ელიზა. ვერ მოხდება.

ჰარპაგონი. მოხდება.

ელიზა. ვერა, მეთქი.

ჰარპაგონი. ჰო, მეთქი.

ელიზა. მაგაზე თავის დღეში ვერ დამიყოლიებთ.

ჰარპაგონი. მაგაზე მე თქვენ დაგიყოლიებთ.

ელიზა. მე სიკვდილს ვარჩევ მაგისტანა ქმრის ჩთვის.

ჰარპაგონი. არც სიკვდილს არჩევ და შეირთავ. კიდევ. დახედეთ ამ უსირცხვილოსა; უნახავს ვისმე, რომ ქალი თავის მამას ასე თავს უყადრებდეს?!

ელიზა. ის ვილას უნახავს, რომ მამა თავის ქალს ასე ათხოვებდეს?

ჰარპაგონი. ის იპისთანა კაცია, რომ წინააღმდეგს ვერაფერს იტყვის; მე, მე დარწმუნებული ვარ, რომ ყველა მოიწონებს ჩემს არჩეულს.

ელიზა. მე კი დარწმუნებული ვარ, რომ არავინ არ მოიწონებს, ვისაც გოგრა ცარიელი არა აქვს.

ჰარპაგონი. (ღაინახავს ვაჟებს შორიღამ) აი ვალერი: გინდა ამ საქმეში ეგ შუამდგომლათ ჩამოვაყენოთ მე და შენ შუა?

ელიზა. ბატონი ბძანდებით.

ჰარპაგონი. მერე იმის გადაწყვეტილებას დათანხმდები?

ელიზა. დაეთანხმდები.

ჰარპაგონი. მაშ კარგი.

გამოსვლა 7.

ვალერი, ჰარპაგონი და ელიზა.

ჰარპ. აქ მოდი ვალერ. მე და ჩემმა ქალმა შენ შუა კაცათ ამოგირჩიეთ. შენ უნდა გაარჩიო, ვინ არის მტყუანი და ვინ მართალი.

ვალ. რაღა თქმა უნდა, რომ თქვენ იქნებით მართალი.

ჰარპ. იცით, რაზე ვლანაპარაკობთ?

ვალ. არა, მაგრამ თქვენ თანის დღეშია მტყუანი არ გამოხვალთ, რადგან თქვენ თითონ სიმართლე ბრძანდებით.

ჰარპ. მე ამაღამ მინდა მაგას ერთი მდიდარი და ქვეიანი კაცი შევრთო და ეგ ურცხვი, პირში მეუბნება, რომ მე ეგ არ მეპრიანებაო. რას იტყვი ამაზე?

ვალ. რას ვიტყვი?

ჰარპ. ჰო, რას იტყვი?

ვალ. ჰმ, ჰმ!

ჰარპ. რას ამბობ?

ვალ მე ვამბობ, რომ თუმცა მაგ საქმეში მე თქვენი თანახმა ვარ, რადგან ურიგო საქმეს არ მოიქმედებთ, მაგრამ არც ეგ არის სრული მტყუანი და...

ჰარპ. როგორ თუ მტყუანი არ არის! ანსელმი წინებული საქმროა. ის არის აზნაურიშვილი, ზდრილობიანი, კეთილი, ქვეიანი, შეძლებული და დაშჯდარი კაცი; ამას გარდა პირველი ცოლისა ერთი შვილი არა ჰყავს. უკეთესს აბა ვის იპოვის?

ვალ. ეგ მართალია, მაგრამ მაგასაც შეუძლიან გითხრათ, რომ ეგ ძლიერ აჩქარებული საქმე იქნება და ცოტა დრო უნდა, კაცმა შეიკრას, მიუვა გული იმას...

ჰარპ. ეს იმისთანა შემთხვევაა, რომ საჩქაროთ უნდა კუღზე მოეკიდო. მე აქ კიდევ ერთ სარგებლობასა ვხედავ, რომელსაც სხვა შემთხვევაში მოკლებული ვიქნებოდი; ის ყაბულს არის უმზითვოთ შეერთოს.

ვალ. უმზითვოდ?

ჰარპ. სწორედ უმზითვო.თ

ვალ. მაშ მე ხმა უნდა გაეკმინდო. ეგ ისეთი სა-
ბუთია, რომ წინააღმდეგს ვერაფერს რას იტყვის; დაე-
მორჩილდეთ.

ჰარპ. ეგ დიდი სარტაა ჩემთვის.

ვალ. მართალია. მაგაზე ლაპარაკი მეტია. მარ-
თალია, თქვენმა ქალმა შეიძლება გიპასუხოთ, რომ
ქმრის შერთვა ისეთი ადვილი არ არის, როგორც ზო-
გიერთს ჰგონია, მაგაზე ჰკიდია კაცის ბედნიერება და
უბედურება და იმისთანა პირობის შეცვრა, რომელიც
სიკვდილამდე დაურღვეველია, დიდის სიფრთხილით უნდა
მოხდეს.

ჰარპ. უმზითვოთ.

ვალ. მართალსა ბრძანებთ; სულ მაგაზედაა დამო-
კიდებული; მართალია, ზოგთ შეუძლიანთ გითხრან,
რომ მაგისთანა შემთხვევაში ქალის გულსაც უეჭველათ
უნდა დაეკითხოს ადამიანი და ხანის, ხასიათის, გრძნო-
ბის უთანასწორობას შეუძლიან უსიამოვნება ჩამოაგდოს
ცოლ-ქმარს შუა.

ჰარპ. უმზითვოთ!

ვალ. აშკარაა, რომ მე მაგის წინააღმდეგი არა
მეთქმის-რა; რა ეშმაკი დაუდგება მაგ საბუთს წინა?!
მაგრამ არიან იმისთანა მამები, რომელთაც თავიანთი
ქალების სურვილის შესრულება ურჩევნიათ მზითვად
მიცემულს ფულს; არიან იმისთანანი, რომელნიც თავ-
ვიანთ შეიღებებს სარგებელს მსხვერპლათ არ შესწირვენ

და მონახვენ უფრო იმისთანა საქმროს, რომ ცოლ-
ქმარს შუა არ იყოს სხვა-და-სხვაობა, რომელიც ამხობს
პატიოსნებას, მშვიდობიანობას და სიხარულს და რომ...

ჰარკ. უ-მ-ზ-ი-თ-ე-ო-თ!

ვალ. მართალია, ეგ სიტყვა, „უ-ზიოვოთ“, კაცს
პირში ბურთსა სჩრის; მაგას წინ რა დაუდგება?

ჰარკ. (სადისკენ) ოჰო, მე მგონია, ეს ძაღლის ყე-
ფაა; იქნება ჩემს ფულს ეპარებიან! (გაჯერს) ნურსად
წახვალ, ეხლავე დავბრუნდები.

გამოსვლა 8.

ელისა და ვალერი.

ელ. მასხარაობ, ვალერ, შენ გაზდას, თუ რა არის?

ვალ. მე ის მინდა, რომ არ გავაცხარო და მით
უფრო ჩემი გულის წადილი შევისრულო. მაგის აზრებს
რომ წინააღმდეგი გაუხდე, საქმე სულ წახდება.

ელ. ამ საქმროს აღმორჩევას რაღა ეუყოთ?

ვალ. უნდა ხერხით დავაშლენინოთ.

ელ. მერე რა ხერხს ვიხმარო, თუ ამაღამვე უნდა
მოხდეს?

ვალ. უნდა თავი მოიავათყოფო და გადაადებინო.

ელ. მერე ექიმს რო დაუძახონ, ხომ შემატყობენ
ტყუილ ავათყოფობას?

ვალ. კარგია, შენ გაზდას, ექიმებს ავათ-ყოფობისა
რა გაეგებათ? რა ტყუილი ავათ-ყოფობაც უნდა დაი-
ჩემო, შენი პირომე, ენა ჩაუყარდებათ და ვერ გეტყ-
ვიან ამა და ამ მიზეზისაგან მოგსვლიათ.

ბამოსვლა 9.

ჰარკაგონი, ელიზა და ვალერი.

ჰ.რკ. (აქიამ) მადლობა ღმერთსა, არა იყო-რა.

ვალ. (ჭანჭავანის კეფა სუდაჟს) თუ აღარა და აღარ იქნა, მაშინ ესლა დაგვრჩენია, რომ გავიქცეთ და ყველაფერს თავი მოვარიდოთ; თუ შენი სიყვარული მაგ სიმტკიცეს გამოიჩენს... (ჭანჭავანს ღვინავს) დიალ, რიგი და მართებულობაა, რომ ქალი მამას ეპორჩილებოდეს: ქალმა უნდა მიჰხედოს, როგორია იმისი საქმრო და, თუ დაურღვეველი საბუთი, „უმზითვოთ“, ზედ ემატება, უნდა შეირთოს, ვისზედაც მიუთითებენ.

ჰარკ. აი ბარაქალა! აი ლაპარაკი ესე უნდა!

ვალ. უკაცრავათ გახლავარ თქვენთან, ბატონო, რომ ესე გავცხარდი და კაღნიერთ ველაპარაკები თქვენს ქალსა.

ჰარკ. რა ბოდიშს იხდი. მე ის მინდა, რომ შენ ეგ დაიმორჩილო. (ელაჟს) ტყუილად მირბიხართ; რაც მე შენზედ უფლება მაქვს, ყველას ამას ვანებებ და გიბრძანებ, რომ რაც გითხრას, ყოველღისფერი აღუსრულე.

ვალ. ამის შემდეგაც ჩემს ვედრებას არ შეისმენ?

ბამოსვლა 10.

ჰარკაგონი და ვალერი.

ვალ. მე წავყვები თქვენ ქალს, რომ ჩემი დარიგება არ შეეწყვიტო.

ჰარპ. ეგრე ჰქენ, ძალიან დამავალეებ. სწორეთ...

ვალ. კარგი იქნება, პატარა ალფირი ამოვუქიროთ.

ჰარპ. მართალს ამბობ, ეგ საქიროა.

ვალ. თქვენ ნუ შესწუხდებით, მე თითონ გავერიგებ.

ჰარპ. მაშ წადი, ნულარ უყურებ. მე წავალ, ქალაქში საქმეები მაქვს და ისევ მალე დავბრუნდები.

ვალ. (წაგა იქით მხარეს, სიითაც კლიშა გუჟადა და გაჭყვიჩის) დიად, ფული ყოველ ქვეყნიერ ქმნილებაზე უფრო ძვირფასია. თქვენ ღმერთს მადლობა უნდა შესწიროთ, რომ მამა-თქვენი მაგისტანა კაცსა გრთამს. სხვას არასფერს არ უნდა მიჰხედო; ყველა ამ სიტყვაშია მოქცეული: „უმზითვოთ“.

ჰარპ. აი, ყოჩალი კაცი! სწორეთ წინახწარმეტყველსაგით დაპარაკობს. ბედნიერია, ვისაც ამისთანა მსახური ახლავს.

(დასასრული პირველი მოქმედება).

მოქმედება მეორე.

გამოცვლა 1.

კლემენტი და ლაფლეში.

კლ. სად დაილუპე, შე მუხანათო! მე შენ არ გიბრძანე...

ლაფ. მიბძანე ბატონო და შესრულებასაც ვაპი-

რებდი; მაგრამ თქვენმა გადარეულმა მამამ პანჩურის კვრიტ გამომაგდო და ცემასაც ძლივს გადაეურჩი.

კლ. როგორ მიდის ჩვენი საქმე? ძალიან აჩქარება უნდა, შენი წასვლის შემდეგ შევიტყე, რომ მამა-ჩემი ჩემი მოცილე ყოფილა და იმასაც ის უყვარს, ვინც მე მიყვარს.

ლაფ. განა მამა თქვენსაც სიყვარული შეუძლიან?

კლ. აბა ეგა სთქვი და! ძლივს შევიმაგრე თავი, ეს ამბავი რომ გავიგე!

ლაფ. ისიც სიყვარულში ერევა?! რა ეშმაკს გაუგოებია? ქვეყანას დასცინის თუ! განა სიყვარული მაგისთანა კაცისათვის არის გაჩენილი?

კლ. აღბათ ეგეც ჩემი ცოდვის კითხვა!

ლაფ. მერე, რათ უმაღავთ იმას თქვენ სიყვარულს?

კლ. თუ გაიგო, გზებს ისე დაგვიხლართავს, რომ საქმე ხელიდან წაგვივა. ახლა შენ რაღა ამბავი მომიტანე?

ლაფ. ქეშმარიტათ, დიდათ უბედურნი არიან ვალის ამლებნი; ბევრი თავის დამცირება უნდა მოითმინოს, ვინც თქვენსავით მოვალის ხელში ჩავარდება.

კლ. მაშ საქმე არ ხერხდება?

ლაფ. მოითმინეთ, ჩვენი შუამავალი, სეიმონი, ძალიან გამპკრიახი კაცია და გულ-მოდგენით მსურს თქვენი საქმის წარმართვა. როგორც სჩანს, ერთი ნახვით მოგიგია იმისი გული.

კლ. მაშ მიშოვის ხუთას თუმანს?

ლაფ. დიად! მაგრამ ცოტა რამ პირობაზე უნდა

დასთანხმდეთ, თუ გნებავსთ, რომ საქმე კარგათ წავიდეს.

კლ. შენ თითონ გალაპარაკა ფულის პატრონთან?

ლაფ. საქმე სხვაფრივ არის; ფულის პატრონი თქვენზე მეტათ იმაღავს თავსა, თავის სახელს არ ამხელს. ამ საქმეს ისე მცირე მნიშვნელობა კი არა აქვს, როგორც თქვენ ჰფიქრობთ. დღეს უნდა შეიკრიფნეთ თქვენ ერთ დანიშნულ სახლში და მოილაპარაკოთ თქვენ შეძლებაზე და ოჯახობაზე, და მე დარწმუნებული ვარ, რომ მარტო მამი-თქვენის სახელი კმარა, რომ საქმე კარგათ დაბოლოვდეს.

კლ. ამას გარდა დედა-ჩემი ხომ მკვდარია და იმის წილი მე არ წამერთმევა.

ლაფ. აი რამდენიმე პირობა, რომელიც თითონ იმან დააწერინა ჩვენს შუამავალსა: პირველი ეს, რომ სარგებელს სამ აბაზ ნაკლებს არ იღებს.

კლ. სამი აბაზი სარგებელი? აი პატიოსანი კაცი! მაგაზე უკეთესი რაღა იქნება!!

ლაფ. ეგ მართალია: ამას გარდა, რადგან იმას ახლა: სრულათ არა აქვს ხელში ნათქვამი ფული, ის იძულებულია თქვენი პატივის-ცემისათვის თითონაც სხვისგან ისესხოს თუმანზე 20ა/„; ცხადია, რომ სრული სარგებელი თქვენ უნდა იკისროთ, რადგანაც ის მარტო თქვენი პატივის-ცემისათვის იღებს ამ ვალსა.

კლ. რა უღმერთობაა! წმინდა ურია ყოფილა. ეს ხომ ორსა და ათ შაურზედ მეტი გამოდის.

ლაფ. ეს არის რაცა ვსთქვი, ეხლა თქვენ იცით და იმან.

კლ. რალა მეთქმის! მე ფული მიკირს და უნდა ყველაფერზე დავთანხმდე.

ლაფ. მეც ვგ ვუთხარი.

კლ. იქნება კიდეც არის რაჰე?

ლაფ. ერთი პატარა პირობა კიდეც არის: იმ 500 თუმნიდან, რომელსაც თქვენ თხოულობთ, ის ფულათ ოთხასი თუმნის მეტს ვერ მოგცემთ, და დანარჩენ ას თუმანში უნდა აიღოთ ტანისამოსი, სახლის მორთულობა და სხვა-და-სხვა ავეჯი, რომელნიც მოხსენებულნი არიან ამ სიაში შექცლებისამებრ.

კლ. ვგ რალაა?

ლაფ. ყური დაუგდეთ ამ სიას: „პირველათ იქნება ერთი ხელი ლოგინი, შემკობილი ყავის ფერი დრაფის ბანტებითა; ექვსი იმავე ფერის სკამი, გადაკრული წითელ და ცისფერ ზოლნიანი ფარჩით; ამ ლოგინს ექნება თავის ფარდა წმინდა ტილოსი ფარჩის ფუნჯებით და ფოჩით.“

კლ. ახლა რათ მინდა მე ვგენი?

ლაფ. მოითმინეთ. „ამას გარდა ერთი მოქარგული ხალიჩა, ერთი კარგი თორმეტ ფეხიანი კაკლის სტოლი ორსავე მხარეს გასაშლელი, თავისი ექვსი სკამით.“

კლ. რაში გამოვიყენო, ერთი მითხარი?

ლაფ. მოთმინება გქონდესთ! „კიდეც სამი დიდი თოფი სადაფით მორთული, თავის ზუმბით, ერთი აგურის ფეჩი, ორი ზარფუში და სამი გეჯა.“

კლ. მოდი და ბრაზი ნუ მოგივა!

ლაფ. მოითმინეთ! „კიდეც ერთი ჩონგური, სიმე-

ბით გამართული, ერთი თივით გატენილი ხელიკის ტყავი... საუცხოვო რამ არის ოთახში ჩამოსაკიდებლათ. ყველა ზემოხსენებული ნივთები ღირს, კანონიერი ფასი რომ დავადოთ, ას ორმოც-და-ათ თუმნათ, მაგრამ ის თქვენის ხათრით ას თუმანზე ჩამოდის.

კლ. აი ღმერთმა ამოაგდოს ისიცა და იმის პატიოსნებაცა! ის უღმერთო, ის სისხლის მსმელი! გაგიგონია სადმე ამისთანა უსინიღისობა? განა საკმაო არ იყო ის ურიის სარგებელი, რომ კიდევ ძალათ არ ამალებინოს ეგ ჩიხი-მახობები? მაგრამ რა გაეწყობა, იმან ყველაფერი კარგად იცის, მამი-ჩემის სიძუნძით იმისთანა მდგომარეობაში ვარ; რომ სუყველაზე თანახმა უნდა გავხდე. ავაზაკივით ყელზე ხანჯალს მაქერს.

გამოსვლა 2.

ჰარპაგონი, სვიმონ, კლენტი და ლაფლეში.

(სცენის უკან)

სვიმ. ესრე, ჩემო ბატონო, ის ყმაწვილი კაცი ისე მაქირვებულია, რომ რაც უნდა პირობები დაუდოთ, თანახმა გახდება.

ჰარპ. ხომ დარწმუნებული ხარ, სვიმონ, რომ ამ საქმეში საშიში არაფერია? ხომ კარგათ იცით იმისი გარემოება, ქონება და ოჯახის-შვილობა?

სვიმ. სწორე მოგახსენო, მაგაზე ბევრ ვერაფერს გეტყვი: მე თითონაც შემთხვევით გავიგე ეს საქმე,

მაგრამ თქვენ თითონ იმისაგან სუყველაფერს უფრო დაწვრილებით შეიტყობთ. მე ნამდვილად ვიცი მხოლოდ, რომ ის ძალიან მდიდარი ოჯახის შვილია, დედა აღარა ჰყავს, და ის კისრულობს რვა თვეზე აღრე თავის მამა სხვაგან გაისტუმროს.

ჰარპ. ეგეც საკმაოა. გაქირვებულს რითაც კი შეგვიძლიან, უნდა შევეწიოთ.

სვიმ. ეგ კეშმარტია.

ლაფ (იფნაბს სვიმანს; ჩუქათა კლავანტის) ამას რას ვხედავ! ჩვენი შუამავალი მამა-თქვენს ელაპარაკება.

კლ. (ჩუქათა ლაფაქუს) იქნება, შე მუხანათო, შეატყობინე ვინცა ვარ?

სვიმ. (კლავანტის და ლაფაქუს) ოჰ, თქვენც აქა ყოფილხართ? გზა ვინ მოგასწავლათ? (ქანჯანს) გარწმუნებთ, რომ ამათვინ არც თქვენი სახელი გამიხსენებია და არც სახლი მისწავლებია, მაგრამ მე მგონია, აქ ცუდი არაფერია. ესენი პირ-დაცულნი არიან და შეგვიძლიათ აქვე ერთად მოილაპარაკოთ საქმეზედ.

ჰარპ. რაო?

სვიმ. (აჩქენეს კლავანტის) ეს ყმაწვილი გახლავს ის პირი, რომელსაც უნდა თქვენგან ხუთასი თუმანი ისესხოს და რომელზედაც ეს არის, ეხლა მე თქვენ გელაპარაკებოდით.

ჰარპ. აი, შე ჩამოსადრჩობო, შენ ჩადიხარ ამ სამარცხვინო საქმეებს?

კლ. მერე, მამა-ჩემო, თქვენ იქცევით ეგრე უსინდისოთ?! (სვიმანი გავა და ლაფაქუში იმალეს).

გამოსვლა 3.

ჰარპაგონი და კლენტი.

ჰარპ. მაშ შენ იღებ ამისთანა ოჯახის დამლუპავ ვალებს?

კლ. მაშ თქვენ ამისთანა უსჯულო სარგებლებით მდიდრდებით?

ჰარპ. რალა სინიღისით მიყურებ პირში?

კლ. რალა პირით ეჩვენები ხალხს?

ჰარპ. ეგრე როგორ დაჰკარგე ნამუსი, რომ აღარა გრცხვენიათ შენი გარყვნილი ცხოვრებისა? დასდგომიხარ ვაებითა და ოფლით შეძენილ ცხოვრებას და ერთბაშათ ჰლუპავ!!

კლ. როგორ არა გტანჯავთ სინიღისი, რომ თქვენი საძაგელი საქმეებით ეგრე არცხვენთ თქვენ თავსა; აღარ გახსოვთ აღარც სახელი, აღარც პატივი, აღარც სინიღისი, ოღონდ კი გააძლოთ თქვენი გაუმადლარი გული და უმატოთ მანეთს მანეთი; მამა-სისხლი სარგებელის აღებით და ხრიკების მოდებით, უნდა ლამის ყველას გადააქარბოთ.

ჰარპ. თვალიდან მომშორდი, ავაზაკო, მომშორდი თვალიდან!

კლ. რომელი უფრო დამნაშავეა თქვენის აზრით: ისა, რომელიც თავის საკიროებისათვის ფულს სესხულობს, თუ ისა, რომელიც არა საკიროებს და იპარავს კი?

ჰარპ. დამეკარგე მეთქი, გეუბნები, თვალით აღარ

მეჩვენო. (მანკა) მე მადლობელი ვარ ამ შემთხვევისა;
ეხლა ქკუა ვისწავლე; ამას იქით თვალი კარგათ უნდა
მეკიროს მაგის ყოფა-ქცევაზე.

ბამოსვლა 4..

ჰარპაგონი და ფროსინა.

ფრ. ბატონო...

ჰარპ. მომითმინე ცოტა ხანს. ეხლავე დაებრუნდებ
შენთან სალაპარაკოთ. (თავისთვის) ერთი ჯერ ჩემ ფულებს
დავხედო.

ბამოსვლა 5.

ლაფლეში და ფროსინა.

ლაფ. (ფროსინას ვერ სედავს) სასაცილო ამბავია:
აღბათ ტანისამოსის მაღაზია უნდა ჰქონდეს სადმე,
თორემ ამ სახლში არა მინახავს-რა, რაც იმ სიაში სწე-
რია.

ფრ. ოჰ, შენა ხარ, ლაფლეში! აქ რას მოუყვანი-
ხარ?

ლაფ. ოჰ, შენა ხარ, ფროსინავ! შენ რაღა საქმი-
სათვის მოსულხარ?

ფრ. განა არ იცი ჩემი ხელობა? საქმეს გავური-
გებ ვისმე, კაცს სამსახურს გავუწევ და ამ რიგათ ვსც-
დილობ გამოვიყენო ის მცირედი ნიქი, რომელიც ჩემ-

თვის ღმერთს მოუცია. ზომ იცი, ან უკეთესად კაცობა ხერხით უნდა იცხოვროს, და ღმერთს ზნეობის და მაქანკლობის მეტი სხვა ხერხი არა აქვია-რა.

ლაფ. ამ სახლის პატრონთან გაქვს რამ საქმე.

ფრ. დიად! მაგისათვის ერთს საქმეს ვაკეთებ და იმედი მაქვს კარგ გასამრჯელოს მივიღებ.

ლაფ. მაგისგან? მაშ შენისთანა დედა-კაცი არავინ იქნება, თუ ერთ ცალ ფულს გამოიტან: ვერაფერს დასტყუებ.

ფრ. ზოგი სამსახური მაგისთანა კაცზედაც კი გასკრის ხოლმე.

ლაფ. ეგ ძალიან კარგი, მაგრამ, ეტყობა, შენ ჯერ კიდევ კარგად ვერ იცნობ პარპაგონს. ეგ ისეთი ძუნწი და დამწვარ-დადაგულია, რომ კაცობაც კი აღარ ეტყობა. რაც უნდა დიდი სამსახური გაუწიო, ხელს ვერ გააშლევინებ. ერთ რამდენსაც გინდა გაქვებს, პატრისა გცემს და გიმეგობრებს. მაგრამ ფულს კი ნუ გაუხსენებ. იმის აღერსიც ისეთი უგემური და უყამურია, როგორც თითონ. თითონ სიტყვა „მიეცი“ ისე ეზიზღება, რომ თავის დღეში არ იტყვის: სალამი მომიტია, სალამი მისესხებიაო.

ფრ. შენ მე ვერ მიცნობ; მე ისეთ ნაირათ მოველაქუცები, რომ ძუნწსაც კი ძუნწობას დავაფიწყებინებ. ისეთი თილისმა მაქვს, რომ ერთბაშით გავიგებ კაცის სისუსტეს და გულს ბალდადივით გადავაშლევინებ.

ლაფ. ეგ სულ ტყუილი ფიქრია, მაგრამ აი, თითონვე აქ მოდის.

გამოსვლა 6.

ჰარპაგონი და ფროსინა.

ჰარპაგონი. (სუქიათ) ყველაფერი თავის ალაგას არის. (ხმა-მადლა) აჰ, ფროსინა, შენა ხარ?

ფროსინა. ოჰ, ჩემო ბატონო, მიხარიათ, რომ ეგრე ჯანის სიბრთელით ბძანდებით და ეგეთი კაი ფერი გადევთ.

ჰარპაგონი. ვითომ?

ფროსინა. მე ჯერ ეგრე უოჩალათ და მხიარულათ არ მინახვიხართ.

ჰარპაგონი. არა თუ?

ფროსინა. ბევრი ოც-და-ხუთი წლის ყმაწვილი კაცი ვიცი. რომელსაც თქვენზე უფრო ბებრული სახე აქვს.

ჰარპაგონი. რას მეუბნები, ადამიანო, მე ხომ სამოცი წლისა მეტისა ვარ.

ფროსინა. სამოცი წლისა! ეგ რა სათქმელია; თქვენ იმისთანა ხანში შესდინხართ ეხლა, როდესაც კაცი ღვივის, ვარდივით იშლებს.

ჰარპაგონი. მართალია; მაგრამ ერთი ოცი წლით რომ ყმაწვილი ვიყო, ცუდი არ იქნებოდა.

ფროსინა. კარგი ერთი თუ ღმერთი გწამთ. ეგ რა საჭიროა თქვენთვის: თქვენ ისეც ასი წლის სიცოცხლე გიწერიათ.

ჰარპაგონი. ვითომ?

ფროსინა. ნამდვილს მოგახსენებთ. ყველაფერზე გეტყობათ, რომ ხან-გრძლივ იცოცხლებთ. აი, ეს ნიშანი თვალებს შუა, ხან-გრძლივი სიცოცხლის ნიშანია.

ჰარპაგონი. განა ვეგებიც იცი?

ფროსინა. ძალიან კარგათ. აბა, ხელები გაშალეთ. ღმერთო! რა გრძელი ხაზია!

ჰარპაგონი. როგორ?

ფროსინა. ვერა ჰხედავთ, სადამდისინ მიდის ეს ხაზი?

ჰარპაგონი. ახლა, რას ნიშნავს?

ფროსინა. მე ხომ ასი წელიწადი გითხარით, ასოცსაც იცოცხლებთ.

ჰარპაგონი. არა, გეთაყვა, მართალს ავბობ?

ფროსინა. თუ სხვის ხელით არა დაგიშავდათ-რა, ვინ იცის, რამდენ ხანს იცოცხლებთ: თქვენ შეიღებსაც და შეიღის-შეიღებსაც თქვენ დაასაფლავებთ.

ჰარპაგონი. უფრო კარგი. ახლა ჩვენი საქმე როგორ მიდის?

ფროსინა. მაგას რაღა კითხვა უნდა. განა მე ვავერევი იმისთანა საქმეში, რომ ბოლო კარგად არ მოვიყვანო? მეტადრე მაქანკლობაში საკვირველი ნიჭი მაქვს. რაც შეეხება დაქორწინების და გარიგების საქმეს, დარწმუნებული ვარ, რომ რაც უნდა გაწეწილი საქმე იყოს, ცოტა ხანში უთუოთ დავაბოლოვებ, რომ მოვიწოდო, თითონ მოსისხლე მტრებსაც კი შეეკრივრათათ. ამ საქმეში მე არა გამიკირდება-რა, რადგანაც

ნისფლა-პოსტლა მაქვს დედასთანაც და ქალთანაც. მე დაწერილ უბით მოვილაპარაკე ორთავესთან თქვენზე. დედას კი ვუთხარე, თუ რა განგიზრახავთ მარინაზე, როდესაც ის გინახავთ ქუჩაში გავლილი და მერე როცა უფალი მოგიკრავთ ფანჯარაში.

ჰარპაგონი. მერე რა გიპასუხეს?

ფროსინა. ამ ამბავმა ძალიან გაახარა და როდესაც მე ვუთხარი, რომ თქვენა გსურთ იმის ქალი დაესწროს თქვენი ქალის ქორწილს, ის სიამოვნებით დათანხმდა და ყოველისფერი ჩემზე მოაგდო.

ჰარპაგონი. მე დღეს, ჩემო ფროსინავ, ვახშმათ დაბატოლებული მყავს ანსელმი და დიდათ მოხარული ვიქნები, რომ ისიც მეწვიოს.

ფროსინა. ძალიან კარგი იქნება. დღეს სადილს უკან ის თქვენი ქალის სანახავათ მოვა, იქიდან წავა თავის საქმეზე და საღამოზე ვახშმათ თქვენთან დაბრუნდება.

ჰარპაგონი. მაშ კარგი, მე ჩემს ეტლს ვათხოვებ და ჩემი ქალი და ის ერთად წავიდნენ...

ფროსინა. კარგათ მოიფიქრეთ!..

ჰარპაგონი. მაგრამ ერთი მითხარი: მოელაპარაკე დედას მზითვეზე, აძლევს რასმე თავის ქალს? ხომ უთხარი, რომ უნდა შეეწიოს რითიმე, უნდა ყოველი ღონისძიება იხმაროს, რომ ხელიდან არ გაუშვას ამისთანა შემთხვევა? აბა, შენ თითონ მითხარი, სულ ცალიერს ვინ შეირთავს?!..

ფრ. სულ ცალიერსა? აბა რას მიბრძანებთ! უკანასკნელს ოთხას თუმანს მაინც შეგპატებთ წელიწადში!..

ჰარპ. ოთხას თუმანს!

ფრ. დიად, მომისმინეთ. პირველათ უნდა მოგახსენოთ, რომ ის დიდ პირის პატივში არ არის გაზრდილი. სხვა ქალივით არ მოგთხოვთ, რომ სადილათ უთუოდ რამდენიმე თავი და არჩეული საკმელები უმზადოთ, ძვირფასი სასმელები ასეაბთ. ის ისეთი ნაზი მკაპელია, რომ რძე, ყველი, მწვანელი და ხილი სულ მთლათ საკმაოა; ეს უბრალო რამ კი ნუ გგონიათ. ყოველ წლივ ასი თუმანი მაინც დარჩება ძირს. ამასთან, ძალიან წყნარი და ჩუმი ცხოვრება უყვარს, სხვასავით გაგიჟებული არ არის ძვირფასი კაბებისათვის, ძვირფასი თვლებისათვის და მდიდრულათ, მორთვისათვის. ესეც რომ ცოტა ვიანგარიშოთ, წელიწადში ას ოცდაათ თუმნამდის შეადგენს... ამას გარდა, იმას საშინლათა სძულს ქალაღდის თამაშობა, რომელიც ჩვენ ქალებში ხშირია. მე თვითონ ვიცნობ ერთ ჩვენ უბნელ ქალსა, რომელმაც ამ წელს შეიღას თუმნამდის წააგო. მეოთხედი ვიანგარიშოთ: წელიწადში ას სამოცდაათი თუმანი ქალაღდის თამაშობისა ჩავაგდოთ, ას ოცდაათი—კაბები და მორთულობა; ეს სულ შეადგენს სამას თუმანს; ასი თუმანიც რომ სჯკმლისა მიუღმატოთ? — აი ოთხასი თუმანი...

ჰარპ. ეგ ყველა კარგი, მაგრამ ნადღათ რომ არაფერი სჩანს...

ფრ. რას მიბრძანებთ, ბატონო! განა ეს ნაღდი მზითვეი არ არის, რომ ცოლათ მოგყავთ ამისთანა ოჯახის მომვლელი ქალი, რომელსაც ამასთანავე ქალღლის თამაშობა ძალიან ეჯავრება?

ჰარპ. ეგ მასხარაობაა: იმას მითვლი მზითვათ, რასაც ის შესქამს და არ წააგებს?!. მე მინდა, რომ თვალსაჩინო იყოს რამე.

ფრ. ფიქრი ნუ გაქვთ, თვალსაჩინოც იქნება. იმათ ერთი დიდი მამული აქვთ და თქვენს მეტი იმის პატრონი ვინ იქნება.

ჰარპ. ვნახოთ, მაგრამ ერთი რამ მაწუხებს. ხომ იცი, რომ ის ქალი ახალგაზდაა; ახალგაზდა ქალი თავის შესაფერ ახალგაზდა კაცს ეძებს, და ჩემი ხნის კაცი არ ეკაშნიკება. მეშინიან, რომ ბოლოს გული არ აიყაროს ჩემზე და უსიამოვნება არ მოხდეს.

ფრ. სრულებით არ გიცვნიათ თქვენ ის ქალი; მაგის თქმა მინდოდა კიდევ, რომ იმას ძალიან ეჯავრება ახალგაზდა კაცები და ბებრები კი გაგიყვებით უყვარს.

ჰარპ. რას მეუბნები?

ფრ. ქეშპარიტს მოგახსენებთ. ნეტავი ყური დაგადებინა იმის ლაპარაკისთვის. ასე მოგახსენებთ, ახალგაზდა კაცი თვალის დასანახავათ ეჯავრება და როდესაც თვა და წვერ გათეთრებულ ბებერსა ჰხედავს, არ იცის, სიხარულით რა ქნას: ის ისეთ საქმროს ნდომულობს, რომ სამოცი წლისა მაინც იყოს; ერთი თვე არც კია, რაც იმას საქმრო აჩენილი ჰყვანდა და ქორ-

წილი იმიტომ მოიშალა, რომ იმის საქმრო ორმოც-
და-თექვსმეტი წლისა მეტი არ იყო და ხელის მოსაწე-
რათ სათვალეები არ იხმარა..

ჰარპ. ნუ მეტყვი!

ფრ. ღმერთთა მოწამე, თითონ იმან მითხრა, რომ
ორმოც-და-თექვსმეტი წელიწადი მეცოტავებაო და მე-
ტადრე საკვირვლათ მოსწონს სათვალეებით შეკაზმუ-
ლი ცხვირი.

ჰარპ. საკვირველია, მე მას თავის ღღეში ვერ ვი-
ფიქრებდი, და დიდათ მოხარული ვარ, რომ ის მაგის-
თანა მიმართულებისა ყოფილა. მართლაც და, მე რომ
ქალი ვყოფილიყავი, თავის ღღეში ყმაწვილ-კაცს არ
შევიყვარებდი.

ფრ. მეც მაგ აზრისა ვარ. ნეტავი ერთი რა მოს-
წონთ იმ საძაგლებში, რომ ეგრე გიყდებიან იმათთვის?

ჰარპ. მეც ეგ მიკვირს, არ მესმის, როგორ მისდით
იმათზე გული.

ფრ. სწორეთ სულელები არიან; რა თავში მო-
სასვლელია ყმაწვილი კაცის შეყვარება. განა ისინი
კაცად ჩასაგდებნი არიან? შეიძლება პირუტყვების შე-
ყვარება?

ჰარპ. მაშ მოგწონვარ?

ფრ. რას მიბძანებთ, სწორეთ კალმითა ხართ და-
ხატული. ერთი მიბრუნდით ცოტა. ამაზე მშვენიერი
ვილა იქნება. ერთი გაისეირნეთ კიდევცა: რა მშვენიერი
წვრილი ტანისაა, რა მიხვრა-მოხვრა აქვს, ვერაფერ
წუნს ვერ დასდებთ.

ჰარკ. მადლობა ღმერთსა; ნაკლულევანება არა მაქვს-რა. მარტო ხან-და-ხან ეს ხველა მაწუხებს.

ფრ. ეგ არაფერი: თქვენ ხველაც გიხდებათ.

ჰარკ. ერთი მითხარი, მარინას ჯერ არ უნახვივარ? ქუჩაში ხომ თვალი არსად არ მოუკრავს ჩემთვის?..

ფრ. არა, მაგრამ დიდი ხანი კი გვექონდა თქვენზე ლაპარაკი: მე დაწვრილებით ავუწერე თქვენი სახე და დავარწმუნე, რომ თქვენზე ღირსეულ ქმარს ის ვერ იშოვის.

ჰარკ. დიდათ მადლობელი ვარ, კარგათ გიქნია.

ფრ. ერთი პატარა სათხოვარი მაქვს თქვენთან: სასამართლოში საჩივარი მაქვს და ლამის წავაგო უფულობისა გამო (ჰაზმაგანი სსსეს შეკუმუსნაჟს). თქვენ შეგიძლიათ ადვილათ დააბოლოვოთ ეს საქმე, თუ ჩემთვის სიკეთეს მოინდომებთ. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, როგორ იამება მარინას თქვენი ნახვა (ჰაზმაგანი მსიარულ სსსეს მიიღებს). როგორ მოეწონება თქვენი ძველი ტანისამოსი!

ჰარკ. აღტაცებაში მოგყევარ შენის ლაპარაკით.

ფრ. სწორე მოგახსენოთ, დიდი მნიშვნელობა აქვს ჩემთვის იმ საჩივარს (ჰაზმაგანა კიდეგ მოიკუმუსნაჟს სსსეს). დავილუპები, თუ ის საქმე წავაგე; პატარა შემწობა კი რომ საიდანმე მომეცეს, მალე გავასწორებდი საქმეს. თქვენ უნდა წარმოიდგინოთ, როგორ მიგდებდა ყურს მარინა თქვენზე რომ ველაპარაკებოდი (ჰაზმაგანი ასევე მსიარულ სსსეს მიიღებს). სიხარულით ფეხზე აღარ იდგა, როდესაც თქვენ ხასიათზე ველაპარაკებო-

დი, და მოუთმენლათ მოელოიან იმ დღეს, როდესაც ეს ქორწილი მოხდება.

ჰარპ. ეგ დიდათ სასიამოვნოა ჩემთვის და გარწმუნებ, რომ დიდათ დამავალებ.

ფრ. გთხოვთ, ბატონო, პატარა შემწეობა მომცეთ (ჰარპაგონი ისევ სასესე შეიჭმუნხავს). თქვენი შემწეობა ფეხზე წამომაცუნებს, საჯკუნოთ დამავალებთ.

ჰარპ.მშვიდობით: წერილები მაქვს გასათავებელი.

ფრ. გარწმუნებთ, ამაზე მეტათ გაკირვებულს ველარა მნახავთ.

ჰარპ. მე ვუბრძანებ, ეტლი შეგიბან ბაზარში წასავლელათ.

ფრ. არ შეგაწუხებდით, რომ ძლიერ საკირო არ ყოფილიყო.

ჰარპ. მე ვუბრძანებ, რომ ვახშამი ადრე გვაკამონ: მეშინიან, საქმელმა არ გაწყინოთ.

ფრ. უარს ნუ მიბრძანებთ, ღეთის გულისათვის, ხელი გამიმართეთ; თქვენ ვერ წარმოიდგენთ იმ სიამოვნებას...

ჰარპ. უნდა წავიდე, მეძინება.

ფრ. (მარტო) აი, კირმა წავილოს ქოფაკო ძაღლო, ეშმაკის კერძო! რა ეშმაკობა არ ვიხმარე, მაგრამ ამ კრიჟანგს გროში ვერ დავსტყუე; მაგრამ საქმეს მაინც თავი არ უნდა დავანებო, სხვა მხრიდან უნდა მოვეუარო, იქნება მაშინ გამოვსტყუო რამე.

დასასრული მეორე მოქმედებისა.

მოქმედება მესამე

გამოსვლა 1.

ჰარპაგონი, კლევანტი, ელიზა, ვალერი, კლოდია,
(ხელში ცოცხი უჭირავს) **ჟაკი, ლამერლიში, ბრინდუანი.**

ჰარპ. აბა, აქეთ მოდით, რომ ყველას შესაფერი ბრძანება მოგცეთ და ყველას თავისი საქმე დაგირიგოთ. კლოდ, წინ წამოდექი, შენიდგან დავიწყებ. ყოჩაღ, ფარ-ხმალიც თანა გქონია. ყური დამიგდე, მე შენ გიბძანებ, ყველაფერი კარგათ დასწმინდე, მაგრამ ავეჯი ბევრი არა ხეხო, თორემ გაცვდება და ვაი შენი ბრალი. ამას გარდა, ვახშმის დროს ბოთლები შენთვის ჩამიბარებია; არა დაიკარგოს-რა, ან არა გასტეხოთ-რა, თორემ გაჩვენებ შენ სვირს. სულ შენი კისრიდან ამოვიღებ.

ჟაკ. კარგი მუქარაა!

ჰარპ. (კლოდს) გასწი, წადი,

გამოსვლა 2.

ივინივე, კლოდიას გარდა.

ჰარპ. თქვენ, ბრინდუან და ლამერლიშო, თქვენთვის ჩამიბარებია კიკები და ვახშმის დროს ღვინის დასხმა; მარჯვეთ იმას მთავრით ღვინო, ვისაც სწყუროდეს და ზოგიერთ ჯგუნურ ბიკებსავით არ მოიქცეთ,

რომელნიც სტუმრებს აღარ მოეშვებიან, გინდა თუ არა, დალიეო! წყალი ბლომ-ბლომათ ზიდეთ და კარგათ გახსოვდეთ, ნურავის ნუ დააღვივებთ ღვინოს, სანამ რამდენჯერმე არ მოითხოვოს.

უაკ. (თავისთავის) დიად, უწყალო ღვინო თავში გაუჯდებათ.

ლამერ. ძველი ტანისამოსი გავიხადოთ თუ არა, ბატონო?

ჰარკ. გაიხადეთ და ახალი ჩაიცვით, როდესაც სტუმრები მოვლენ. მაგრამ გაფრთხილდით, არ გააფუქოთ.

ბრინ. ბატონო, თქვენ თითონაც კარგათ მოგეხსენებათ, ჩემი საცმელის წინ კალთები ნავითა მაქვს დალაქებული.

ლამერ. მე კიდევ, ბატონო, შარვალი გახვრეტილი მაქვს და რომ მოვბრუნდები ხოლმე...

ჰარკ. ჩუმათ! კედელთან იყავ ატუზული და ლაპარაკის დროს ზურგი არავის შეაქციო (მიუხედავად ბინდუნის და ანგეისის, როგორ უნდა კქირთს ქუდა, რომ კაღთებისე ღაქები დაფაროს). შენ კიდევ ასე გეჭიროს ქუდი, როდესაც გვემსახურებოდე.

გამოსვლა 3.

ჰარკაგონი, კლევანტი, ელიზა, ვალერი, უაკ.

ჰარკ. შენ, ჩემო ქალო, ნასუფრალზე გეჭიროს თვალი, არა წახდეს-რა. სწორეთ საქალო საქმეა. ჰო,

მართლა, მოემზადე და კარგათ დახვდი ჩემ საცოლოს.
დღეს შენთან აპირებს მოსვლას. გესმის რას გეუბნები?!

ელ. ბატონი ბრძანდებით.

გამოსვლა 4.

ჰარპაგონი, კლენტი, ვალერი, ჟაკ.

ჰარპ. თქვენ, ვაჟ-ბატონო, წინანდელი ცუდლუ-
ტობა რომ გაპატიე, ხომ კიდევ არას აპირებ, ხომ არ
აპირებ, რომ ცუდათ დაუხვდე ჩემ საცოლოს?!

კლ. მე იმას ცუდათ უნდა დაუხვდე?!

ჰარპ. ეჰეი! ვიცით, რა შეილიც ბრძანდებით ეხ-
ლანდელი ახალგაზდა ყმაწვილები, ვიცით რა თვალი-
თაც უყურებთ თქვენ დედინაცვლებს; მაგრამ თუ გინ-
და, რომ თავის დღეში აღარ მოვიგონო შენი უკანას-
კნელი ცუდლუტობა, გიბრძანებ, კარგათ მოექცე შენ
დედი-ნაცვალს, და რაც კი შეიძლება, ასიამოვნო.

კლ. მართალი გითხრა, მამა-ჩემო, ვერ დაგპირ-
დები, რომ ძალიან მიხაროდეს მისი დედი-ნაცვლობა;
ტყუილი დაპირება იქნება. მაგრამ ამ შემთხვევაში კი
მტკიცეთ აღვასრულებ თქვენ ბრძანებას—კარგათ და
მხიარულათ დავუხვდები.

ჰარპ. ძალიან კარგს იზამ.

გამოსვლა 5.

ჰარპაგონი, ვალერი, ჟაკ.

ჰარპ. ვალერ, ეხლა შენც დამეხმარე. ჟაკ, აბა
წინ წამოდექ, საბოლოოთ შენ დაგარჩინე.

ჟაკ. ვისთან გნებავთ ლაპარაკი, თქვენ მეეტლესთან თუ მზარეულთან? ორივე მე გახლავართ და ამიტომ გთხოვთ, ბატონო, მიბრძანოთ.

ჰარპ. ორივესთან.

ჟაკ. მაინც პირველათ რომელს დაუწყებთ ლაპარაკს?

ჰარპ. მზარეულს.

ჟაკ. მაშე ცოტა მომითმინეთ (ისდის შეეტლის ტანისამოსს და წიხვს მისარეულის ტანისაცმელში).

ჰარპ. რა თავს იგდებ!

ჟაკ. ეხლა მიბრძანეთ.

ჰარპ. მე მინდა, ჟაკ, ამაღამ კარგი ვახშამი გავმართო.

ჟაკ. (აფისაფის) ჩხირი კედელს.

ჰარპ. ერთი მითხარი, ხომ კარგ ვახშამს გაგვიკეთებ?

ჟაკ. კარგი მოგეცეს, თუ ფულსაც კარგს მიბოძებთ.

ჰარპ. რაო?! დაგწყევლოთ ღმერთმა! სულ ფული და ფული! თითქოს სხვა აღარა ითქმებოდეს—რა მაგის მეტი: ფული, ფული და ფული! გაგონილა ამდენი ფულზე ლაპარაკი?

ვალ. თქვენმა მზემ, ამაზე ბრიყვი კაცი თავის დღეში არ მინახავს. ერთი მითხარი, რა დიდი საქმეა ბევრი ფულით კარგი ვახშმის გაკეთება? დიდი ქკუა უნდა მაგას? მაგას ხომ ყველა უგუნური შეიძლებს? ბიქს მაშინ დაგიძახებ, რომ ცოტა ფულით კარგი ვახშამი გააკეთო.

ჟაკ. კარგი ვახშამი ცოტა ფულით?

ვალ. ჰო, რას გაგიკვირდა?

ჟაკ. (ყალყარს) ჩემის მხრით, ბატონო მოურავო, ძალიან მადლობელი გახლდებით, თუ მაგისტანა საიდუმლოს გვასწავლი, და რადგანაც ყველაფერში თქვენ ეჩხირებით, დიდად დამაწალებთ, თუ ჩემს თანამდებობასაც თქვენ იკისრებთ...

ჰარპ. ბევრს ნუ ყბედობ! შენ ისა სთქვი, რა მოგინდება?

ჟაკ. აი ბატონო, თქვენი მოურავი უფრო იათათ გაგიკეთებთ კაი ვახშამს.

ჰარპ. ჩუმათ! მე შენ გიბრძანებ.

ჟაკ. რამდენი სული იქნებით?

ჰარპ ჩვენ ვიქნებით 8 ან 10 სული, შენ რვისათვის მოამზადე, რადგანაც სადაც რვა კაციისათვის არის მომზადებული, იქ ათიც კარგათ სკამს.

ვალ. რა თქმა უნდა.

ჟაკ. მაშ თქვენ მოგინდებათ ცივი ჭორცი, წვნიანი, მოხრაკული...

ჰარპ. რას მიჰქარავ! მთელი ქალაქი უნდა გააძლო თუ რა ამბავია?!

ჟაკ. შემწვარ...

ჰარპ. (ზირზე ხელს აფარებს) აი, შე მუხანათო, მთელ ჩემ ცხოვრებას სულ შენა სკამ!

ჟაკ. ტკბილ...

ჰარპ. (კიდევ ხელს აფარებს ზირზე) კიდევ?

ვალ. (ყავს) რას მიეღებ-მოეღები? აქ ხალხის ამოწყვეტა ხომ არ გინდა? ჩვენს ბატონს იმიტომ ხომ არ

დაუპატიუნია სტუმრები, რომ კამით სული ამოართვას? ჯერ წადი, წაიკითხე პატარა და ექივებს გამოჰკითხე, რა ვნება შეუძლია მეტის-მეტ კამას და მერე ილაქ-ლაქე აქა.

ჰარკ. აი კარგი სიტყვა.

ვალ. იცოდე, ჟაკ, შენცა და შენისთანა უმგზავ-სოებმაც, რომ თუ კაცის მოკვლა გინდა, ბევრი ხორცი უნდა მოუტანო ხოლმე სადილათ. სტუმარი მაშინ დაგრჩება კმაყოფილი, როდესაც ყველას ზომიერათ მიუტან. ხომ გაგიგონია ანდაზა: „კამა სიცოცხლისათვის გვინდა და არა სიცოცხლე კამისათვის!“

ჰარკ. ოჰ, რა მშვენიერათ არის ნათქვამი! მოდი ერთი გაკოცო მაგ სიტყვისათვის! ეგრე კვიანური ჯერ არა გამიგონია-რა. დიად, სიცოცხლე კამისათვის გვინდა არა კამა სიცოცხლ... არა, არა... როგორა სტქეი ჩემო ვალერ?

ვალ. კამა სიცოცხლისათვის გვინდა და არა სიცოცხლე კამისათვის...

ჰარკ. (ჩაკნ) ჰო, გეყურება? (ვაღერს) რომელმა მეცნიერმა სტქეა ეგა?

ვალ. ეხლა, ბატონო, სახელი ვერ მომიგონია.

ჰარკ. არ დაგავიწყდეს, ეგ სიტყვები დამიწერე; ჩემი სასტუმრო ოთახის ბუხარზე დაეწერინებ ოქროს ასოებით.

ვალ. ბატონი ბრძანდებით, უთუოდ. ვახშმისათვისაც, თქვენი ბრძანება-ლა მაკლია, თორემ ყველას ისე ვაფმართავ, როგორც რიგია.

ჰარპ. მაშ შენთვის მომინდვია.

ჟაკ. ძალიან კარგი; მე უფრო მოსვენებით ვიქნები.

ჰარპ. (ყაღუას) იმისთანა საქმელები მოამზადე, რომ ბევრი ვერ იქმებოდეს და ძალიან კი აძლობდეს: ლობიო ზეთით მოხრაკული, კაი კუპატები ღორის ხორციით გატენილი.

ვალ. თქვენ ნუ შესწუხდებით, ეგ მე მომანდეთ.

ჰარპ. ეხლა, ჟაკ, ჩემი ეტლი გაწმინდე.

ჟაკ. მომითმინეთ პატარა, ეგ მიეტლეს საქმეა (ყაღა გადაიფრქვამს შეკეტლის ტანს-საცმულს). თქვენ ბრძანებთ რომ...

ჰარპ. რომ ჩემი ეტლი გასწმინდო და ცხენები მზათა გყვანდეს ბაზარში წასასვლელათ.

ჟაკ. თქვენი ცხენები, ბატონო? რის ცხენები? ფეხები ველარ დაუძრავთ. თქვენ იმათ ისეთ მარჯვას ანახვინებთ, რომ, მგონია, ბებია ჩემსაც არ შეუნახავს.

ჰარპ. რამ გახადა აგრე, რომ არაფერს აკეთებენ?

ჟაკ. განა ვინც არას აკეთებს, ჰამა არ უნდა? ნეტავი გექმიათ რამე და ჯაფით თუნდა სული ამოგერთმიათ. გული მიკვდება, იმათ საცოდობას რომ ვუყურებ. ჩემი ცხენები ისე მიყვარს, რომ იმათი ტანჯვა ჩემ ტანჯვათ მიმაჩნია. ღმერთი ხომ არის მოწამე—პირიდგან ლუკმას ვიღებ და იმათ ვაძლევ. აბა რა გულის კაცი უნდა იყოს, რომ პირუტყვი არ ებრალე-ბოდეს!..

ჰარპ. ბაზრამდის არა უშავთ-რა, დიდი ჯათა არ დაადგებათ.

ჟაკ. არა, ბატონო, მე იმათი წვალება არ შემიძლიან, შოლიტს იმათ ვერ დავჰკრავ და უიმისოთ ეხლა ისინი ვერ გამოდგებიან. არა, ერთი მიბრძანეთ, ეტლს როგორ დასძრავენ, თავის ფეხებიც რომ ვერ დაუძრავთ?

ვალ. ნუ სწუხართ, ბატონო, მე ჩვენს მეზობელს დავუძახებ; ცხენებსაც გაუძღვება და ვახშმის გაკეთებასაც გვიშველის...

ჟაკ. გიშველა ღმერთმა! ისევ სხვის ხელში დაიხოცნენ,— ჩემ ხელში დახოცვას.

ვალ. კარგს იზამდი, ჟაკ, რომ კკუას ძალას არ ატანდე.

ჟაკ. თქვენ უფრო კარგს იზამდით, ბატონო მოურავო, რომ ყველა საქმეში არ ეჩხირებოდეთ.

ჰარპ. (ჟაკს) ჩუმათ, ბევრს ნუ ყბედობ...

ჟაკ. მე, ბატონო, პირმოთენობას ვერ გავუძღებ. განა არ მესმის, რისთვისაც სჩადის ეს ყმაწვილი ამისთანა საქმეებს? იმისთანა არა იქნება—რა, რომ მაგას ხელიდან არ გამოუვიდეს: მზარეულიც ეგ არის, ხაბაზიც, მეჯინიბეც, ლაქიაც და მეცნიერიც. მაგის ბაქი-ბუქმა ილაჯი წაიღო. ვითომ რაო? ბატონს თავი მოვაწონო—და შევავაროვო. ის კი არ იცის ჩემმა ბატონმა, როგორ შეუკურთხებენ ხოლმე, რაკი თვალიდგან მოიშორებენ. ბარემ გული მიღრინავს, მაგრამ რას ვიზამ. ტყუილს, ბატონო, მე. შენ არ გეტყვი, — დამიჯერე, ღმერთი არ გამიწყრება, ისე მიყვარხარ, რომ ჩემს ცხენებში ვერ გამომიჩრევიხარ...

ჰარპ. არ შეიძლება, ერთი გავიგოთ, როგორ შემოპიკურთხებენ ხოლმე?

უკ. მოგახსენებდი, მაგრამ ვაი თუ გამიწყრე.

ჰარკ. ნუ გეშინიან, არ გაგიწყრები.

უკ. უკაცრავათ კი ნუ ვიქნები, ბატონო, და მგონია კი, რომ გეწყინებათ.

ჰარკ. მე, პირ-იქით, მადლობელიც დაგრჩები, თუ ყველას შემატყობინებ, რასაც ჩემზე ლაპარაკობენ.

უკ. მაშ თუ აგრეა, ყველა სიმართლეს მოგახსენებთ. საითაც კი მიიხედავთ, ყველგან თქვენ დაგცინიან. ისე პირს არავინ არ დააღებს, რომ თქვენი სახელი არ ახსენოს და ზედ, ათასი რაღაც-რაღაცეები არ მიაცოლოს. ერთს მოუგონია, ვითომ თქვენ ახალი ჟამნი შეგიდგენიათ; ქრისტიანულათ ხომ ერთის მეტი დიდ-მარხვა არ არის, თქვენში ვითომ ოთხი იყოს, აბა რა მოსაგონია? მეორეს მოუგონია, ვითომ თქვენ ბიჭებს განგებ უჯავრდებოდეთ და ეჩხუბებოდეთ ვადის გასვლის დროს, რომ ჯამაგირი თქვენ შეგრჩეთ. მესამე ამბობს, რომ თქვენი მეზობლის კატაზე საჩივარი შეგიტანიათ, ცხვრის დუმის ნაგლეჯი მომპარაო; გინახავთ ამისთანა ლაზღანდარობა? მაგრამ ეს კიდევ არაფერი. ერთს მოუგონია, რომ თქვენ თითონ შეპარულხარ. ერთ ღამეს თქვენსავე თავლაში, თქვენვე თქვენნი. უკ ცხენებისათვის ქერის მოპარვა გდომებიათ, მაგრამ მეჯინიბეს მოუსწვრიხართ ბნელაში და იმდენი ურტყამს, რომ სულ ზურგიდან ტყავი აუძვრია, მაგრამ სირცხვილით ხმა ვერ ამოგიღიათ. რაღა ბევრი გაგიგრძელოთ, ბატონო, ერთი სიტყვით ყველგან თქვენი ლანძღვა ისმის. ყველა თქვენ ყოფილხართ: ძუნწიც, წუწკიც, ქეციანიც, ლაჩარიც და, უკაცრავალი პასუხია...

ჰარპ. (უკაც ცემას დაუწყებს) რას მიჰქარავ, შე თითონ წუწკო, შე ღორღო შენა, შე ლაწირაკო.

ჟაკ. ვაიმე—ვაიმე!..

ჰარპ. ამას იქით ჰკუთხას ისწავლი (გაღძის).

გამოსვლა 6.

ვალერი, ჟაკ.

ვალ. გეყო თუ არა! (იცინის) კარგათ დაგიჯდა მგონი, შენი სიმართლე... რა გინდოდა ჰა? (გაღძის)

გამოსვლა 7.

მარინა, ჟაკ, ფროსინა.

ფრ. ჟაკ, თუ იცი, ბატონი შინა ბრძანდება?..

ხაკ. ვიცი და აგრე? დიანდ, შინ არის.

ფრ. მოახსენე ერთი თუ ღმერთი გწამს, რომ ჩვენ აქა ვართ.

გამოსვლა 8.

მარინა და ფროსინა.

მარ. ოჰ, ფროსინა, რა უცნაურ მდგომარეობაში ვარ, რა რიგათ მეშინია იმის ნახვისა.

ფრ. რისა გეშინია, ან სამწუხარო რა გაქვს?

მარ. როგორ თუ რა! ნუ თუ ვერ წარმოგიდგენია რა დარდი უნდა ჰქონდეს იმ კაცს, რომელიც დღეს ხვალ სატანჯველს მოეღის?!

ფრ. განა არ ვიცი, რომ თუ კი ამორჩევაზე მივარდება საქმე, თქვენ ჰარპაგონს არ ამოირჩევთ, ის ქერა კი, რომელზედაც წედან მელაპარაკებოდით, როგორცა ვხედან, თვალში დაგჯდომია.

მარ. გამოგიტყდები, ფროსინა, რომ ის მიყვარს — მომწონს და სულ თვალ-წინ მიდგა, მეტადრე მასუკან, რაც იმან ჩვენ სახლში სიარული დაიწყო,

ფრ. გაიცანი კი, რა კაცია?

მარ. გაცნობით ჯერ არ გამიცნია, მაგრამ შეხედულობა იმისთანა აქვს, რომ უთუოდ თავს შეგაყვარებს; რასაკვირელია, მე რომ მომანდონ, ყველას მაგას ვამჯობინებდი და, უნდა გითხრა, მაგის ბრალიც არის, რომ ეხლანდელი ჩემი საქმრო ეგრე მაშფოთებს.

ფრ. საკვირველია, ღმერთს გეფიცები! ქერა ყმაწვილები ასე აყვარებენ თავს, მაგრამ უმეტესი მათგანი საშინელი ღატაკები არიან. საქმრო ისევ მდიდარი ბებერი გირჩევნია. მართალია, გული სხვას გეუბნება და ბებერი შენი შესაფერი არ არის, მაგრამ მაინც ეგა სჯობს, რადგანაც მალე მოკვდება და შენ სრულებით თავისუფალი დარჩები. მაშინ ვინც გიყვარს ის ამოირჩიე.

მარ. უჰ, ფროსინა, მაგას როგორ ამბობ? ჩემ საბედნიეროთ სხვის სიკვდილს უნდა მოველოდე; პირობას ხომ ვერ ჩამოვართმევ, უთუოდ მოკვდი მეთქი?!

ფრ. მაშ რა გგონია? უიმისოთ არას გზით არ შეირთო, მინამ პირობა არ მოგცეს, რომ მალე დაგაქვრივებს.

მარ. უჰ, შენი კირიმე, რასა ჰგავს!

გამოსვლა 9.

ჰარპაგონი, ფროსინა, მარინა

ჰარპ. (მარინას) მაპატივე, ჩემო ხელმწიფე, რომ სათვალეებით გაახელი თქვენი სიმშვენიერის სამზერათ. თქვენ ისეთი მშვენიერებით ბრწყინავთ, რომ სათვალეები საკირო არ იყო, მაგრამ ყოველ მნათობს სათვალეებითა სინჯვენ ხოლმე და, რადგანაც ჩემთვის თქვენ უმშვენიერესი და უტურფესი მნათობი ბრძანდებით ყველა მნათობთა შორის, ამიტომ გავბედე და სათვალეები გავიკეთე. ფროსინა, რატომ ხმას არ იღებს; არც სიყვარული ეტყობა ჩემის დანახვით.

ფრ. ჯერ კიდევ უცხოობს. ხომ იცით, ყველა ყმაწვილი ქალები მორცხვები არიან და თავის დღეში არ იტყვიან, რაც გულში უდევთ.

ჰარპ. მართალს ამბობ. (მარინას) აი უმშვენიერესო, ჩემი ქალიც გაახლებათ...

გამოსვლა 10.

ჰარპაგონი, ელიზა, მარინა, ფროსინა.

მარ. უკაცრავათ, რომ აქამდის ვერა გნახეთ და ვერ გაგიცანით.

ელ. რასა ბრძანებთ, ბატონო, სიტყვა დამასწავრით, თორემ ბოდიში მე უნდა მომეხადა.

ჰარპ. მოზრდილი ქალი კი მყავს, მაგრამ ცუდი

ბალახი ყოველთვის მაღალი იზრდება.

მარ. (ფრანსინას, დასდა) ოჰ, რა საძაგელი რამ არის!..

ჰარკ. რას ბრძანებს ჩემი მზეთ უნახავი?

ფრ. სულ თქვენ ქებაშია.

ჰარკ. მაგ ბედნიერების ღირსი არა ვარ, ჩემო მშვენიერო!

მარ. (წაღკე) ღმერთო, რა მხეცია!

ჰარკ. მეტის-მეტათ მავალებთ მაგ გრძნობის გამოცხადებით.

მარ. (წაღკე) მეტის მოთმენა აღარ შემიაძლიან.

ზამოხვლა 11.

იგინივე, კლევანტი, ვალერი, ბრინდუანი.

ჰარკ. აი, ჩემი შვილიც გაახლათ თქვენ სანახავათ.

მარ. (ფრანსინას, დასდა) ფროსინა, ჰხედავ? ეს სწორეთ ის არის, ვისზედაც მე გელაპარაკებოდი.

ფრ. ეს კაი ამბავია!

ჰარკ. როგორცა სჩანს, გიკვირთ, რომ ამისთანა დიდრონი შვილები მყავს, მაგრამ მალე მტერი მოვიკვდეს, მალე მე ეგენი თავიდან მოვიშორო.

კლ. (მარინას) სწორეთ მოგახსენოთ, მე არ მოველოდი ამისთანა შემთხვევას და დიდათ გამაკვირვა მა-მა-ჩემმა, თავის გულის წადილი რომ გამომიცხადა.

მარ. მეც ეგვეე უნდა მ-გახსენოთ. ჩვენს აქ ერთნეთთან შეხვედრას არც მე მოველოდი და დიდათაც გამაკვირვა.

კლ. მართალია, მარინა, თქვენზე კარგს მამა-ჩემი ვერავის ვერ ამოიჩვენებდა, და დიდათ მოხარული ვარ თქვენი აქ ნახვისა, მაგრამ ამასთანავე უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენი დედი-ნაცვლობა არაფრად მიაგება. ღმერთმა თქვენც დაგიფაროთ მაგისტანა ხვედრისაგან. იქნება გარეშე კაცს არ მოეწონოს ჩემი სჯა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, თქვენ კი დამეთანხმებით, რომ საზიზღარი ცოლ-ქმრობა გძულთ. თქვენ კარგათ იცით, როგორ შემეხება მე ეგ საქმე და ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ ასე ცხარეთ ვეკიღები. გამოგიტყუდებით და გეტყვით, თუ მაპი-ჩემის ნებაც იქნება, რომ უოველ ღონისძიებას ვიხმარდი თქვენი ჯვარის-წერის დასარღვევად, ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული.

ჰარპ. გინაწავთ კიდეც ამისთანა ურცხვი? ერთი შითხარი, ვინ გეუბნება აღსარება მიუხარო?

მარ. ჩემის მხრით მეც იმასვე მოგახსენებთ, რაც თქვენ მიბრძანეთ: თუ თქვენ ჩემი დედი-ნაცვლობა მიგაჩნიათ სამწუხაროთ, მე კიდეც უარესათ-- თქვენი გერობა. ნუ გეგონებათ, რომ მე ვარ მიზეზი თქვენი მწუხარებისა; მე პატიოსან სიტყვას გაძღვევთ, თავის დღეში არ დავთანხმდები იმისთანა ჯვარის-წერაზე, რომელიც თქვენ შეგაწუხებთ, თუ ვინმემ ძალა არ დამატანა.

ჰარპ. სწორეთ აგრე უნდა. სულელურ სიტყვას პასუხიც შესაფერი ეკუთვნის. ბოდის ვიხდი, ჩემო მშვენიერო, ჩემი შვილის სიბრძნისათვის: ჯერ კიდევ ქკუა აკლია და არ ესმის, რასა ჰბოდავს.

მარ. მერწმუნეთ, რომ მაგის სიტყვებმა სრულებით არ მაწყენინა. მე უფრო მადლობელი ვარ, რომ აგრე გადამიშალა თავის გული.

ჰარპ. ეგ ხომ მეტი-მეტი წყალობაა თქვენგან მაგ-დენი შეკოდების მიტევა; მაგრამ არა უშავს-რა, თან-და-თან ქკუას ისწავლის და გამოიცვლის აზრს.

კლ. შემცდარი ბრძანებით, მამა-ჩემო, მე რაცა ვსთქვი, თავის დღეში არ გადაეთქვამ...

ჰარპ. ვერ უყურებთ ამ საძაგელს? ეხლა უფრო თავს გავიდა.

კლ. მაშ რა ვქნა? ჩემ გულს მე თითონ ვულა-ლატო?

ჰარპ. დიდება შენთვის ღმერთო! აღარ დაგვეხს-ნები?

კლ. წარმოიდგინეთ, მშვენიერო მარინა, რომ მე მამი-ჩემის მაგივრათ ვდგევარ თქვენ წინ. თქვენ ხართ უმ-შვენიერესი ქმნილება მთელ ქვეყანაზე; დედა-მიწის ზურგზე ჯერ არა დაბადებულა-რა უკეთესი და იმაზე ბედნიერი ქვეყანაზე არავინ იქნება, ვისაც შენ მოიწო-ნებ. არა ხელმწიფის ბედს არ დავხარბდებოდი, აუნდ მთელი ხმელეთის მბრძანებელიც ყოფილიყო, ოღონდ შენთან გვირგვინს ველირსებოდე. ოჰ, მარინა, მე მეტი არა მინდა-რა, ველარაფერი დამიდგება წინ, არაფერს არ შევეუშინდები და ყველას ავიტან შენი ერთი სიტყ-ვისათვის, ოღონდ კი შენ მითხარ: „ჩემი ხარ!“ ოჰ, ოღონდ კი...

ჰარპ. დაწყნარდი, დაწყნარდი!

კლ. ბატონო, მე თვენ მაგივრათ ვლაპარაკობ,

ჰარპ. ახა, ღმერთო! მე ენა დამება, თუ რა ამბავია? რასაც მოვინდომებ, მე თითონაც კარგათ ვიტყვი, შუამავალი რაღა საქიროა?! შენ აქ სკამები მოართვი, ის ემჯობინება.

მარ. არა ბატონო, სჯობს ჯერ ბაზარში წავიდეთ, უფრო ადრე დავბრუნდებით და უფრო ბევრი დრო დავგვრჩება სამუსაიფოდ...

ჰარპ. (ბრანდუანს) ცხენები შეაბმევინე საჩქაროთ ეტლში.

ბამოსვლა 12.

იგინივე, ბრინდუანს გარდა.

ჰარპ. მაპატივე; ჩემო მშვენიერო, რომ აქამდე სამხრათ არა მოგართვით-რა.

კლ. მე წინათვე მივხვდი, რომ ასე მოხდებოდა და ამიტომ თქვენ მაგივრათ მოვატანინე მალაზიიდან რამდენიმე კალათა ფორთოხალი და მურაბები.

ჰარპ. (ვალერს, დახლა) ვალერ!

ვალ. (ჰარპს) გაგონილა!..

კლ. მამა-ჩემო, ცოტათ ხომ არ გეჩვენა? არა უშავს-რა, მარინა ისეთი კარგი გულისაა, რომ მოგვიტყვებს.

მარ. რასა ბრძანებთ, ბატონო, არც ეგ იყო საქირო.

კლ. რა მაგის პასუხია, და გინახავთ სდამე ამისთანა ბრწყინვალე ალმასი, როგორც მამა-ჩემსა აქვს თითზე?

მარ. მართლაც მშვენიერება რამ არის...

კლ. (შამის ხელიდან წაძრთის ბეჭედს და მარინას აძლევს) არა, თქვენ ახლო გაშინჯეთ როგორია!..

მარ. მშვენიერება არის, მშვენიერება, საკვირველათა ბრწყინავს.

კლ. (წინ დაუდგებს მარინას, რომელიც ჭანჭანს ბეჭედს შიგნის უშირესს) თქვენ არ მომიკვდეთ,— ეხლა თავის შესაფერ თითებს უკირავს. მამა-ჩემმა პირის-სანახავათ მოგართვათ.

ჰარპ. მე?

კლ. ამ ბეჭედს თქვენ სახსოვრათ აძლევთ მარინას, განა მამა-ჩემო?

ჰარპ. (კლექსს, დაბლა) როგორ თუ?

კლ. (მარინას) აკი მოგახსენეთ! შეხედეთ, როგორ მეხვეწება, ჩემს მაგივრათ მიართვიო!

მარ. რას ბრძანებთ, ბატონო, მე თითონ არ ავიღებ.

კლ. (ნების არ აძლევს დაუბრუნოს) არა, თქვენმა მზემ, ძალიან ეწყინება.

მარ. ნება მომეცით.

ჰარპ. (ცაღკე) დასწყევლა ღმერთმა, ამისთანა უბედურება გაგონილა!

კლ. შეხედეთ, როგორ ჰსწყინს, რომ უარს ამბობთ...

ჰარპ. (კლექსს, დაბლა) დამაცადე, შე მუხანათო!

კლ. მამა-ჩემო, ხომ ხედავთ, ჩემი ბრალი არ არის; მე რაც კი შემიძლიან, ვეხვეწები, აილე მეთქი, მაგრამ ვერა გზით ვერ დავაჯერე.

ჰარპ. (კლექსს დაბლა) დამაცადე, შე ჩამოსაღრჩობო.

კლ. თქვენი ბრალი იქნება, მარინა, მამა-ჩემი რომ წაშეჩხუბოს.

ჰარპ. დამაცადე, შე არამზადადე.

კლ. ღმერთს გეფიცებით, ავით გახდება, ნულარ გაჯიუტდებით, აიღეთ...

ფრ. (მარინას) რა დაგემართათ თქვენც? გამოართვით, რაკი აგრე გეხვეწებიან.

მარ. (ჰარპსგანს) რაკი აგრე სწუხთ, მეც აღარ გაწყენინებთ.

გამოსვლა 13.

იგინიყე და ბრინდუანი.

ბრინ. ვილაკა კაცი გახლათ, ბატონო, თქვენი ნახვა უნდა.

ჰარპ. წადი, უთხარ, რომ არა მცალიან; მეორეთ მოვიდეს.

ბრინ. ფული უნდა მივართვა ბატონსაო.

ჰარპ. (მარინას) პატარა ხანს დამითხოვეთ, ეხლავე გაიხლებით.

კლ. მინამდისინ, მამა-ჩემო, თქვენს მაგივრათ მე გავსწევ მასპინძლობას, და მარინას ბალში მივართმევ სამხარსა.

გამოსვლა 14.

ჰარპაგონი და ვალერი.

ჰარპ. ვალერ, თუ გიყვარდე, ყველაფერზე თვალყური გეკიროს, ეგება პატარა ბევრი გადაანარჩუნო

სამხარს, რომ ვაქარს უკანვე დაფებუნო.

ვალ. ბატონი ბრძანდებით.

ჰარპ. ჩემ დასალუბავათ მეყოლა შეილი. დამაცადე, შე ჩამოსადრჩობო!

(ფარდა დაეშვება).

მოქმედება მეოთხე.

გამოსვლა 1.

კლეანტი, მარინა, ელიზა, ფროსინა.

კლ. ასე მობრძანდით, ეს ისეთი ადგილია, სადაც თამამათ შეგვიძლიან, რაზედაც გვინდა, იმაზე მოვილაპარაკოთ.

ფრ. ორნივე ძალიან ურიგოთ მოვიქეცით. თქვენი განზრახვა ცოტა ადრე რომ გამგებიყო, საქმესაც კარგათ წავეყვანდი და ამ გაქირვებულ მდგომარეობიდანაც დაგეხსნიდით.

კლ. რა გაეწყობა, ჩემს ბედს უნდა დავემდურო. მშვენიერო მარინა! შეიძლება შენი სურვილი შევიტყო?

მარ. ჩემი სურვილი ეს არის, რომ დედა-ჩემთან მოილაპარაკოთ. მე იმისი დიდი ხატრი მაქვს; პატარაობიდანვე ფუფუნებაში გავუზღივარ და სწორეთ გითხრა, არ მინდა, რომ იმას მწუხარება მივაყენო.

კლ. შენ, ჩემო ფროსინა, ამ საქმეში ხელს არ მოგეიმართავ?

ფრ. ეგ რაღა საკითხავია; როგორ არ მოგიმარ-
თავთ! ხომ იცით, როგორი შემბრალებელი ვარ კაცისა.
იცით ხომ, რომ ღმერთს ჩემთვის ქვის გული არ მოუცია?!

კლ. აბა, გეთაყვა, მოაგვარე რამე.

ფრ. ეგ საქმე მე ძლიერ მეძნელება. (შარინას მიუ-
ბრუნდება) დედა-შენთან საქმის გარიგება ადვილია; ის
კეთილი და გონიერი დედა-კაცია; იმედია, იმას მალე
დაეიყოლიებთ, რომ შენ, მაშის მაგიერათ, შეიღს მიგა-
თხოვოს, (კლანტს მიუბრუნდება), მაგრამ ვაი, რომ მამა-
შენი სხვა მამებს არა ჰგავს!

კლ. ეგ მე ვიცი.

ფრ. (შარინას) ეგება როგორმე მოვახერხოთ და
თვითონ იმას თქვენზე უარი ვათქმევინოთ.

კლ. ძალიან კარგი იქნება.

ფრ. დიალ, კარგი იქნება, მაგრამ ამის მოხერხება,
მე კი არა, ეშმაკსაც არ შეუძლია. ეს რა კაი ფიქრი
მომივიდა. იცით რა? მოდი მოვნახოთ სადმე ერთი ხან-
ში შესული ქალი, აი ჩემსავით მოხერხებული და ხმა
დაეყაროს, რომ ვითომც ის ახლათ მოსულა უცხო
ქვეყნიდან და უთვალავი ქონება აქვს; ვითომც მამა-
თქვენი იმას გაგიყებით უყვარს და ძრიელ მოწადინე-
ბულიც იყოს, რომ ის შეირთოს და თავის ქონებასაც
სრულებით დაუმტკიცებს. არა მგონია ამისთანა, ამბავს
ყური არ ათხოვოს. მართალია თქვენ იმას ძლიერ უყ-
ვარხართ, მაგრამ ცოტა თქვენზე მეტათ იმას ფულები
უყვარს. როდესაც იმას დავაჯერებთ, შეიძლება თქვენ
ქორწინებაზედაც დავათანხმოთ. ბოლოს ოინებსაც,

მართალია, გაიგებს, მაგრამ ბევრიც იხტუნოს, რაღას დაგვაკლებს...

კლ. უკეთესი მოხერხება არ უნდა, რომ ეს არის!

ფრ. მე ეგ მიკისრია. მე ვიცი და ამ საქმემ! ჩვენ რომ ქალი გვინდა, ისეთი ქალიც მზათა მყავს.

კლ. ფროსინა! თუ ამ საქმეს კარგათ დააბოლოებ, იცოდე, შენს სიკეთეს გადავიხდი. საყვარელო მარინა, შენ უნდა დედა-შენს შეუჩნდე; ვიცი ის უარს არაფერზე გეტყვის, თუ შემწეთ გეყოლება ეგ შენი სილამაზე, სიტურფე, ტკილათ მოუბარი ენა, და განსაკუთრებით შენი ალერსი. ეგ ალერსი, მაგ ეშხიან, მოცინარ თვალეზე და ნაზ ტუჩებზე ისე მშვენიერათ იხატება. (ხელზე ჭკოცნის).

მარ. რითაც კი შევიძლებ.

გამოსვლა 2.

ჰარპაგონი, კლევანტი, მარინა, ელიზა, ფროსინა.

ჰარპ. (მოშორების სდგას, იმის იქ ყოფნას ეერ შენიშვნეს) ანას რას ვხედავ? ჩემი შვილი ხელზე ჰკოცნის თავის დედი-ნაცვალს; ისიც უარს არ ეუბნება. აქ რაღაც ამბავია.

ელ. აი მამა-ჩემიც.

ჰარპ. ეტლი მზათ გახლავთ; როცა გნებავდეთ, მაშინ წაბრძანდით.●

კლ. მამა-ჩემო, რადგანაც ამათ თქვენ არ მიჰყვებით, მე მაინც გაფჰყვები.

ჰარპ. არა, არა! ეგენი მარტო წაველენ, შენ აქ დარჩი, მე შენთან საქმე მაქვს.

ჰარპაგონი და კლენტი.

ჰარპ. დედი-ნაცვლობით კი ნუ მოერიდები და სწორეთ მითხარ: შენ რას ფიქრობ მაგ ქალზე?

კლ. რასა ვფიქრობ?

ჰარპ. ჰო, იმის შეხედულებაზე, ტანადობაზე, სიმშვენიერეზე, კკუაზე...

კლ. არა რა ვიცი, რას ვფიქრობ.

ჰარპ. მაინც?

კლ. გამოგიტყდები მამა-ჩემო; მე როგორც ვეგონა, ისეთი არ არის. რალაც მეჭის-მეტი პრანკია სჩანს, ტანიც უშნო აქვს, სილამაზითაც მაგდენი არაფერია, და არც დიდი კკუის პატრონი გახლავს.

ჰარპ. წელან შენ იმას ელაპარაკებოდლი...

კლ. დიალ, თქვენ მაგიერ ორიოდ ტკბილი სიტყვა ვუთხარ...

ჰარპ. ერთი ეს მითხარ, შენ იმაზე თვალი ხომ არ გიკირავს?

კლ. მე? ეგ რა სათქმელია?

ჰარპ. გამიგონე. როცა მე ის ქალი კარგათ გაეშინჯე, მერე ცოტა ხანს ჩავფიქრდი, თვალ-წინ ჩემი წლოვანება წარმომიდგა; მერე ამ აზრმა გამიელვა თავში: ვინ რას იტყვის, რომ ამ ხნის კაცმა ამისთანა ახალგაზდაზე ჯვარი დავიწერო. ამის გამო მინდოდა იმ ქალზე ხელი ამეღო და შენთვის დამეთმო, მაგრამ ხათაბალა ის არის, რომ შენ ის არ მოგწონს.

კლ. ჩემთვის უნდა დაგეომოთ?

ჰარპ. ჰო!

კლ. საცოლეთ?!

ჰარპ. ჰო!

კლ. მაშ უური დამიგდე. მართალია, მე ის ქალი არ მომწონს, მაგრამ თუ თქვენთვის სასიამოვნო იქნება, გავბედავ ჯვარის დაწერას.

ჰარპ. არა, შეილო, მეც გამეგება რამე. ისე შეუგნებელიც არა ვარ, როგორც შენა გგონია, მე სიყვარულის დაძალება არ მიყვარს.

კლ. მამა-ჩემო! ღმერთს გეფიცები, თქვენი გული-სათვის ძალათ შევიყვარებ.

ჰარპ. არა შეგლო, არა. ცოლ-ქმარს თუ ერთი-ერთმანეთი არ უყვართ, ბედნიერი არ იქნებიან.

კლ. მამა-ჩემო! სიყვარული ისეთი რამ არის, რომ ჩვენდა უნებურათ დაინერგება; ნათქვამია, სიყვარული ქორწინების ნაყოფიაო.

ჰარპ. არა! სწორე გითხრა, კაცი წინ-დაუხედლობით ბევრს წააგებს. შენ ადგილას მე ამას არ ვიზამდი. შენ რომ -ის ქალი გყვარებოდა, მე იმას თავს დავანებებდი და ჩემ მაგიერ შენ იმაზე ჯვარს გადაგწერდი, მაგრამ, რადგანაც შენ ის არ მოგწონს; რაღა გაეწყობა, ისევ მე უნდა შევიერთო.

კლ. მაშ კარგი! რახან აგრეა, მე ახლავე გადაგიშლი ჩემ გულს: გეტყვი ჩემს საიღუმლოს. მართალი თუ გინდა ეს არის: მე ის ქალი მას აქეთ მიყვარს, რაც ის ერთხელ სეირნობის დროს ვნახე. ეხლა უნდა

მეთხოვა, რომ იმაზე ჯვარის დაწერის ნება მოგეცათ; მაგრამ ვერ გავბედე; ვიცოდი, რომ იმ ქალზე თქვენც თვალი გექირათ და არ მინდოდა გამეჯავრებინეთ.

ჰარპ. დადიოდი იმასთან თუ არა?

კლ. დადიოდი.

ჰარპ. ხშირათ?

კლ. დიახ, ხშირათ.

ჰარპ. კარგათ გეპყრობოდნენ?

კლ. ძალიან კარგათ, თუმცა ჩემი ვინაობა კი არ იცოდენ.

ჰარპ. გამოუცხადე იმას შენი სიყვარული? აცნობე, რომ შენ გინდა იმაზე ჯვარი დაიწერო?

კლ. უეჭველია, რომ ეგრე იქნებოდა! ჩემი განზრახვა იმის დედასაც შევატყობინეთ.

ჰარპ. მერე უარი გითხრა?

კლ. არა.

ჰარპ. ქალსაც უყვარხარ?

კლ. ჰო, როგორც ვატყობ, ის კარგის თვალით უნდა მიყურებდეს.

ჰარპ. (ხმა-დაბლა, ჰიზის მოწიფებათ) კარგი ამბები შევიტყე: მეც ეს მინდოდა. (ხმა-მაღლა) ვაჟ-ბატონო! იცი რა გითხრა! მე შენ გიბრძანებ, იმ ქალის სიყვარული გულიდან ამოირეცხო! არ იცი, რომ შენ, იმაზე უნდა დაიწერო ჯვარი, ვიზედაც მე მიგითითებ?

კლ. განა ეგრე მასხარადაც უნდა ამიგდოთ? მაშ კარგი! რახან ეგრეა, მე პირ და პირ გამოგიცხადებ, რომ მე მარინაზე ხელს არ ავიღებ! რაც უნდა საშინელი

მდგომარეობა მომელოდეს. იცოდე, ყოველი განსაცდელისათვის მზათა ვარ და თუნდაც რომ იმისი დედა დაიყოლიო, იცოდე მაინც ვერას გაიტან.

ჰარპ. აი, შე ლაწირაკო, შენა! შენ მიბედავ ჯიბრში ჩადგომას?

კლ. მე კი არა, შენ მიწდგეხარ ჯიბრში. შენზე პირველათ მე არ განვეუცხადე მას სიყვარული?

ჰარპ. მე მამა არა ვარ? შენ მე არ უნდა მემორჩილებოდე?

კლ. ველარ გაიგე, რომ მაგისტანა საქმეში შეიღებები მამას აღარ ემორჩილებიან? სიყვარული არავის ემორჩილება; იმას აღვირს ვერავინ ამოსდებს.

ჰარპ. როცა კაი-კაის მოგარტყამ, მაშინ დაგიმორჩილებ მე შენ!

კლ. შენ მაგითი ვერ შემაშინებ!

ჰარპ. თუ კაცი ვარ, მარინაზე ხელს აგალებინებ.

კლ. როგორ შეგიძლიან.

ჰარპ. რაო? ჩქარა, ჩქარა, ჯოხი მომაწოდეთ!

გამოსვლა 4.

ჰარპაგონი, კლენტი, უაკ.

უაკ. ჰეი, ჰეი! ეს რა ამბავია? როგორ გეკადრებთ ბატონო!

კლ. მე შენი ჯოხისა არ მეშინიან!

უაკ. (კლენტი) ხმა დაიდაბლე, ყმაწვილო, მორიდება გმართებს!..

ჰარპ- შე უსინიდიხო, შენა! როგორ ჰბედავ ეგრე უზრდელათ ჩემთან ლაპარაკს!

ჟაკ. აპატივე, ბატონო, აპატივე!

კლ. მე ჩემ სიტყვას არ გადავსთქვამ.

ჟაკ. (კლუანტის) როგორ ჰბედავ მაგას მამა-თქვენთან?

ჰარპ. გამიშვით!

ჟაკ. რას ნებულობთ, ბატონო, რასა! შვილზე იწევთ საცემრათ? მე რომ მცემოთ, კიდევ ჰო, ჰო...

ჰარპ. ჟაკ, მოდი, შენ გაარჩიე ჩვენი საქმე; მაგრამ ჯერ კი ჩემი გაიგონე...

ჟაკ. ბატონი ბრძანდებით! (კლუანტის მიუხრუნველად) ყმაწვილო, არ შეიძლება ცოტა უკან დადგეთ?

ჰარპ. ჟაკ! მე მიყვარს ერთი ქალი; მალე იმაზე ჯვარის დაწერას ვაპირებ. ის ქალი ამ წუწკსაც შეპყვარებია. ამასაც უნდა იმაზე ჯვარი დაიწეროს; თავს არ ანებებს, ჩემი ურჩი ხდება.

ჟაკ. ეგ მტყუანია ამ საქმეში.

ჰარპ. კაცო, გაგონილა, რომ შვილი-მამას ეკიდობოდეს? ნუ თუ შვილს დედ-მამის იმოდენა მორჩილება არ უნდა ჰქონდეს, რომ მამის სიყვარულს არა ჰკადროს-რა?

ჟაკ. მართალსა ბრძანებთ. თქვენ აქ შომითმინეთ — მე მივალ და იმასთან მუვილაპარაკებ.. (ღაჟღუბს).

კლ (მიუხრუნვებლად) ჟაკს, რამეღაფ იმას უსადაუდესად) ჟაკ, მეც შენ ამომირჩევინებარ; შენ იცი როგორც პირ-უთვნელათ გაარჩევ ჩვენ საქმეს. ჟაკ მე მიყვარს

ერთი ქალი; იმასაც მე ვუყვარვარ; მამა-ჩემიც ეარში-
ყება. შენ რას იტყვი ამაზე?

ჟაკ. მტყუანია მამა-თქვენი.

კლ. სირცხვილი არ არის მაგ ხნის კაცი ცოლის
შერთვაზე ჰფიქრობდეს, ან შეჭფერის მაგას არშიყობა?
ეგ საქმე მაგან ყმაწვილ-კაცებს არ უნდა დაუთმოს?

ჟაკ. მართალსა ბრძანებთ; ალბათ ხუმრობს მამა-
თქვენი. ერთი წავიდე იმას დავეკითხო. (ჭაბჭაგონს) ეჰ,
საკვირველი კაცი ბრძანდებით, ღმერთმანი. მე თქვენ
შვილში გასაკიცხავს ვერასა ვხედავ. ის ამბობს მხო-
ლოდ, რასაკვირველია, შვილი მამას უნდა ემორჩილე-
ბოდესო, მაგრამ მამასაც მართებსო, რომ შვილს კარ-
გათ მოეპყრასო. ოღონდ შესაფერი საცოლვე ამოურ-
ჩიეთ, ის მეტს არაფერსა გთხოვთ.

ჰარპ. წადი და უთხარი, რომ თუ ეგრე ჰკვიანათ
დაიქერს თავსა, ჩემგან ბევრს წყალობას მოელოდეს.
ოღონ მარინას თავი დაანებოს და სხვა ვინც უნდა
ამოიჩიოს.

ჟაკ. ეგ მე მომანდეთ. (გლჟანტს მიუხიწყუნდებ) მამა
თქვენი ისეთი შეუგნებელი კაცი არა სჩანს, როგორც
თქვენა გგონიათ. მართალია, ის თქვენ ყოფა-ქცევას
გაუტოფებია, თქვენი საქციელი არ მოსწონებია, მაგ-
რამ ახლა მოლბა და ყველაფერზე გეთანხმებათ, მხო-
ლოდ თქვენ კი იმასთან თავი ისე დაიქირეთ, როგორც
მას ეკადრება! მორჩილათ, თავ-მდაბლათ და ზრდილო-
ბიანათ.

კლ. ჟაკ! შეგიძლია დაარწმუნო მამა-ჩემი, რომ თუ ის მე მარინას დამითმობს, მთელ ჩემ სიცოცხლეში იმის ყურ-მოკრილ ყმათ გავხდები და ჩემის-თანა მორჩილებას იმას მთელ ქვეყანაზე ვერავინ ვერ გაუწევს.

ჟაკ. (ჭაჩაგონს) რაც გინდოდათ, 'შევა'რულე. ის ყველაფერზე თანახმა გაგიხდათ.

ჭარპ. ეგ კარგათ მოახერხე!

ჟაკ. (კლუანტს) დიად, გავათავე ყველაფერი; მამა-თქვენი ყაბულს არის!

კლ. მადლობა ღმერთსა!

ჟაკ. ბატონებო! ეხლა თქვენ მოილაპარაკეთ ერთ-მანეთში: ხომ შეგარიგეთ. მე რომ არ დაგსწრებოდით, კაი კინკლაობა მოგივიდოდათ.

კლ. ჟაკ! შენგან მე დიდათ დავალებული ვარ.

ჟაკ. დავალებათ არა ღირს ბატონო!

ჭარპ. ჟაკ! შენ მე დღეს დიდათ მასიამოვნე; სა-ჩუქრის ღირსი ხარ და (ჭაჩაგონი ჯიბეში სეღს ჩაიყოფს. ჟაკიტ სეღს გაუწვდის, მაგრამ ჭაჩაგონი მხოდით სეღს-ხოცს ამოიღებს ჯიბიდან და ეტყვის): არც დავივიწყებ.

ჟაკ. ღმერთმა თქვენი წყალობა ნუ მომაქლოს, ბატონო!

გამოსვლა 5.

ჭარპაგონი და კლუანტი.

კლ. მამა-ჩემო! გთხოვთ, მაპატივოთ ჩემი გულ-ფიცხობა.

ჰარპ. მიპატრივებია.

* **კლ.** გარწმუნებთ, რომ მას აქეთ დიდ სინანულში ვარ.

ჰარპ. მე კი სიხარულით ცას ვეწევი, რომ შენ კკუაზე მოსულსა გხედავ.

კლ. რა სულგრძელი ბრძანდებით, რომ ეგრე მალე ივიწყებთ ჩემს ურჩობას!

ჰარპ. თუ კი შეინანებს, ყმაწვილკაცს შეცდომა ყოველთვის მიეტევება.

კლ. პატიოსან სიტყვას გაძლევ, მაჰა-ჩემო, რომ თქვენი გულ-კეთილობა სიკვდილამდის მეხსომება.

ჰარპ. მე კი იმას გეტყვი შეილო, რომ რაც უნდა მთხოვო, ყველაფერს შეგისრულებ.

კლ. რახან მარინას თავს არ მაშორებ, სხვა აბა რაზე უნდა შეგაწუხო?

ჰარპ. რაო?!

გამოსვლა 6.

ქლევანტი და ლაფუეში, რომელიც ბალიდან გამოდის, ხელში უუთი უჭირავს.

ლაფ. ოჰ, ბატონის-შვილო, რა კარგ დროს გნახე! ჩქარა უკან გამომყევი.

კლ. რა ამბავია?

ლაფ. უკან გამომყევი მეთქი; ჩვენი საქმე კარგათ მიდის...

კლ. როგორ.

ლაფ. აი, ამაშია შენი ბედი,

კლ. რას ამბობ?

ლაფ. რომ იცოდე, მთელი დღე სულ ამას ვუთვალთვალე.

კლ. ეგ რა არის?

ლაფ. მამი-შენის დოვლათი ხელში ჩავიგდე.

კლ. როგორ მოახერხე, შე ეშმაკო!

ლაფ. ამას მერე გაიგებ; გესმის, მამა-შენი როგორ საცოდავად ღრიალებს?

გამოსვლა 7.

ჰარპ. (სადიდან შემოდის ყვირილით) არიქა, ქურდი! ქურდი! დაიქით, დაიქით, ეგ ავაზაკი, კაცის შველელი! ოჰ, შე სამართლიანო, დალოცვილო ღმერთო! ეს რა ამბავია ჩემს თავზე?! დავილუბე! გამცარცვეს, ყელი გამომპკრეს! ვინ იქნებოდა? როგორ მოვნახო? საით წავიდე, საით არა? აქ ხომ არ იქნება: ვინ იცის, იქნება აქვია! დადექ, დადექ! (წაივლის სიქლს შვალავს) ფულები, ჩემი ფულები დამიბრუნე! ფულები დამიბრუნე მეთქი! ვაიმე! ეს ხომ მე ვარ. კკუა ამერია. არ ვიცი სადა ვარ, ვინა ვარ, რას ვშერები? ვაი ჩემო, ჩემო საყვარელო ფულებო! ვაი ჩემო, ჩემო ერთგულო შეგობარო! წამართვეს შენი თავი! დამეკარგე! შენ

დამეკარგე, შაგრამ შენთან ნუგეში და სიხარულიც დამეკარგა! მართლა; რით ვიცხოვრო? ამის შემდეგ რით ვინუგეშო? მე ამ სოფლათ რაღა უნდა გავაკეთო? რაღა მინდა სიცოცხლე! ვკვდები; სამარეშიაც ჩაშვებას მიპირებენ. ვინ გახდება ჩემი ღმერთი! ვინ ჩამიდგამს მეორეთ სულსა! ვინ დამიბრუნებს ჩემ ფულსა?! ვაიმე რას ვბოდავ! ვის ველაპარაკები? რა კარგი დრო ამოურჩევია იმ არა-წმინდას, იმას; სწორეთ მაშინ დავუკლაფარ, როდესაც მე ჩემ თავხედ შვილს ველაპარაკებოდი! გავიდე გარეთ, პოლიციას მაინც ვაცნობო; მთელ ჩემ ოჯახს გავხვევ ამ საქმეში! გოგოებს, ბიჭებს, ქალს, შვილს და თვით ჩემს თავსაც, ჩვენება უნდა ჩამოვართვა. უჰ, ღმერთო! (შაჟუსა) დიდ-ძალი ხალხი მოგროვილა! ყველაზე იქვი მაქვს! ყველა ჩემი ქურდი მგონია. იქ რაზე ლაპარაკობენ? ალბათ ჩემს ქურდზე! ზევით კიდევ რაღაც ხმაურობაა! ალბათ ჩემი ქურდი იქ არის! ოხ, ღმერთო! რა შეგცოდნე ამის ფასი! ხალხნო! ნუ იღებთ ჩემ ცოდვას! მითხარით, ვინ გამომკრა ყელი? თქვენში ხომ არ იმალება? ყველა მე შემომჩერებია! მამასახლისებო! მოსამართლენო! მომეშველეთ, თქვენი ქირიმე! მე მინდა ყველანი ჩამოვადრჩო! ყველანი ჩემზე იცინიან, ალბათ ესენიც ჩემი ქურდის ამფსონები არიან! მცველებო! გზირებო! მტანჯველებო! მწვალებლებო! თუ ჩემი ფული ვერ ვიპოვნე, ჩემ თავსაც ჩამოვიღრჩობ.

(ფარდა დაეშვება)

მოქმედება მესუთე.

ბამოსვლა 1.

ჰარპაგონი და პოლიციის მოხელე.

მოს. დამაცადეთ, ბატონო! ჩემი ხელობა, მადლობა ღმერთს, კარგათ ვიცი. ამისთანა საქმეებში მე ხამი როდი ვარ. აი, ნეტავი იმდენი გატენილი ოქროებით ყუთები მომცა, რამდენი ვაჟბატონიც მე სახრჩობელაზე გამომიკიდია.

ჰარპ. ყველა მოსამართლენი მოვალენი არიან გამოიკვლიონ ეს საქმე და, თუ სამართალმა არ დამიბრუნა ჩემი ფულები, — თითონ სამართალს სამართალში მივცემ.

მოს. აქ სასტიკი და მოხერხებული გამოძიებაა საქირო. თქვენ ბრძანებთ, რომ ის ყუთი...

ჰარპ. ორი ათასი ოქროთი იყო გატენილი.

მოს. ორი ათასი ოქროთი!

ჰარპ. დიად, ორი ათასი ოქროთი.

მოს. ეგ ხუმრობა აღარ არის.

ჰარპ. ხუმრობა რასა ჰქვიან? არ არის ქვეყანაზე იმისთანა სასტიკი სასჯელი, რომ ღირსეულათ დაისაჯოს ეს ავაზაკობა!..

მოს. რაგვარი ფულები იყო იმ ყუთში?

ჰარპ. სულ ნამდვილი ბაჯალლო ოქროები.

მოს. ვის აბრალებთ ამ ქურდობას?

ჰარკ. მთელ ქვეყანას! მე მსურს დაატუსალოთ მთელი ქალაქის და მის ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებელნი.

მობ. მე თუ დამიჯერებთ, ჯერ ნურავის ნუ დაფთხობთ, ეცადეთ ჩუპათ მიაგნოთ კვალს, რომ მერმე, კანონისამებრ, ბეჯითად მოვჰკიდლოთ საქმეს ხელი და დაგიბრუნოთ ფული.

ბამოსვლა 2.

ჰარპაგონი, მოხელე, უაკ.

უაკ. (სტეჩის უკან მიბრუნდება, სიღაცე შემოვიდა და იძახის) მე ეხლავე დავბრუნდები; უთხარი, რომ გამოსკრან ყელი, გატუსონ კარგათ აღზე, გათუთქონ მერმე მდულარეში და ჩამოჰკიდონ ქერში.

ჰარკ. (უაკს) ვინა? ვინც ფულები მომპარა?

უაკ. მე იმ გოქზე მოგახსენებთ, რომელიც ეს არის ეხლა თქვენი მოურავისაგან მომივიდა! რას მიბრძანებთ: შევწვათ თუ მოვხარშოთ?

ჰარკ. რა მეგოქება! (შოსედექს) ურიგო არ იქნება, რომ ამასთან მოილაპარაკოთ.

მობ. (უაკს) ნუ შეგეშინდებათ! მე არა ვარ იმისთანა კაცი, რომ სირცხვილი გაქამო: საქმეს ჩუპათ წავიყვანთ.

უაკ. ვახშამზე მიბრძანებთ?

მობ. ბატონთან დასამალავი არაფერი არა გვაქვს-რა, ჩემო ძმობილო.

ჟაკ. მერწმუნეთ, ბატონო, ვეცდები კარგი ვახშამი მოგიმზადოთ.

ჰარპ. მაგას ვინა გკითხავს შენ?

ჟაკ. ვახშამს თუ ვერ გიმზადებთ, ბატონო, როგორც რიგია, თქვენი მოურავის ბრალია; თავისის ყაირათით საქმე ვამიქირა.

ჰარპ. ხმა ჩაიწყვიტე! შენ ვინა გკითხავს ვახშამს ან სადილს? შენ იმ ფულის ამბავი მითხარი, მე რომ მომპარეს.

ჟაკ. თქვენ მოგპარეს ფული?

ჰარპ. ჰო, მე მომპარეს! აბა ნუ დაგიბრუნებია და ჩამოვანხრობინებ შენ თავს, თუ კაცი ვარ.

მობ. ღმერთო ჩემო! ნუ გაუქირე საქმე ამ კაცს. მე მაგას სახეზე ვატყობ, პატროსანი კაცია. ძალის დატანება რა საჭიროა—ისედაც მართალს გვეტყვის. (ყვავს) ჰო, ჩემო ძამია, თუ გამოტყდები, დასჯა კი არა, კაი საჩუქარსაც მიიღებ შენის ბატონისაგან. შეუძლებელია, რამე არ იცოდე ამ საქმისა.

ჟაკ. (განსუ) ააა! თუ გადახდა მინდა ჩვენის მოურავისა, სწორეთ ეხლაა დრო. რაც ის შემოვიდა ამ ოჯახში, რჩევის მომცემიც ის გახდა, ბატონიც ის შეიქნა და ჯობებიც აქამდის გულიდან არ ამომსვლია.

ჰარპ. რას ბუტბუტებ ბიჭო?

მობ. (განშავანს) დააცალეთ, რალაცის თქმას აპირებს: აკი გითხარით, პატროსანი კაცია მეთქი.

ჟაკ. თუ მართალი გინდათ, ქურდი თქვენი ერთგული მოურავი უნდა იყოს.

ჰარპ. ვალერი?!
ჟაკ. დიად!

ჰარპ. რომელიც მე ასე სანდო კაცათ მიმაჩნდა?

ჟაკ. დიად, სწორეთ ის!

ჰარპ. მაგას რისთვის ჰფიქრობ?

ჟაკ. რისთვის?

ჰარპ. ჰო!...

ჟაკ. რისთვის?... რისთვის და... მისთვის.

მოხ. კარგი, მაგრამ რა საბუთები გაქვს?

ჰარპ. ეგება დაინახე, რომ ის დადიოდა იმ ალაგის
ასლო-მახლო, სადაც მე ფულები მქონდა შენახული?

ჟაკ. დიად, ქეშმარიტია. სადა გქონდათ თქვენ, ბატონო, ფული?

ჰარპ. ბალში.

ჟაკ. ჰო, სწორეთ, სწორეთ რომ ბალში ვნახე. რა-
ში იყო, ბატონო, ფულები?

ჰარპ. ყუთში.

ჟაკ. ჰოოო! მე დავუნახე იმას ყუთი.

ჰარპ. ჰო და ის ყუთი როგორი იყო?

ჟაკ. როგორი ყუთი იყო?

ჰარპ. დიად!

ჟაკ. როგორი და ისე... ყუთისთანა...

მოხ. ეს გვესმის, მაგრამ, აბა ნიშანი გვითხარი რამე?

ჟაკ. ის გახლდათ დიდი ყუთი.

ჰარპ. მე რომ მომპარეს ის პატარაა.

ჟაკ. ჰო, ისიც პატარაა, მაგრამ დიდი იმიტომაც
ესთქვი, რომ შიგ დიდი ფული იყო.

ჰარპ. რა ფერის იყო?

ჟაკ. რა ფერისა?

მობ. დიად!

ჟაკ. ის იყო იმ ფერისა... აი იმ ფერისა... აი იმ ფერისა... (ჰაზმაგანს) არ შეგიძლიანთ ბატონო, მომაგონოთ, რა ფერისა იყო?

ჰარპ. ჰერი ჰაა!..

ჟაკ. წითელი იყო განა?

ჰარპ. არა, ნაცრის ფერი.

ჟაკ. ჰო, დიად, ნაცრის ფერი... ცოტა მოწითლო, მეც მაგის თქმა მინდოდა, დიად...

ჰარპ. ექვი არ არის! ის არის ნამდვილათ! (მთხელებს) დასწერეთ, ბატონო, დასწერეთ ამის ჩვენება. ოჰ, ღმერთო! ვის უნდა მიენდო ამას იქით. მაშ ფიციც არაფერი ყოფილა! მოდი და ნუ იფიქრებ, რომ თითონ შენ გაჰქურდავ შენს თავს.

ჟაკ. (ჰაზმაგანს) აი, ბატონო, თითონაც ავერ მოდის: ნუ ეტყვიოთ მაინც, რომ მე გაგიმხილეთ ეს ამბავი.

გამოსვლა 3.

იგინივე და ვალერი.

ჰარპ. აქ მობრძანდი! აღიარე შენი ავანაყობა, შენი უსინიდისო მოქმედება, რომლის მსგავსი არა მომხდარა-რა ქვეყანაზე.

ვალ. რა გნებავთ, ბატონო?

ჰარპ. როგორ არ წითლდები, შენ მოლალატევ, შენის ავაზაკობისათვის?

ვალ. რა ავაზაკობაზე ბრძანებთ, ბატონო?

ჰარპ. რა ავაზაკობაზე ვებრძანებ, უსინიდისო! ვითომ არ იცი რაზედაც ვამბობ! ტყუილათ ჰფიქრობ დაჰფარო შენი საქციელი. საქმე ცხადია, ყველაფერი შემატყობინეს. აგრე გადამიხადე ჩემი ამაგი, განა ჩემს გასაოხრებლათ შემოხვედი ჩემს ოჯახში?

ვალ. ბატონო, მაშ რადგანაც შეგატყობინეს, რალათ უნდა დაგიმალოთ; სჯობს ისევე გამოვიაშკარაფო ყველაფერი.

ჟაკ. (განზე) დიდება შენთვის ღმერთო, ძალიან არ მივმხდარვარ!

ვალ. მე თითონ მინდოდა ამაზე მოლაპარაკება, მაგრამ შემთხვევა არ მქონდა. ესლა, რადგანაც საქმე ასეა, მე თქვენ გვეედრებით დამწვიდებით მოისმინოთ ჩემი გარემოება.

ჰარპ. აბა, რა სიმართლეს მეტყვი, შე უსინიდისო, შე ქურდო შენა!...

ვალ. ბატონო, მე ეგ სახელი არ მეკადრება. მართალია, დამნაშავე ვარ თქვენთან, მაგრამ ჩემი შეცოდება მოსატევებელია.

ჰარპ. როგორ თუ მოსატევებელია? ამგვარი ლალატობა, ამგვარი კაცის კვლა!

ვალ. ბატონო! ნუ სწუხდებით აგრე. როდესაც მომისმენთ, თქვენ თითონვე დარწმუნდებით, რომ ჩემი შეცოდება აგრე დიდი არ არის, როგორც თქვენა გგონიათ!

პარპ. აგრე დიდი შეცოდება არ არის, როგორც მგონია? რას როშავ? ჩემი სისხლი, ჩემი გულ-ღვიძლი არაფერია, შე ავაზაკო, შენა?..

ვალ. თქვენი სისხლი არ ჩავარდნილა ცუდ ხელში. მე იმისთანა კაცი არა ვარ, დაფუშავო იმას რამე, და თუნდა დამეშავებინოს კიდევ, გასწორება ადვილია.

პარპ. მეც ეგ მინდა, რომ დამიბრუნო, რაც წამართვი.

ვალ. თქვენი პატიოსნება, ბატონო, სრულიად დაცული იქნება.

პარპ. შენ ჩემ პატიოსნებას ვინა გკითხავს. შენ ეს მითხარი, ვინ ჩაგაგონა ამგვარი საქმე?

ვალ. ნუთუ მაგასაც მკითხავთ?

პარპ. დიად, სწორეთ გკითხავ.

ვალ. მე ეგ ჩამაგონა სიყვარულმა.

პარპ. სიყვარულმა?

ვალ. დიად!

პარპ. ჩემი ოქროების სიყვარულმა? უცხო სიყვარულია თქვენმა შვიმ!..

ვალ. არა, ბატონო, თქვენს სიმდიდრეს არ გავუტაცნივარ, არ დაფუბრმავებია. მე ეხლავე უარსა ვყოფ მათ, ოღონდ დამანებეთ ის, რაცა მაქვს.

პარპ. მე შენ შავ ქვას დაგანებებ! ნაქურდალის შერჩენაც უნდა!

ვალ. განა ეს ქურდობაა?

პარპ. ქურდობაო? ამოდენა საუნჯის მოპარვა!

ვალ. თქმა არ უნდა საუნჯეა, უძვირფასესი ყოვე-

ლი თქვენი სიმდიდრისა, მაგრამ, რომ დამითმოს, განა
ეგ დაკარგვა იქნება? მუხლ-მოდრეკილი გვევდრებით,
ნუ გამომართმევთ ხელიდან სანატრელ საუნჯეს...:

ჰარპ. რას მიედებ-მოედები?

ვალ. ჩვენ მივეციტ ერთმანეთს სიტყვა და ჩვენი
გაყრა შეუძლებელია.

ჰარპ. კაი დაპირებაა!

ვალ. დიად, ჩვენი საუკუნოთ შეერთება გადა-
წყვეტილია.

ჰარპ. უკაცრავათ ბძანდებით: თავის დღეშიაც არა.

ვალ. სიკვდილის მეტი ჩვენ ვერაფერი გავგყრის...

ჰარპ. ძალიან არ შეჰყვარებია ამ შეჩვენებულს ჩე-
მი ფულები!!

ვალ. მე მოგახსენებთ, ბატონო, რომ ფულისათვის
არ ჩამიდენია ეს ამბავი; ჩემი გულის ამგზნები ის კი არ
იყო, თქვენ რომ ფიქრობთ, არა, უფრო კეთილშობი-
ლურმა გრძნობამ ჩამადენინა ეს საქმე...

ჰარპ. ერთი ამას უყურეთ, ლამის არის დამიმტკი-
ცოს, რომ ქრისტიანული სულგრძელობის გამო შეი-
ყვარა ჩემი ფულები. მაგრამ არა, ეს თავის დღეში არ
მოხდება. მე შენ გაჩვენებ, შე უსირცხვილო, შე ავაზა-
კო, რომ სამართალი კიდევ არის ქვეყანაზე.

ვალ. როგორც გნებავდეთ ისე მოიქეციტ. მე მზა-
თა ვარ ავიტანო ყოველი დასჯა, რასაც თქვენ გადა-
მიწყვეტთ; მაგრამ იცოდეთ კი, რომ ამ საქმეში თუ კი
რამ შეცოდება მოიპოვება, მე ვარ დამნაშავე და თქვენი
ქალი კი სრულებით შემცოდე არ არის თქვენს წინაშე.

ჰარპ. მაგას რაღა შენი თქმა უნდა! კარგი კი იქნებოდა, რომ ჩემი ქალი გარეულიყო ამ ბინძურ საქმეში. მე მინდა მხოლოდ გამომიტყდე შენ, რა ადგილას მომტაცე ჩემი საუნჯე?

ვალ. მე? მე თქვენთვის არაფერი საუნჯე არ მომიტაცნია: თქვენი საუნჯე თქვენთანვეა.

ჰარპ. ოჰ, ჩემო ძვირფასო ყუთო! (სმა-მადლა) მაშის ჩემი სახლიდან არ დაძრულა?

ვალ. არა, ბატონო.

ჰარპ. მაშ ერთი მითხარი: შენ იმისთვის ხელი არ გიხლია?

ვალ. მე იმას ხელს ვახლებდი! ღმერთმა დამიფაროს! თქვენ ტყუილათ ცილს გვწამებთ იმასა და მეცა, მე ვიწვი მისთვის წმიდა, უბიწო სიყვარულით.

ჰარპ. დახეთ, დახეთ, იწვოდა ჩემი ყუთისათვის!

ვალ. მე უფრო სიკვდილს ვარჩევდი, ვიდრე იმაზე რასმე თავში გავიტარებდი. შეურაცხმყოფი აზრი ვერ შეეხება იმას, ვინც იმისავით ჭკვიანი და პატიოსანია.

ჰარპ. ვინა? ჩემი ყუთია პატიოსანი?

ვალ. ჩემი სურვილი მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ დავმტკბარიყავი იმისი ცქერით და არავითარი ცუდი აზრი არ ჰყვნოდა იმ უმანკო გრძობას, რომელიც ჩემში იმისმა მშვენიერმა თვალებმა აღძრა.

ჰარპ. ჩემი ყუთის მშვენიერმა თვალებმა! ისე ლაპარაკობს ჩემ ყუთზე, თითქოს ამის საყვარელი იყოს.

ვალ. უნდა მოგახსენოთ, ბატონო, რომ დიდი წვა-

ლება გამოვიარე, ვიდრე დავძლიე მისი მორცხვობა და დავიყოლიე ჩემ სიყვარულზე.

ჰარპ. ვისი მორცხვობა?

ვალ. თქვენი ქალისა, და მხოლოდ გუშინ დავითანხმე ის ჩვენ ქორწინებაზე.

ჰარპ. ჩემი ქალი დავითანხმე ქორწინებაზე?

ვალ. დიან, ბატონო.

ჰარპ. ოჰ, ღმერთო ჩემო! ეგეც მეორე უბედურება.

ჟაკ. (შოხეღეს) ჩასწერეთ, ბატონო, ჩასწერეთ.

ჰარპ. ეს-ლა მაკლდა! უიმისოდაც უბედურს, მეორე უბედურებაც ზედ მეწვია. (შოხეღეს) წაშობრძანდით, ბატონო, აღასრულეთ თქვენი მოვალეობა, მიეცი თ ეს პასუხის გებაში, როგორც ქურდი და ჩემი ქალი გამრყენელი.

ჟაკ. როგორც ქურდი და გამრყენელი.

ვალ. ეგ სახელები მე არ მეკუთვნის... და, როდესაც გაიგებთ, რომ მე...

გამოსვლა 4.

ჰარპაგონი, ელიზა, მარინა, ვალერი, ფროსინა, ჟაკ და პოლიციის მოხელე.

ჰარპ. ააა! მობრძანდი, შემეცოდე შეილო, შე უღირსო, ჩემისთანა მაჰისა. განა ასე ასრულებ ჩემ დარიგებას? შენ გაგიტაცა განა ვმ უსინდისო ქორდის სიყვარულმა, და შენ მას აძლიე სიტყვას ჩემ ნება-დაურთვე-

ლათ? შემცდარხართ, ბატონებო! (ქლიზას) ოთხ-კედელს შუა გამოვალბობ მე შენ. (ვაჯერს) შენ კი საღრჩობელა გაგცემს პასუხს, შე პირ-შავო, შე მუხანათო შენა....

ვალ. თქვენი გამრძიება არ იქნება მსაჯულათ ამ საქმეში. მეც მკითხვენ რასმე, სანამ გადამიწყვეტენ სასჯელს.

ჰარპ. საღრჩობელა ცოტაა შენთვის! ცოცხლათ დაგაკეპინებ.

ელ. (დასოქილი, ჯანაჯინს) მამა-ჩემო, გევედრებით უფრო კაცობრიული გრძნობით განსაჯოთ ჩვენი საქმე, მდგომარეობა, და ეგრე ბოროტათ ნუ მოიხმართ მამობრიულ უფლებას. ეგ სრულიად იმისთანა არ არის, როგორც თქვენ გეჩვენებათ. თუ იმასაც მიიღებთ სახეში, რომ უმაგისოთ მე, დიდი ხანია, მკვლარი ვიქნებოდი, თქვენ მიხვდებით, თუ რისთვის მივენდევბ მე მაგას. მაგან გადამარჩინა მე წყალში დაღრჩობისაგან, მაგის წყალობით ვარ დღეს ცოცხალი, და თქვენ კი...

ჰარპ. ჩემთვის უფრო სასიამოვნო იქნებოდა დამღრჩვალისაგან ბარემ და ამ დღეს კი არ მოვსწრებოდი.

ელ. მამა-ჩემო, გეფიცებით მამობრივ სიყვარულს, რომ...

ჰარპ. არა, არა! მოსმენაც არ მინდა! ისევე სამართალმა გაიჩიოს ეს საქმე.

ჟაკ. (იქით) მე შენ გაზღვევინებ ჩემ შეურაცხყოფას.

ფრ. (იქით) ხათაბალა თუ გინდა, ეს არის.

გამოსვლა 5:

იგინივე და ანსელმი.

ანს. ეს რა ამბავია, ბატონო ჰარპაგონ, რამ გაგაგულისათ ვგრე?

ჰარპ. ახ, ბატონო ანსელმო, ჩემისთანა უბედური კაცი არ დაბადებულა ქვეყანაზე. ღმერთო, რა მწუხარება, რა უწესოება, რა უბედურება არის ჩემს თავზე! ქონებას მპარავენ, პატიოსნებას მირყენიან, და ის მოლაღატე, ის ავაზაკი, რომელიც შეეხო ჩემ წმინდას და უძვირფასეს უფლებას, რომელიც შემოვიდა ჩემს ოჯახში ვითომ და მოსამსახურეთ, რომ უფრო ადვილათ მოეპარა ჩემი ფულები და შეეცდინა ჩემი ქალი...

ვალ. რას ჰბოდავთ, რა ფულებზე მელაპარაკებით?

ჰარპ. დიად, ამათ მისცეს ერთმანეთს ცოლ-ქმრობის პირობა. ეს თქვენი შეურაცხყოფაა, ბატონო ანსელმი, თქვენი მოვალეობაა, მოჰკიდოთ ამ საქმეს ხელი და მიაყენოთ ყოველ-ნაირი შევიწროება—თქვენის ხარჯით, რასაკვირველია,—ჩვენი შეურაცხყოფისათვის.

ანს. მე სრულიადაც არ მინდა ძალათ შევირთოთ თქვენი ქალი, მაგრამ თქვენი საქმისათვის თავს არ დაეზოგავ, ისე, როგორც ჩემი საკუთარისათვის.

ჰარპ. აი, ბატონო, ის პატიოსანი მოხელეც, რომელიც არ დაივიწყებს თავის მოვალეობის შესრულებას (მთხელეს ჩვენებს ვაღუქსე). მოექცით ამას კანონისამებრ.

ვალ. მე აქ ცუდ მოქმედებას არ ვხედავ; მე არ მესმის, რა ცუდ-კაცობა ჩავიდინე მით, რომ შევიყვარე თქვენი ქალი და, როდესაც გაიგებენ, ვინა ვარ მე...

ჰარპ. შენა ხარ მაწანწალა, გლახა, ლატაკი.

ვალ. იცოდეთ, რომ მე იმისთანა უპატიოსნო კაცი არა ვარ, რომ ვგ სახელები ავიტანო... მთელმა ნეაპოლმა იცის, ვინცა ვარ.

ანს. ყმაწვილო! ნუ ლაპარაკობთ აგრე წინ-დაუხედავათ, თორემ ინანებთ. მეც ვიცნობ მთელს ნეაპოლს და შემოიძლიან სიცრუე შეგამჩნიოთ.

ვალ. (ისუტავს თავის შლიახას) მე იმისთანა კაცი არ გახლავარ, რომ ვისმესი მეშინოდეს, და თუ თქვენ იცნობთ მთელს ნეაპოლს, თქვენ გეცოდინებათ, ვინ არის დონ-თომას ალბურჩი.

ანს. რასაკვირველია, ვიცნობ; ჩემსავით ვინ იცნობს იმას!

ჰარპ. რას დავეძებ ვილაც თომა ალბურჩია (ჯანჯანგონი ჭხედავს ორ ანოებულ სანთელს და აქრობს ერთს, მაგრამ ყავი სელ-ანლათ უკადებს! ჭანჯანგონი სელ-შეკარეთ აქრობს, ყავი უკადებს, და ეს სურათი გაგნძეკედებს; — სანამ ჭანჯანგონი სელში არ იშკერს გაქრობილ სანთელს, მაგრამ როცა ის აჯვარედინებს სელებს, ყავი სელ-ანლათ უკადებს სანთელს).

ანს. ღვთის გულისათვის, დააცალეთ სთქვას, ვნახოთ რას იტყვის.

ვალ. მე მინდა ვსთქვა, რომ მამა-ჩემია...

ანს. დონ-თომას ალბურჩი?

ვალ. დიად.

ანს. რას მასხარაობ!.. უფრო კკუაში რამ მოსასვლელი მოიგონე, თორემ მაგნაირი სიცრუით თავს ვერ უშვებლი.

ვალ. ნუ აჩქარდებით. ეს სრულებით სიცრუე არ არის და თუ საპიროება მოითხოვს, მე კიდევ დავამტკიცებ ჩემ სიტყვას.

ანს. როგორ? ნუთუ ჰბედავ სთქვა, რომ შენა ხარ შვილი დონ-თომას ალბურიჩისა?

ვალ. დიად, ვბედავ და კიდევაც მზათა ვარ. დავუპტკიცო ყველას ეს ქეშმარიტება.

ანს. რა უშვერობაა! მაშ იცოდეთ, რომ თექესმეტი წელიწადია მას აქეთ, რაც ის კაცი, რომელზედაც თქვენ ამბობთ, დაიღუპა ზღვაში თავის ცოლ-შვილით იმ დროს, როდესაც ნეაპოლის არეულობის დროს დააპირა უცხოეთში გაქცევა...

ვალ. დიად, თქვენც იცოდეთ, რომ იმის შვილი წლის შვილი თავისი მოსამსახურეთი გადააჩინა ერთმა ისპანიელმა ხომალდმა და ეს გადარჩენილი შვილი არის ის, ვინც თქვენ გელაპარაკებათ.

ანს. მაგ ცარიელი სიტყვების გარდა, რა საბუთი გაქვს, რომ, რასაც ამბობ, სულ ქეშმარიტებაა და არა მოხერხებული ზღაპარი?

ვალ. ისპანიელი კაპიტანი და იაგუნდის ბეკედი, რომელიც ჰქონდა მამაჩემს, გიშრის ბრასლეტი, რომელიც დედაჩემმა გაჩიკეთა ხელზე, მოხუცი პედრო, რომელიც გადარჩა ჩემთან.

მარ. რაც სთქვით, ყველაფერი მართალია და ისიც მართალია, რომ შენ ჩემი ძმა ყოფილხარ.

ვალ. დიად, ეს ჩემმა გულმა იგრძნო მას აქეთ, რაც თქვენ ხმა ამოიღეთ.

ანს. ღმერთო ჩემო! დიდებან შენს ძლიერებას! მხოლოდ შენ შეგიძლია მოახდინო სასწაული... გადაქეხვიეთ, შეიღებო, მომესალმეთ თქვენს მამას.

ვალ. თქვენა ხართ ჩვენი მამა?

მარ. ეს თქვენა ბრძანდებით ისა, რომლისთვისაც დედა ასე სტიროდა?!

ანს. დიად, შეიღებო! მე ვარ დონ-თომას ალბუ-რიჩი; მე ღმერთმა გადამარჩინა ტალღებისაგან ყოველი ჩემი სიმდიდრით და თექვსმეტი წლის განმავლობაში არა გამიგია--რა თქვენზე. მე თქვენ ყველანი დაღუპულები მეგონეთ, და რომ ეს ჩემი უბედურება მუდამ გულმოსაკლავათ თვალ-წინ არა მქონოდა, სახელიც კი გამოვიცვალე.

ჰარპ. (ანსუდამს) ეს შენი შეილია?

ანს. დიად!

ჰარპ. მაშ თქვენ უნდა გიჩივლოთ, რომ მიზლოთ ის ორი ათასი ოქრო, რომელიც ამან მე მოჰპარა.

ანს. ვინა? ჩემმა შეილმა მოგპარათ თქვენა?

ჰარპ. დიად, თვითონ ამ ვაყ-ბატონმა!

ვალ. ეს ვინ გითხრათ თქვენ?

ჰარპ. მზარეულმა ჟაკმა.

ვალ. (ჟაკს) ეს შენ უთხარი?

ჟაკ. მე რას ვეტყვი! მე არაფერი მითქვამს.

ჰარპ. როგორ თუ არა?! აი პოლიციის მოხელე, რომელსაც აქვს შენი ჩვენება.

ვალ. ნუ თუ თქვენ გჯერათ, რომ მე ვიკადრებდი მაგვარ სამარცხინო საქმეს?

ჰარპ. იკადრებდი, თუ არ იკადრებდი, მე მინდა დავიბრუნო ჩემი ფულები...

გამოსვლა 6.

იგინივე, კლენტი და ლაფლეში.

კლ. ნუ იწუხებთ თავს, მამა-ჩემო, და ნურც ვინმეს აბრალებთ. მე შეეცარიბე ცნობები თქვენი საქმის შესახებ და მოველ შეგატყობინოთ, რომ, თუ ნებას მომცემთ შევიერთო მარინა, თქვენი ფულები უკანვე დაგიბრუნდებათ.

ჰარპ. სად არის ჩემი ფული?

კლ. ნუ სწუხდებით, ის იმისთანა ალაგას არის, რომ ჩემს მეტმა არავინ იცის და იმის შესახებ მე ვაგებ პასუხსა. თქვენ ეს მიბრძანეთ, ამ ორში რას ირჩევთ:—შევიერთო მე მარინა ცოლათ, თუ დაგეკარგოსთ თქვენი ყუთი?!

ჰარპ. ხელი ხომ არ გიხლიათ იმ ფულისათვის?

კლ. სრულიადაც არა! სთქვით რაღა, თანახმა ხართ, თუ არა, ნება დართოთ ამ ქორწინებას და დაეთანხმოთ იმის დედას, რომელმაც მიანიჭა მას სრული თავისუფლება ქმრის ამორჩევაში?

მარ. (კლეჯანტს) თქვენ ვავიწყდებათ, რომ ეგ ნება-რთვა არ არის საკმაო, რადგანაც ღმერთმა (ანჟენებს უა-ლუერსე) ამ ძმასთან, რომელსაც თქვენ ჰხედავთ, დამი-ბრუნა მამაცა (ანჟენებს ანსელმუსე), რომელთა ნება-დარ-თვაც აგრეთვე საჭიროა.

ანს. შეილღებო, მე ღმერთი ზრ მიყაბულებს. ვეწი-ნაალმდეგო თქვენ პირობას. თქვენც უნდა დამეთან-ხმობთ, ბატონო ჰარპაგონო, რომ ახალგაჭდა უფრო შეილს ირჩევს, ვიდრე იმის მამას. ნულარ ათქმევენებთ იმას, რაც უთქმელადაც ცხადია; დაეთანხმეთ ამ ქორ-წინებაზე...

მარკ. ვიდრე ჩემ ნებართვას გამოვაცხადებდე, სა-ჭიროა ვნახო ჩემი ყუთი.

კლ. თქვენ იმას მთლად და ხელ-უხლებლათ ნახავთ.

მარკ. მე სრულად არა მაქვს სამზიოთეო ფულები.

ანს. რა გაეწყობა! მე ვუშოვნი ამათ ფულებს, ოლონდ თქვენ ნუ შესწუხდებით.

მარკ. ამას გარდა, თქვენ უნდა იკისროთ ამ ორი ქორწილის ხარჯი.

ანს. დიად, მე ვკისრულობ. კმაყოფილი ხართ ეხლა?

მარკ. დიად, კმაყოფილი ვარ, ოლონდ საქორწი-ლო ტანისამოსიც შეაკერვინეთ.

ანს. მაგაზედაც თანახმა ვარ.

მოხ. დამაცადეთ! ვინ გადამისდის ჩემი შრომის ფასს?

მარკ. ჩვენთვის შენი შრომა საჭირო აღარ არის!

- მოხ. მომატყუილეთ? ეგრე მკოდნოდა ხომ არ ვიშრომებდი?

ჰარპ. (აშკენკის უკუსე) აი, თქვენი შრომის ჯილდო! გინდა ჩამოახრჩვეთ, გინდა ცოცხლათ დამარხეთ.

ჟაკ. იჰ, ეგ-ლა მაკლდა! მართალი ვთქვი,—ჯობების ბრაგა-ბრუგით გვერდები ჩამიქციეთ, სიცრუე წამცდა,—„დაადრჩე და დამარხეო“!

ანს. ბატონო ჰარპაგონო, უნდა აპატიოთ ამას თავისი სიცრუე.

ჰარპ. მისცემ გასამრჯელოს პოლიციის მოხელეს?

ანს. ჯანი გავარდეს, მივცემ. მაშ რალას ვუცდით: წავიდეთ, გავუნაწილოთ ეს სიხარული დედა-თქვენსაც.

ჰარპ. მე კი წავიდე, ვნახო ჩემი საყვარელი ყუთი.

(ფარდა დაეშვა).



ეს კომედია გადათარგმნილ იქმნა ფრანგულ ენიდან პეტერ-ზურკის ქართულ საუბედენტებისაგან 1880 წელს და დაბეჭდილ იქმნა ჟურნალ „ივერიაში“.

სკაპენის ცულლუტობა

კომედია სამ მოქმედებათ.

ძიამქველი ჰაზრები:

არგანტი—ოქტავის და ზერბინეთის მამა.

ჟერონტი—ლევანდრისა და გიაცინტას მამა.

ოქტავი—არგანტის შვილი და გიაცინტას არშვილი.

ლევანდრი—ჟერონტის შვილი და ზერბინეთის არშვილი.

ზერბინეთა—არგანტის ქალი, რომელიც ეგვიპტელი ქალი ჰგონიათ.

გიაცინტა—ჟერონტის ქალი.

სკაპენი—ლევანდრის მსახური.

სილიბისტრო—ოქტავის მსახური.

ნერინა—გიაცინტას ვაჟი.

კარლი—სკაპენის მეგობარი.

ორი მეკურტნე.

მაქმედება ჰირველი.

ბამოსვლა 1.

ოქტავი და სილიბისტრო.

ოქტ. ეგ სამწუხარო ამბავი ისრათა ხედება ამ ჩემს ტრფიულ გულს. ახა, ღმერთო ჩემო, სილიბისტრო, შენ ეს-ეს არის ეხლა შეიტყვე ნავთსაყუდელში, რომ მამა ჩემი მოდის?

სილ. დიახ, ბატონო!

ოქტ. ამ დილასვე მოვაო?

სილ. დიახ, ამ დილასვე.

ოქტ. ჰმ... ისიც გაიგონე, რომ მე ცოლი უნდა შეგერთოს?

სილ. დიახ.

ოქტ. უფალი ჟერონტის ქალი?

სილ. დიახ, სწორეთ მისი ქალი.

ოქტ. და ის ქალიც, მხოლოდ მაგის გულისათვის, პირდაპირ გამოუხმიათ ტარენტიდან?

სილ. დიახ.

ოქტ. ესენი ყველა ბიძაჩემისაგან შეიტყვე?

სილ. დიახ, მისგან!

ოქტ. რომელსაც მამა-ჩემმა ყველაფერი წერილით აცნობა?

სილ. დიახ, წერილით.

ოქტ. შენ იმასაც ამბობ, რომ ბიძიამ ჩვენი ამბები სულ-ყველა იცისო?

სილ. დიახ.

ოქტ. ოხ... ამოიღე ხმა ღვთის გულისათვის! სულ დიახ და დიახ... გაზით უნდა ამოგაცალოს კაცმა პირიდან ყოველი სიტყვა? მოყევი ადამიანურათ!

სილ. რა უნდა მოგახსენო. თქვენც რომ კარგათ იცით დაწერილებით, და ძალიან ბეჯითადაც ბძანებთ,— მე რაღა საჭირო ვარ?

ოქტ. მაშ მიჩჩიე მაინც, რა უნდა ვქნა ამ გაქირების დროს?

სილ. არ ვიცი, ღმერთმანი! თქვენი არ იყოს, მეც ძალიან თავ-ბრუ მესხმის. ნეტავი კი ვინმე მიჩჩევდეს რასმე, თორემ, მიწამდის მეტანიას ვუზამ...

ოქტ. მაგ დაწყველილმა ამბავმა, ასე მოულოდნელათ მისმა დაბრუნებამ, წელი არ მომწყვიტა!

სილ. უნდა მოგახსენოთ, რომ მეც სწორეთ მუხლები მომკვეთა!

ოქტ. ეხლავე ვხედავ,—აქედანვე ვგრძნობ, რომ, შეიტყობს თუ არა, მამა ჩემი, უმისოთ თუ რა ამბები მოხდა აქ, სულ მტვერს აადენს აქაურობას, თავს მთხლეს გადამადენს... სულ ტიკქორასავით გამბერავს ლანძღვით.

სილ. ეგ კიდევ არაფერია! ლანძღვა-გინებამ თქვე-

ნი კირი წაიღოს! — მე რომ მაგას დამაჯერებდეს, ვინ ოხერი ჩივა; მაგრამ ვიცი, რომ სულ სხვა იქნება ჩემი საქმე: ერთს კარგათ შემზურგავს, თქვენ მოწონებულათ შემახურებს და მერე, წადი და უყარე ღომის კაკალი!

ოქტ. ახა ღმერთო! ახა ღმერთო! როგორ უნდა ვუშველოთ თავს? რანაირათ უნდა გადავურჩეთ ამ ხათაბალას?..

სილ. შე დალოცვილო, ეგ ადრე უნდა გეფიქრათ!..

ოქტ. კარგი, ერთი შენ მაინც ნულარ მიხეთქავ გულს დაგვიანებული დარიგებებით: მე ჩემიც შეყოფა!..

სილ. შე დალოცვილო, თქვენ უარესათ არ მიხივებთ ნაღველს მაგგვარის გაშმაგებით?!

ოქტ. ღმერთო ჩემო, რა უნდა ექნა? ვის მივმართო! ვინ გამომიხსნის ამ ცეცხლიდან?

ბამოსვლა 2.

ოქტავი, სკაპენი და სილიბისტრო.

სკაპ. რა დაგმართნიათ, ბატონო ოქტავო? რა მოხდა? ნეტა რას აუშფოთებიხართ მაგრე?

ოქტ. ოხ, ჩემო სკაპენ, რომ იცოდე, რა დამეძარტათა!.. სასოწარკვეთილებაში ვარ! დავიღუპე! ერთი სიტყვით, ჩემისთანა უბედური კაცი ქვეყანაზე აღარ იპოვება.

სკაპ. როგორ! რაო?

ოქტ. როგორ თუ რაო? შენ განა არაფერი შე-
გიტყვია ჯერ?

სკაპ. სრულიადაც არაფერი!..

ოქტ. აბა იცოდე, რომ მამა ჩემი და ჟერონტი და-
ბრუნებულან და ცოლის შერთვას მიპირობენ.

სკაპ. ისემც კარგი დაგეძმართოსთ! მერე, რა არის
მანდ სამწუხარო?

ოქტ. საქმე სულ სხვებ არის, და შენ კი არ იცი
ჩემი ცეცხლი.

სკაპ. სწორეთ არ ვიცი, მაგრამ თქმის მეტი რა
დაგკირდებათ? ბრძანეთ და მეცოდინება! მე ძალიან ად-
ვილათ გადასაყოლი კაცი ვარ და მიყვარს კიდევაც
ყმაწვილ-კაცების საქმეში გარევა.

ოქტ. ეჰ, სკაპენო! რომ შეგეძლოს მოხერხება, და
გამომიხსნა ამ განსაცდელისაგან, სწორეთ საუკუნოთ
დამავალეზდი.

სკაპ. მე, ჩემო ბატონო, სწორეთ უნდა გამოვი-
ტყდეთ, რომ მისთანა საქმე ცოტა მეგულეზა, რომელ-
შიდაც, თუ კი გავფრიე, ჯარასავით არ დავტრიალდე
და არ გამოვაქაზებო. ყოველის შემძლებელმა ღმერთმა
მომანიქა მეტათ გამპკრიახი ჭკუა იმ ცულლუტობისა და
მელაკუდაობის, რომელსაც დღეს უზრდელეზი და გა-
უგებრეზი გაიძვერობას უწოდებენ. დაჩემებით არ მოგახ-
სენებთ და მგონია, სხვას ვერავის შეხვდეთ, რომ ჩემ-
სავით გამძვრალ-გამომძვრალიყოს დახლართულ საქმეებ-
ში, და ან ჩემოდენი სახელი ენახოს ამ მეტათ კეთილ-
შობილ და დიახ საქებ ხელობაში. მაგრამ, ესეც კი უნ-

და ვსთქვათ, რომ ჩვენ დროში ეს ხელობა აღარ ფასდება და მეც გული ამიცურდა მას შემდეგ, რა კი ერთ-ჯერ-ორჯერ ამ ხელობამ, რომ უნდოდა, ისე ვეღარ მასია მოვნა.

ოქტ. როგორ თუ ვერ გასიამოვნა?

სკაპ. დიახ!.. ცოტა კიდევ მაწყენია, როდესაც ჩემდა უკითხავათ სამართლის კარებამდი მიმიყვანა და ძალა-უნებურათ ზედ წამახახუნა!..

ოქტ. რაო? სამართლის კარებამდი მიგაჩანჩალა!

სკაპ. დიახ, და მაშინ ის იყო, რომ კიდევაც შულლი მოგვივიდა ერთმანეთთან მე და იმ დალოცვილ მართლ-მსაჯულლებას.

ოქტ. შენ და მართლ-მსაჯულლებას?

სკაპ. სწორეთ... და ესეც უნდა მოგახსენოთ, რომ მართლ-მსაჯულება, რომ უნდოდა ისე ვერ მომექცა და მეც, ცოტა არ არის, გული დამწყდა და აღთქმა დავდევი გულ-მოსულმა, რომ ამიერიდან ხელიც აღარ გავანძრიო იმგვარ კეთილშობილურ საქმეში... თავს-ლაფი დავასხი ამ დროს! შერცხვეს! შურის გებაც ამისთუნა უნდა!.. აღარაფერში აღარ გავერევი... კმარა!.. მაგრამ ეს ერთი კიდევ თქვენი ხათრი და პატივის-ცემა იყოს, თქვენთვის მოციბრუნებ გულსა. რა გაეწყობა! აბა მიბრძანეთ, რა არის თქვენი გაქირვება!

ოქტ. ეს ხომ იცო, სკაპენ, რომ მამა-ჩემი და ჟერონტი ამ ორი თვის წინათ, რამოდენიმე ხნით, რა-ღაც საეაქროთ გაემგზავრენ?

სკაპ. როგორ არა, ვიცი! ვიცი!..

ოქტ. მე და ლეანდრი კი აქ დაგვტოვეს ჩვენმა მამებმა! ჩემი თავი სილიბისტროს ჩააბარეს, ლეანდრი—შენ.

სკაპ. მართალი ბრძანებაა, მაგრამ ეს კი უნდა მოგახსენოთ.—მე ის ტვირთი ვერაფრათ მექაშნიკა.

ოქტ. ბევრ ხანს არ გაუფლია, რომ ლეანდრი შეეყარა ერთ ახალგაზდა ეგვიპტელ ქალს და კიდევაც შეეყვარდა.

სკაპ. ეგეც ვიცი.

ოქტ. და რადგანაც მე და ის დიდი მეგობრები ვართ, მაშინვე გამომიტყდა, გამანდო თავის გულის პასუხი და კიდევ მიჩვენა ის ქალი: უნდა გითხრა, რომ ურიგოთ არ მჩვენებია, მაგრამ, არც ისე მომწონებია, როგორც ლეანდრი ფიქრობდა: იმან, ერთი სიტყვით: წამ და უწუმ იმ ქალის ქებით ყურები გამიბეჭუა; ხან მის სილამაზეს ამიწერდა ხოლმე, ხან ტანადობას, ხან რას!— ერთის სიტყვით, გამაყრუა მისი ქებით, გამაყრუა, და როდესაც მე არ ვყურობდი ხოლმე, გულგრილობას მწამებდა და საყვედურით მხეთქავდა.

სკაპ. მერც? სხვა კიდევ?—

ოქტ. ერთხელ: როდესაც ლეანდრს ვაცოლებდი მისი მიჯნურის კარებაჲდი, მიყრუებულ ქუჩაში ერთი ქოხიდან რაღაც მოთქმა და ოხვრა შემოგვესმა!.. ჩვენ მივუბრუნდით იქ მყოფ დედაბერს და ვჰკითხეთ: „რა ამბავია თქო“! „როგორ თუ რა ამბავი“? — გვიპასუხა --- მობრძანდით და შეიტყობთო: იქ ვიღაც უცხო ქვეყნელუბი დგანან და, რომ მობრძანდეთ იმათთან, ძალიან რამე საცოდაობას ნახავთო“!

სკაპ. ეჰ, შე დალოცვილო. თქვენ საქმე მიბრძანეთ: ეგ წილა-დობილა რათ მინდა, რომ მომიყუევით?

ოქტ. გულმა აღარ მოგვითმინა მე და ლეანდრს; შევედით და ერთი მომაკედავი დედაბერი დავვიხვდა. რომელსაც უფელიდა მტირალი გოგო და იქვე თავით უჯდა თვალ-ცრემლიანი ერთი ახალგაზრდა ქალი. მაგრამ რა ქალი, რომ იცოდე! ჩემს სიცოცხლეში ჯერ ჩემ თვალის კაკლებს მისი მსგავსი არა უნახავთ რა!

სკაპ. ჰერი-ჰაა!... გიშველა ღმერთმა!...

ოქტ. სხვა რომ ვინმე ყოფილიყო იმისთანა მდგომარეობაში, როგორც ის ქალი იყო, საზიზღრათ მოეჩვენებოდა კაცს: მის ტანისამოსს მხოლოდ ერთი ძველი იუბკა, დაფხრეწილი კაბის-ზედა ტანი შეადგენდა. სხვა არაფერი! და თმაზედაც ყვითელი ლენტი ჰქონდა შემოკრული. აი სულ ეს იყო მისი მორთულობა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ოცნება იყო!

სკაპ. ჰო! ჰო! ჰო! ეხლა კი მივხვდი!... ვხედავ, რაც ამბავია!...

ოქტ. არა, სკაპენო, შენც რომ გენახა, მაშინ იტყოდი, თუ, მშვენიერიაო!

სკაპ. იმე! რა ბრძანებაა! უეჭველია! ჯერ რომ ვერა ვხედავ და ისეც მშვენიერებათ ჰიმაჩნია, რაღა თქმა უნდა, რომ...

ოქტ. არც მისი ცრემლები ჰგვანდენ იმ ცრემლებს. სახეს რომ მანკვენ. აბა, ასე გასინჯე, რომ მოთქმავ ლფრო უმშვენებდა პირის სახეს!... უმარილიანებდა!...

სკაპ. ვხედავ! ვხედავ!

ოქტ. ვინც უნდა ყოფილიყო, გინდა ქვის გულიც ჰქონოდა, ტირილს ვერ მოიკავებდა, რომ ენახა, თუ რა რიგათ ეხუტებოდა, ეკვროდა გულში მომაკვდავს, რომელსაც დედას ეძახოდა. არა, სწორეთ გასაკვირველი იყო მისთანა მხურვალე ნათესავური გრძნობა!..

სკაპ. რა თქმა უნდა, რომ გასაკვირველი ყოფილა. მერე, იმ ნათესაურმა, მხურვალე გრძნობამ თქვენც ისე გაგასურვათ, რომ შეგაცოდვათ ის საბრალო ქალი და შეგატოპინათ სიყვარულის მორევში, განა?

ოქტ. ეჰ, სკაპენო! ბარბაროსი რომ ყოფილიყო ჩემს ადგილზე, იმასაც კი შეუყვარდებოდა.

სკაპ. რასაკვირველია! რაღა თქმა უნდა! რა ბრძანებაა! მაგის ექვი ვის ექნება!

ოქტ. რამოდენიმე სიტყვის შემდეგ, რომლითაც ის საბრალო ვანუგეშეთ, ჩვენ გამოვედით და მაშინ ვპკითხე ლეანდრს: „ის ქალი როგორ მოგწონს თქო?“ „რა უკირსო! ჰო, რა უშავსო!“ ეს მიპასუხა და მეტი არაფერი. სწორეთ ძალიან გამიკვირდა მისი გულ-გრილობა და აღარც მე გამოვუტყდი ჩემი გულის პასუხს.

სილ. (ოქტავს) თუ ეგ თქვენი მოთხრობა არ შეამოკლეთ და მაგრე გააქიანურეთ, ვერც ხვალამდი მიაწევთ იქამდე, რისიც თქმა გინდათ. დამაცადეთ, ისე მე ვიტყვი, სულ ორი სიტყვით გავათავებ... (სკაპენს) ეს დალოცვილი იმ წამსვე გააბრუა სიყვარულმა და წამდა-უწუმ დაცუნცულებდა ხოლმე თავის სასურველ მგლოვიარე კირისუფალთან, ნუგეშის საცემლათ, მაგრამ მოახლემ, რომელმაც დედის სიკვდილის შემდეგ,

ობოლს დაუწყო ყურის გდება, ბოლო მოუღო ამ ხშირ სტუმრობას. ეს საბრალო ავარდა, დავარდა, აქეთ ეცა, იქეთ ეცა, ბევრი ხვეწნა-ვედრებაც შეჰოეხარჯა, მაგრამ მაინც ველარას-გახდა-რა!.. ასე მოახსენეს, რომ ის ქალი ღარიბ-ღატაკი და უპატრონოაო, მაგრამ გამოჩენილი გვარისა კი არის და, მაშა'ადამე, თქვენი ხშირი სტუმრობა სახელს გაუტეხსო. ამ ხელის შემწამ სულ ცეცხლი მოუკიდა ამ ჩემ ბატონის შვილსა და ბევრი ფიქრისა და თავის ტების შემდეგ მოინდომა მისი ცოლათ შერთვა. აი ამგვარათ დღეს ეს სამი დღეა, რაც ოქტავი იმ მზეთ-უნახავის ქმარი ბრძანდება!

სკაპ. თორემ საქმე მაგრეა! ჰმ.. გვესმის... შეგვიტყვია!..

სილ. ახლა კიდევ ამაებს ყველას შენ დაამატე ის მოულოდნელი დაბრუნება მამა-ამისის, რომელიც ჩვენი ანგარიშით კიდევ არ უნდა მომხდარიყო ორ თვეზე აღრე. ამას გარდა ნუ დაივიწყებ იმასაც, რომ ბიძა ანისპა ეს ცოლის შერთვაც იცის და ისიც, რომ უნდა ეფრონტის ქალი შერთონ, ის ქალი, რომელიც მეორე ცოლის ხელშიდა ჰყავს!.. ესეც ხომ იცი, როგორც ამბობენ, რომ ეფრონტის მეორე ცოლი ჰყავდა შერთული ტარენტოში?

ოქტ. ამაებთან უფელასთან ესეც იქონიე სახეში, ჩემო სკაპენო, რომ ჩემი საყვარელი მეუღლე ძალიან გაჰკირვებულ მდგომარეობაშია და მე არა მაქვს საშუალება, რომ ხელი როგორმე გაეუმართო.

სკაპ. ეგ, ევ არი! სხვა არაფერი!—მერე, მაგისტა-

ნა უბრალო საქმემ ჩამოგაყრევინათ ორივეს ყურები? როგორ არა გრცხვენიათ? ხომ არ შეიშალეთ? თავ-რე-ტი დაგესხათ, გაცოფდით! ახა! ღმერთო, რომ ვინმემ გნახოთ, იფიქრებს, თუ ცეცხლი გაჩენიათო... (სადღა-ბისიკრასი) აი შე თავ-გამოტვინებულო და შე ჩურჩუ-ტო, სირცხვილით თავი როგორ-ღა უნდა გამოყო? ერ-თი დახედეთ, რასა ჰგავს ეს დამპალი ჯირკი. ეს ფუ-ტურო, ესა!.. შე ახმახო, შენა, დედაშენსა და მამა-შენს, ორივე ერთმანერთზედაც რომ გადააკრა, მაინც კიდევ სამი აღლი გადააქარბე აყლაყუდობითა და მაგ გასრეკილ გოგრაში, მაგ ოხერ საბუღარში, მაგ ცარი-ელ ბოყვში კი ვერაფერი საშუალება მოგინახავს, რომ მაგისთანა რამ უბრალო საქმე, როგორქე გაგეპართლე-ბიოს?.. ფუი, შეგარცხვინოს ღმერთმა!.. შე გლახაკო, შე უხვირო შენა!.. აი შენ გაყვლეფილო მუნიანო გო-კო, შენა! აჰ!.. სიბრძნის კოლოფი არც მე გახლავარო, მაგრამ ოდესმე მაგისთანა საქმე რომ შემმთხვეოდა, ბუ-ზათაც არ ჩავაგდებდი: სულ ყინვაზე გავაცურებდი თქვენს ბერიკაცებს. აი! თქვე ბაიყუშებო, თქვენა!...

სილ. რა ვქნა, უნდა გამოგიტყდე, რომ ღმერთს არ მოუცია ჩემთვის შენისთანა ნიკი. მე თუ ერთხელ საქმეში გავეხლართე, იქედან თავის დაძვრენა აღარ შემიძლია!

ოქტ. აი ჩემი მშენიერი და ძვირფასი გიაცინ-ტაც!...

ივინივე და გიაცინტა.

გიაც. ახ, ოქტავო! განა სილიბისტრომ მართალი უთხრა ჩემს ნერინას, რომ მამა შენი ბრუნდება და ცოლის შერთვას გიპირებს?

ოქტ. მართალია, ჩემო საყვარელო გიაცინტა, და კიდევაც წელი მომწყვიტა მაგ ამბავმა. მაგრამ შენ რას ტირი რა გემართება? ორგულობას ხომ არ მეწამები? ყური დამიგდე, გიაცინტა: ნუ თუ ჩემს სიყვარულზე კიდევ არა ხარ დარწმუნებული?

გიაც. არა, ოქტავო! სწორეთ ვიცი, რომ გიყვარვარ, მაგრამ ის კი აღარ ვიცი, კვლავაც შეყვარები თუ არა!

ოქტ. გიაცინტა, განა შეიძლება, რომ შენ კაცმა შეგიყვაროს და საუკუნოთ კი არა?

გიაც. მ) ასე გამიგონია, რომ კაცებს ჩვენსავით ხანგრძლივი სიყვარული არ შეუძლიათო! როგორც მალე აენტება მათ გულში სიყვარული, ისე მალეც ჰქრებაო.

ოქტ. ძვირფასო გიაცინტა! თუ ეგ მართალია, მე მხოლოდ ეს შეიძლია ვსთქვა, რომ ჩემი გული სხვების გულს არა ჰგვანებია!.. მე ვგრძნობ და კიდევაც მრწანს, რომ შენი სიყვარული საფლავშიდაც კი ჩამყვება!

გიაც. ძალიან მსურს, რომ ეგ სიტყვები დავიჯერო; ექვი არა მაქვს, რომ რასაც ამბობ, სულ გულ-

წრფელია, მაგრამ შეშინიან კი, ვაი თუ მამი-შენის უფლებამ ამოგიფხროს გულიდან ეგ სიყვარული!.. შენ თუ სხვა ცოლი შეერთე, იცოდე, რომ გულზე გავსქდები! ველარ გავუძლებ ჯავრსა და თანაც გადავყვები!

ოქტ. ფიქრი ნუ გაქვს, ჩემო გიაცინტავ! მე ქვეყანაზედაც არ მეგულება იმისთანა მამა, რომ შენი თავი დაგავიწყოს. აბა, მე უფრო ადრე დავაგდებ ჩემს საწოლს, ჩემს სიცოცხლეს გავეყრები და შენ კი ვერ მოგშორდები! ვერ შეგელევი! გეფიცები, რომ ჯერ არ მინახავს ის, ვიღაც ჩემი საცოლოა და ახლავე აქედანვე მეზიზღება. შენ კარგათ იცი—მე ავ-გული არა ვარ, მაგრამ, ღმერთო შეგცოდე, რომ ის ჩემი საცოლო ნეაპოლში მისვლაჲდე სადმე ზღვაში ჩაიღრჩობოდეს, საწყენათ არ დამირჩება. ნუ!.. ნუ!.. ნუ ტირი ჩემო გიაცინტავ! ეგ ცრემლები მე გულს მითუთქვენ!..

გიაც. მაშუ კარგი, აღარ ვიტყვებ. რა გაეწყობა! რაც ზეცას ჩემთვის დაუნდინავს, მოთმინებით მივიღებ და გულგრილად მივეგებები.

ოქტ. არა გვიშავს რა, ღმერთი მოწყალეა!

გიაც. რასაკვირველია, თუ კი შენ არ მიღალატებ.

ოქტ. არაოდეს! არაოდეს!

გიაც. ეგ კმარა ჩემთვის! მაშინ მე სრული ბედნიერი ვიქნები.

სკაპ (აჰფესაჰვის) არ ყოფილა ეს ქალი უქკუო, და მასთან არც არა სახით უჭირს-რა. გვარიანი მარიალიანი გოგოა!—რა უშავს... აქეთ იქით, ერთი მეორე... და ს.ვ....

ოქტ. (უხეყნებს გიაცინტას სკაპენსე) აი ამ კაცს შეუძლიან შემწეობა მოგვცეს, რომ მოინდომებდეს.

სკაპ. მე, დიდი ხანია, აღთქმა მაქვს მიცემული, რომ მაგ-გვარ საქმეებში აღარ გავერიო, მაგრამ თუ ორივე ძალიან გულით შემეხვეწებით, მაშინ კი შეიძლება გავბედო... არ ვიცი კი... ენახოთ.

ოქტ. თუ კი თხოვნა საკირია, სწორეთ რომ გულს მოდგინეთ გვედრები...

სკაპ. (გიაცინტას) თქვენ რაღას გაჩუმებულხართ? რატომ არას მეტყუით? ჰო! რაღას უცდით?

გიაც. მეც გეხვეწები და ვაფიცებ რაც კი გეფიცება, რომ ჩვენს მდგომარეობაში მონაწილეობა მიიღო.

სკაპ. ეჰ, რა გაეწყობა! მეცოდებით!—კარგი, კარგი, მოგეხმარებით. (გიაცინტას) ახლა კი წაბრძანდით.

ოქტ. დარწმუნდი, რომ....

სკაპ. სსუ! კმარა... კმარა... (გიაცინტას) გასწით, დაიკარგეთ იქით, არ გეყურებათ... გული დაიმშვიდეთ და სხვა ჩემს კისერზე იყოს.

გამოსვლა 4.

ოქტავი, სკაპენი და სილიბისტრო.

სკაპ. (ოქტავს) აბა მოემზადეთ, რომ გულ-შაგრათ მიხვიდეთ იერიშით მამა თქვენზე! ვაჟკაცურათ და მამაცათ უნდა შევხვდეთ; მეტი გზა აღარ არის;

ოქტ. ღმერთთან სწორი სჯობს: ეგ იერიში როგორღაც სულს მიფრთხობს. ბუნებითად დაბადებილგან-

ვე ისეთი დამკრთალი ხასიათისა ვარ, რომ გულს ვერ შევიმაგრებ ხოლმე.

სკაპ. კი მაგრამ, თუ ჩახმახათ არ დაუხედი ჰირველ შეყრის დროს და სიმბთალე შეგნიშნა, ისე მოგექცევათ, როგორც პატარა ბავშვს. გაბედვით, შეუპოვრად უპასუხე ყოველს სიტყვაზე.

ოქტ. თუ კი შევიძელი და მოვახერხე, თავს აღარ დავიზოგავ.

სკაპ. მაშ, გამოვცადობ; ახლა ცოტა უნდა გაგწვრთნათ და ვნახოთ, როგორ აასრულებთ ჩემს დარიგებას. აბა, გამოქაჩეთ თვალები. ფეხ მძიმეთ, ლომივით გაიარ-გამოიარეთ! თავი მალლა აიწიეთ! მაგრე! უფრო შეუპოვრათ შემომხედეთ!

ოქტ. ასე?

სკაპ. კიდევ უფრო იერიანათ!..

ოქტ. ასე? ახლა ხომ კარგია?..

სკაპ. ძალიან კარგია! ახლა წარმოიდგინეთ, რომ მე ვარ მამა თქვენი, და ისე თამამად მიპასუხეთ, როგორც იმას უნდა უპასუხოთ. გამიგონე, შე საძაგელო, ავაზაკო, შემცოდე შვილო, შენ მამის შეუფერო, შენა! როგორ გაბედე და როგორ ეჩვენე ამ ჩემი თვალის კაკლებს, იმ საკიცხი და უშვენის საქმეების შემდეგ, რომელიც შენ ჩემს სხვაგან ყოფნაში ჩავიდენია!.. შეჩვენებულა! განა ეგ არის შენ? ჩემი ზრუნვის ნაყოფი? მაგ მადლობას მემართლებოდი? აი შე ასპიტო! შე ხაშმიანო გველო! როგორ გაბედე ბარბაროსო, მამი-შენის ნება-დაურთველად ცოლის შე-

რთვა? აბა, მიპასუხე ჩქარა, შე საძაგელო შენა. ვნახოთ როგორ გაიმართლებ თავს. ხმა გაჰოიდე! პასუხს ველი!.. (თაყის სიშით) ენა ჩაგვარდა? მიპასუხე, რას იფულები ძერასავით?....

ოქტ. სწორეთ ისე მიჯავრდები, როგორც ჰამაჩემი და მოდი და ნუ შეგეშინდება შენ!..

სკაპ. მერე, მიტომ უნდა ზაბოსავით გამოშტერდე? გუგულივით გამოშტერებულხარ და არ იცი, რა უნდა ქნა.

ოქტ. დამაცადე, აბა ახლა, როგორც რიგია, ისე გიპასუხებ.

სკაპ. ჰოო და, რასაკვირველია, მაგრე უნდა ინებო!..

ოქტ. აბა ახლა მიყურე!

სილ. (აქცაჟს), აი მამა თქვენიც.

ოქტ. ახა, ღმერთო ჩემო!.. დავიღუპე!..

გამოსვლა 5.

სკაპენი და სილიბისტრო

სკაპ. ჰეი! ოქტავო! სად გარბიხარ? აქ მოიცადე! ოქტავო! არ კი გაჰქუსლა! რა უხეიროა, დედავ, დედავ, რა მხდალია!.. (საღაპის(ტასი) წავიდეთ ბერიკატთან.

სილ. მერე რა უნდა ვუთხრა, რომ მივიდე?

სკაპ. ეგ შენი საქმე არ არის. მე დამაცადე; მე ველაპარაკები, შენ მხოლოდ ტყუილა მომყევი.

არგანტი, სკაპენა და სილიბისტრო. (ცოცხალი მოშორებით)

არგ. (შარტლან ჰეინია) ნეტა თუ სხვასაც გაუგონია ვისმეს ამისთანა თავხედობა!..

სკაპ. (სილიბისტროს) ჰე ჰერიჰა... ამას კიდევაც ყოლიფერი შეუტყვია... მაგრამ ამ საქმეს ისე კი გაუბრუებია, რომ თავის თავს ხმა მალლა ესაუბრება!

არგ. ეს თავხედობა მისატყვებელი, შესანდობელი არ არის!

სკაპ. (სილიბისტროს) აბა, შევიტყოთ, რაიო.

არგ. ნეტავი ვიცოდე, რას მეტყვიან ამ თავ-ხედურ კოლარს შერთვაზე...

სკაპ. (თაფისაფის) ეგ ჩვენ ვიცით, რასაც მოგახსენებთ.

არგ. ვინ იცის, ეგება უარზედაც დაადგენ და გადათქვან.

სკაპ. (თაფისაფის) უკაცრავათ. ეგ ტყუილი ანგარიშებია.

არგ. ან და ეგება თავიც იმართლონ.

სკაპ. ეგ კი სულ სხვა ანგარიშია! რატო არაო! დიახაც.

არგ. დამიწყებენ ერთს აქია-ბაქიას.

სკაპ. (თაფისაფის). ეგ დიახ აღვილი შესაძლებელია.

არგ. არა, მაგრამ მათი მკვერ-მეტყველება უქმათ ჩაივლის.

სკაპ. (თაყვისთყვის) მაგასაც ვნახავთ, თუ მაგრე იქნება.

არგ. იმ თავსხლათ-დასხმულ სილიბისტროს სულ კისერს მოვატეხინებ.

სილ. (სკაპენს) ჰე, მამწვდა ეხლა მეც. ასე მეგონა, თუ დაფავიწყდი, აქამდი რომ არ მახსენა, და ძალიანაც მიკვირდა.

არგ. (დაინახავს სილიბისტროს) აა!— აქ მობრძანდით, ბატონის შვილო, ერთა დამენახვით, წინ წამოდექით, ჩემო ერთგულლო შინა ყმავ!

სკაპ. ბატონს გაუმარჯოს!— დიდათ მოხარული ვარ თქვენის ხილვისა, ჩემო ბატონო.

არგ. აა! სკაპენს გაუმარჯოს! რასა იქ? (სილიბისტროს) მაშ საქებურათ აგისრულებია ჩემი ბრძანება: შეტი აღარ შეიძლება, ისე გიგდია ყური ჩემს შვილისათვის.

სკაპ. ხომ მშვიდობითა ბრძანდებით ჩემო ხელმწიფე— ბატონო.

არგ. ერთ რიგათ, ასე, გვარიანათა ვარ. (სილიბისტროს) რატომ არაფერს მიპასუხებ, შე საძაგელო?

სკაპ. ხომ მშვიდობითა და კარგათ იმგზავრეთ, ჩემო ბატონო!..

არგ. ახა, ღმერთო! დიახ, მშვიდობითა და კარგათ. თუ ღმერთი გწამს, თავი დამანებე ერთი. რას ჩამცივებ ხიარ! დამაცადე, რა კარგათ რჯულზედ გავლანძლო ეს საძაგელი.

სკაპ. თქვენ გნებავთ, ბატონო, გალანძლოთ?

არგ. ჰო!..

სკაპ, ვინა ბატონო?..

არგ. ვინა და ეს ბილწი, ეს საძაგელი!

სკაპ. რათა ბატონო!

არგ. როგორ თუ რათა? განა არ შეგიტყვია, თუ რა მოხდა აქ, ჩემს სხვაგან ყოფნაში?

სკაპ. დიახ, როგორც მოვეკარი ყური აქა-იქა, რა-ღაც სისულელეზედ, უბრალო რამეზედა ჭორავდენ.

არგ. როგორ თუ უბრალოზედ? მამის მაგვეარად წინააღმდეგობა, უბრალო რამეა?

სკაპ. დიახ, მართალი ბრძანდება!

არგ. დიდი თავხედობაა!..

სკაპ. რასაკვირველია!..

არგ. შვილი, რომელიც მამის უნებურად ცოლს შეირთავს...

სკაპ. დიახ, რასაკვირველია, მაგაზედ კი ღირს ხმის ამოღება, მაგრამ ესეც კი უნდა მოგახსენოთ, რომ მაგ საქმეზედ ხმასაც ნუ ამოიღებთ.

არგ. არა, მე მაგის თანახმა არა ვარ! მაგ საქმეს მე მთელ ქალაქს შევატყობინებ, სულ ვიყვირებ! რაო? შენ ეგება გვეგონოს, რომ მე გაჯავრების უფლებაც აღარა მქონდეს?!

სკაპ. 'ეგ სწორეთ მაგრეთა: სახუმროთ აღარც მე გავწიწმარიტებულვარ, ეგ ამბავი რომ პირველათ გავიგონე, თქვენ ეგება არც მე დაჰიჯეროთ, ბატონო, რომ მე თქვენი შვილი ძალიან კარგა ლაზათიანათ შემომე-ლანძღა. აბა, კითხეთ ერთი იმას, თუ რა დარიგება

მივეცი და რა საყვედურებით გავბერე, მისთვის რომ ის ვერ მოიქცა კეთილ-შობილათ, მისთანა მამასთან, რომელსაც ყოველ დღე სიძდაბლით ხელებს უნდა უკოცნიდეს და მის ფეხთა მტვერს ემთხვევოდეს. ღმერთსა ვფიცავ, მგონი, თქვენც ვერ დაარიგებდით და ვერ ჩაადებდით სინიდისში ჩემზედ უკეთ. მერე დაფიქრდი და მივხვდი, რომ საქმე გროშათაც არ ღირდა. ის ისე დანაშაულიც არ არის, როგორც თქვენ ჰფიქრობთ!

არგ. ნეტავ რას მელაპარაკები. როგორ თუ დანაშაული არ არის, როდესაც იმან ჩემდა უნებურათ, ეშპაკა იცის, ვინ შეირთო! ვილაც მანაწალა!..

სკაპ. რა გაეწყობა, ბატონო, ეტყობა მისი ბედისა ყოფილა!

არგ. აი კარგი საშუალება ყოველ-გვარი დანაშაულობის გამართლებისა! თუ მაგრვა, ავაზაკი, კაცის-მკვლელი, ყველა მართალია შენის შეხედვით!

სკაპ. ახა ღმერთო! თქვენ, ბატონო, როგორღაც ფილოსოფურად გეყურებათ ჩემი მოხსენება. მე მოვახსენებთ, რომ ის ყმაწვილი იძულებული იყო, რომ სრულიად მოულოდნელად შეერთო ის ქალი.

არგ. როგორ?

სკაპ. აი როგორ: თქვენ გნებავსთ, რომ ისიც თქვენსავით წინ-დახედული იყოს! ყმაწვილ-კაცები ყოველთვის ყმაწვილები არიან. იმათ არ შეუძლიათ ყოველს საქმეში რომ კეთილ-გონიერად გაისარჯონ. მაგალითად ავიღოთ, თუ გნებავსთ, ჩვენი ლევანდრი. ჩემს, ზრუნვასა და დარიგებას ყურბიც არ უგდო და აგერ

განზედ მისთანა საქმეები ჩაიდინა, რომ იმასთან შედარებით თქვენის შვილის მოქმედება ჩალათაც არ ჩაფარდება, თქვენი შვილი იმასთან შედარებით თოვლივით სპეტაკად დარჩება. და ესეც რომ არ იყოს, ყმაწვილობის დროს განა თვითონ კი არ ეშმაკობდით? მე როგორც გამიგონია, ჩემო ხელმწიფე—ბატონო, თქვენც თურმე ძალიან ტრიალობდით, სულ ბზიალ-ბზიალი გაგქონდათ ხოლმე ქალების საზოგადოებაში. გამოჩენილი და პირველი. მზეთ-უნახავები ბედნიერებათ ითვისდნენ ერთს თქვენს ყურადღების მიქცევას და თქვენის სურვილის ასრულებასაც ვერაფერი ეწინააღმდეგებოდა ხოლმეო. არა, მართალია თუ არა?!

არგ. ჰო, ეგ კი მართალია, რომ ქალების საზოგადოება მიყვარდა. მაგას ვერ დავიფიცავ, სწორეთ გეთანხმები, მაგრამ იმას კი ნუ დაივიწყებ, რომ ყოველს შემთხვევაში ზომა ვიცოდი და მაგ გვარი უგნურება ჩემს დღეშიდაც არ ჩაჰიდენია!..

სკაპ. მერე რა გნებავსთ, რომ ქნას იმ საბრალო თქვენმა შვილმა, მიბრძანეთ ერთი! შეხვდა ლამაზ ქალს, რომელსაც ძალიან მოეწონა და შეუყვარდა თქვენი შვილი. ნუ დაივიწყებთ, რომ იმას, მემკვიდრეობით, თქვენგან გამოჰყვა ბედი ქალების სიყვარულში: თქვენი არ იყოს, ყოველ ქალს მოსწონს—თქვენ შვილსაც მოეწონა ის ქალი, დაიწყო მასთან ხშირი სტუმრობა, ალერსი, ოხვრა, თვალის ქნევა, ერთი, მეორე—აქეთ, იქით და ბოლოს დაიპირეს ნათესავეებმა და ძალაუნებურად გადაწერეს ჯვარი.

სილ. (თავისუფლად) გაწართლებაც ამისთანა უნდა.
ჰაი გიდი სკაპენო!

სკაპ. აბა კარგათ დაფიქრდი, ჩუგო ხელმწიფე.
ნუ თუ ის უფრო სასიამოვნო იქნება თქვენთვის რომ
მოეკლათ თქვენი შვილი და თქვენც გასისხლიანებულ-
ლი, თხასავით ყელ-გამოქრილი გენახათ?!...

არგ. ჩემთვის არავის უთქვამს, საქმე თუ მაგრე
იყო და...

სკაპ. (უჩვენებს სილინის ტროზედ) აბა ჰკითხეთ აქას,
თუ ამანაც ისე არ მოგახსენოს...

არგ. (სილინის ტროზედ) მართლა ძალათი შერთეს?

სილ. დიახ, შენი-ჰირიშე!

სკაპ. განე მე კი ტყუილს გაგიბედავთ?

არგ. თუ მაგრე იყო, რატომ მაშინ არ წავიდა
და არ გამოუცხადა ნოტარიუსს?

სკაპ. კიდევ ეგ არის, რომ ეგ არ მოინდომა!

არგ. ჰო და! მაშინ მეც გამიადვილდებოდა მაგ
ქორწინების გაუქმება.

სკაპ. ქორწინების გაუქმება?

არგ. ჰო!...

სკაპ. ვერ გააუქმებთ! მაგას ვერ მოახერხებთ!

არგ. ვერ შევიძლებ?

სკაპ. ვერა!

არგ. განა მშობლის უფლება და ის ძალ-დატანე-
ბა, რომელიც ჩემის შვილისათვის მიუყენებიათ, საკმაო
მიზნებათ არ მიიღებიათ?!

სკაპ. კი, მაგრამ თქვენი შვილი არ იქნება თანახმა.

არგ. არ დამეთანხმება?

სკაპ. არა!

არგ. ჩემი შვილი?

სკაპ, დიახ, თქვენი შვილი. ნუ თუ ფიქრობთ, ის გამოტყდეს საქვეყნოდ, რომ მართალია, შეაშინეს და ძალათი გადაწერეს ჯვარი? კარგი ერთი, რასა ბრძანებთ!.. თავის დღეშიდაც მაგის თანახმა არ გახდება. ეგ ის იქნება, რომ იმან იმისთანა მამის, როგორც თქვენ ბრძანდებით, უღირს შვილად ჩაიგდოს თავი.

არგ. ეგეები ყველა ფეხებზედ მკიდიან.

სკაპ. რასა ბრძანებთ. მე მგონია, როგორც მისი, ისე თქვენის პატივისათვისაც საკირო იქნება, იმანა სთქვას, რომ ჩემი სურვილით შევირთე ცოლიო!..

არგ. და მე მსურს, რომ ჩემი და მისი პატივისათვისაც სულ წინააღმდეგი აღიაროს.

სკაპ. არა, მე დარწმუნებული ვარ, რომ მაგას არ იზამს.

არგ. ვაქნეცინებ! ძალას დავატან...

სკაპ. მე მოგახსენებთ, რომ თანახმა არ გაგიხდებათ.

არგ. მაშინ მემკვიდრეობას ჩამოვართმევ.

სკაპ. მემკვიდრეობას წაართმევთ?..

არგ. ჰო!..

სკაპ. ნუ ხუმრობთ!..

არგ. როგორ თუ ვხუმრობ?..

სკაპ. ეჰ, ვერ ჩამოართმევთ!

არგ. მე ვერ ჩამოვართმევ?..

• სკაპ. გეუბნებით, რომ ვერ ჩამოართმევთქო.

არგ. ეგ ძალიან მომწონს—მე ვერ წავართმევ შემკვიდრეობას ჩემს საკუთარს შეილს. იპე! არა, ვინ დამიწყებს წინააღმდეგობას?!

სკაპ. ვინა და ისევე თქვენი თავი.

არგ. ისევე მე?

სკაპ. გული არ გიზამს...

არგ. მიზამს!..

სკაპ. კარგია, ღმერთი გადღეგრძელებს! ნუ ხუმრობთ!

არგ. სულაც არა ვხუმრობ!

სკაპ. მამობრივი სიყვარული თავისას გაიტანს.

არგ. ვერაფერს ვერ გაიტანს.

სკაპ. მე მოგახსენებ, რომ კი გაიტანს.

არგ. ღმერთს გეფიცები, რომ ვერა.

სკაპ. ეგ სულ ტყუილია.

არგ. რა არი ტყუილი?

სკაპ. ღმერთო ჩემო! ნეტავი ვის ატყუებთ! რათ გინდათ, რომ გულშევათ გამოიჩინოთ თავი? ყველამ იცის, რომ თქვენ კეთილი, პატიოსანი და კეთილშობილი კაცი ბრძანდებით...

არგ. კი, მაგრამ მასთანაც, როცა მინდა, ავიც კი ვარ.— ეგ, დავანებოთ თავი მაგ ობროდობას, მადედა! არა გამოდის-რა. (საღაპისიტროს)! შენ იმ ჩემ შერცხვენილ და თავს-ლაფ-დასხმულთან წაბრძანდი. ის მონახე და მე კი ევრონტისთან წავალ, — იპას უნდა შევჩვილო ჩემი ნალველი!

სკაპ. თუ კი რაზე შემეძლება, მე ყოველთვის
თქვენი ყურ-მოკრილი ყმა ვიქნები.

არგ. გმადლობ! (აღვისაღვის) ოჰ, ღმერთო! ღმერთო!
რათ დამიტყვე მარტო ეს ერთი ვაჟი. ოჰ, რომ შემედ-
ლოს და ვიპოვიდე იმ ჩემ დაკარგულ ქალს, მაშინ
მთელს ჩემს მემკვიდრეობას სულ მარტო იმას გადავს-
ცემდი!

გამოსვლა 7.

სკაპენი და სილიბისტრო,

სილ. არა, ძმაო. შენ მაგ გვარ საქმეებში ძალიან
ოსტატი ყოფილხარ. იცი კიდევ რა უნდა გითხრა—
ჩვენ ფულები აღარა გვაქვს და გვეპირვება კი ძალიან.
შეჩვენებული მოვალეები ილაჯს გვიწყვეტენ. ჯაკვით
დაბმული ძალღებოებით გვიღრენენ.

სკაპ. ჩუმა იყავი, მაგასაც მოვახერხებთ. მე აქ
ყოლიფერი მხათ მაქვს! (აღუყუდ უჩუყუნის) ახლა მე ერთს
სანდო კაცს ვეძებ, რომ მოახერხოს და... მოიცა...
მოიცა... აბა ერთი სწორა გაჩერდი!—ქუდი ჩამოიჩარჩე
თავზედ, ისე, როგორც მასხარა ბიკები ჩამოიჩარჩვენ
ხოლმე!.. მარჯვით გადაადგი ბიჯი!.. დონჯები შაპო-
იდგი!.. თვალები გადმოაყვიაცე!.. ისე იარე, როგორც
თიატრში სცენაზედ მეფეები დადიან ხოლმე!.. ჰო ძალიან
კარგი! ბარაქალა! სწორეთ ეგრე. მაშ მომყევი! ახლა
კიდევ ხმისა და სახის გამოცელას დაგასწავლი!

სილ. ღეთის გულისათვის მაგ საქმეში მე ნუ გამრევ!

სკაპ. არა უშავს-რა, წავიდეთ! მე და შენ ძმურათ
უნდა გავყოთ მარტხი!.. სამი წელი საპატიმროში ტყვე-
ობამ ვერ უნდა შეაშინოს კაცის პატიოსანი და კეთილ-
შობილი გული.

მოქმედება მეორე.

გამოსვლა 1.

ჟერონტი და არგანტი.

ჟერ. სწორეთ, სწორეთ, სჩანს, რომ არსად შეაჩერებენ, ეს-ეს არის ტარენტიდან ახლათ მოსულმა მატროსპა დამარწმუნა, რომ თქვენები კვალში მომყვებიანო. დღეს მე ჩემ ქალიშვილს მოველი, მაგრამ თქვენი შვილის საქმემ კი ძალიან გამაკვირვა და კიდევაც აურდაურია, სულ დაშალა, ჩვენი ნარჩევი საქმე.

არგ. გეთაყვა, შენი კირიმე, მაგას ნუ ინაღვლებ! დამერწმუნეთ, რომ მაგ საქმეს ახლაც შეეუდგები და, როგორც იქნება, გამოვაქანბრაკებ...

ჟერ. ბატონო, არგანტო, თუ თქვენი ნებაც იქნება, უნდა მოგახსენოთ, რომ შვილებს გამოზრდაში დიდი სიფრთხილე მართებს კაცს, სახუმრო საქმე როდი გახლავს!

არგ. რასაკვირველია. მაგრამ მე რე რაო?

ჟერ. რაო და ისა, რომ ცუდსა ზნესა და გაფუქვებულს ხასიათებს შვილები მხოლოდ მაშინ გამოიჩენენ ხოლმე, როდესაც მშობლები კარგათ ვერ ზრდიან და, რომ უნდა, ისე ვერ ექცევიან.

არგ. დიახ! სწორეთ! ეგ მართალი ბრძანებაა! მაგრამ ეგ რაზე ჩამოიარაკეთ?

ჟერ. რაზე ჩამოიარაკეთ?

არგ. ჰო!..

ჟერ. იმაზე, თქვენ რომ მისთანა სასტიკი მსედველობა გქონოდათ მიქცეული თქვენ შვილზე, როგორც შეჭფერის ყოველ რივიანსა და კეთილ მამას, მაშინ თქვენი შვილი მაგისტანა უგვანი საქმის ჩადენას ველარ გაბედავდა.

არგ. ისეც კარგი დავემართოს! მაშ თქვენც რომ ყური გეგდოთ თქვენი შვილისათვის, მაშინ ველარც ის...

ჟერ. ეჰ, რა ბრძანებაა! ჩემი საქმე სულ სხვა გახლავს! მაგგვარ რამეს ჩემი შვილი დიანაც ვერ გამიბედავს.

არგ. კი, მაგრამ მაგ შვილს, რომელზეც მაგრე სასტიკათა გქერია თვალ-ყური, რომ ჩემს შვილზედაც უარესი რამ ჩაედინოს, მაშინ რაღას ბრძანებთ?

ჟერ. როგორ თუ...

არგ. ასე... ვინ იცის!..

ჟერ. გამოარკვიეთ! შავით რა გინდათ, რომ ბრძანოთ?

არგ. აი რა მინდა მოგახსენო, ჩემო ერონტო: თავის დღეში არ უნდა მივარდე კაცს აჩქარებით გასაკიცხათ; სანამ სხვას დარიგებას მისცემდე, უმჯობესია, ჯერ შენ თავზე დაიხედო და შეიტყო, ეგებ შენ უფრო მეტი გასაკიცხავიც რამ გქონდეს და კი ვერ ატყოზდე თავს.

ჟერ. მე ეგ თქვენი სიტყვები, როგორღაც არ მესმის.

არგ. ცოტა კიდევ მოითმინეთ და შეიტყოზთ.

ჟერ. ეგებ ჩემ შვილზე გაიგონეთ რამე?

არგ. დიახ, არც უმისობა გახლავსთ.

ჟერ. ნეტავი რა უნდა იყოს. •

არგ. რა მოგახსენოთ. მე ისე გაკვირით მითბრა თქვენმა სკაპენმა და თუ გნებავთ, თქვენ უფრო დაწვრილებით მოგიყვებათ, თორემა და სხვას ვისმე ჰკითხეთ, სხვებსაც ეცოდინებათ, და მე კი ჩემ საქმეზე რჩევას საკითხავათ ადვოკატთან გავსწევ. მშვიდობით ბრძანდებოდეთ! (შიდის).

გამოსვლა 2.

ჟერ. (შარტო) ნეტავი ეს რა უნდა იყოს? ჩემ შვილს უარესი საქმე ჩაუდენია! ჩემი აზრით, მე თუ მკითხავს, იმის შვილმა რომ საქმე გაბედა, იმაზე უარესი აღარ მოხერხდება რა. მამის უნებურათ ცოლის შერთვა ისეთი დანაშაულობაა, რომ უარესის მოფიქრებაც აღარ შეიძლება.

გამოსვლა 3.

ჟერონტი და ლეანდრო.

ჟერ. აა, აქ ბრძანდები, კარგო კაცო!..

ლეან. (მიგარდებს და მოსკეკის-უწარესს) ახ, მამა ბატონო, რა რიგათ მიაბა თქვენი დანახვა.

ჟერ. (ხელს უჭყანებს) გასწი იქით, გაჩერდი, წყნარათ! ჯერ, ჩემო კარგო შვილო, ცოტაოდენი უნდა მოვილაპარაკოთ.

ლევან. ჯერ ნება მიბოძეთ, მოგეხვიოთ და მერე —
(შიაწევს).

ჟერ. გაჩერდი თქო, გეუბნები, არ გესმის?

ლევან. როგორ, ბატონო, ნებას არ მაძლევთ, რომ
შვილური აღერსით მოგეხვიოთ?

ჟერ. დიახ, ნებას არ გაძლევ, ჯერ უნდა მოვი-
ლაპარაკოთ.

ლევან. რაზე ბატონო?

ჟერ. გამოიკიმე ჩემ წინ.

ლევან. როგორ?

ჟერ. შემომაჩერდი თვალებში!

ლევან. მერე?

ჟერ. უჩემოთ აქ რა მომხდარა?

ლევან. რა უნდა მომხდარიყოს?

ჟერ. განა არ იცი! შენ უჩემოთ აქ რა ამბები ჩა-
გიდენია?

ლევან. რა გნებაედათ, ბატონო, რომ ჩამედინა?

ჟერ. მე კი არა მნებაედა, შენა გკითხავ, რას აკე-
თებდი აქ უჩემოთ?

ლევან. მე? სრულიადაც არაფერს თქვენ საწყენს.

ჟერ. არაფერი დაგიშავებია?

ლევან. დიახაც არაფერი.

ჟერ. შენ ძალიან თამამათ ადგები უარს.

ლევან. რატომ არა, როდესაც ვიცი, რომ არა და-
მიშავებია-რა.

ჟერ. კი, მაგრამ სკაპენმა შენზე ცოტა რაღაც-რა-
ღაცები მიაშობ!

ლევან. სკაპენმა?

ჟერ. დიახ, სკაპენმა. რათ გაწითლდი მაგრე უც-
ბათ, ა?

ლევან. იმან ჩემზე რაჲე გაამბოთ?

ჟერ. აქ ადგილი არ არის, რომ რაჲე გითხრა. გა-
სწი სახლში, მეც ეხლავე მოვალ. შე საძაგელო შენ!
თუ სირცხვილის კმევა გინდა ჩემი, იცოდე, რომ ხელს
ავილებ შენ მამობაზე და შეგაჩვენებ და აღარც მინდა,
რომ სადმე დამენახეო! დაიკარგე, აღარ მომელანდო, შე.
ავაზაკო შენა. (შიდის).

გამოსვლა 4.

ლევანდრო (მარტო).

ლევან. გაგონილა ამისთანა ღალატი! ის გაიძვერა
ისა, რომელსაც ათასი მიზეზი ჰქონდა, რომ ჩემი საი-
დუმლო შეენახა, წასულა და პირდაპირ მამაჩემისათვის
მიუხარებია. ოჰ, თუ კაცი ვყოფილვარ, მე იპას ამ ღა-
ლატს არ შევარჩენ!..

გამოსვლა 5.

ოქტავეი, ლევანდრო და სკაპენი.

ოქტ. ჩემო კარგო და კეთილო სკაპენო, რომ
იცოდე, რა მადლიერი ვარ შენი. არა, სწოტეფე საკვირ-

ველი კაცი ყოფილხარ; მადლობა ჩემს ვამჩენს, რომ შენი თავი გამოიჩინა ამ გაკირვების დროს.

ლევან. (შაჟანდუის სკანჯის). ა, როგორც იქნა, მი-
გავენ, შე საძაგელო, შე ღვთის რისხევე შენა...

სკაპ. გასლავარ თქვენი მონა მო! ამსახურე. მე ზა-
გის ღირსი არ გახლავარ, თქვენ ერთობ მეტს პატრის მა-
ძღვეთ; ჩემო ხელმწიფე-ბატონო!

ლევან. მოიცადე და შენ გაყურებიანებ შენს სვირს!
(სმალს იღებს) კკუას გასწავლი!

სკაპ. ბატონო!.. შენი კირიმე!..

ოქტ. (სელს უტყვის ლეანდრას) ლეანდრო!..

ლევან. დამაცა, ხელს ნუ მიშლი, მე შენა გთხოვე!..

სკაპ. (ლეანდრას) ვაიმე... ჩემო ხელმწიფე-ბა-
ტონო!..

ოქტ. ლეანდრო! ღვთის გულისათვის.

ლევან. (სტდილასს, რამ შქმაჰკრას სკანჯის) ხელს ნუ
მიშლი თქო, გეუბნები.

ოქტ. (აჩუტებს) თუ ჩემი მეგობრობა გწამს, თავი
დაანებე მაგას.

სკაპ. ბატონო, რა დანაშაული მაქვს?

ლევან. (სტდილასს დეჰკრას) რა გიქნია ჩემთვის, შე
გაუტანელო შენ!..

ოქტ. (სელს უტყვის) კარგია, კმარა! ერთი, თავი
დაანებე.

ლევან. არა, არ შეიძლება, ოქტავო! მე მინდა, რომ
თვითონვე გამომიტყდეს იმ ღალატში, რომელიც მე
მომინდომა. რას ვამბობ, მომინდომა კი არა, კიდევაც

მიღალატა და გაათავა... დიახ, შე საძაგელო, ყველაფერი მიამბეს, შევიტყვე, რა საქმეც გიქნია ჩემთვის. მაგრამ ჯერ მინდა, რომ თვითონ შენ შენი პირით გათქმეინო და მე კი შუა გაგხვრეტ მაგ ხმლით...

სკაპ. ვაი... ბატონო! მაგას რას ბრძანებთ? ეგება მართლა მკლავდეთ, აღარც კი ხუმრობდეთ!..

ლენ. სოქვი.

სკაპ. ღმერთო ჩემო, ამისთანა იქნება! რა დამიშავებია თქვენთვის, რომ აღარა ვზოგავთ?!

ლენ. მოჰყევი, შე ღვთის პირისაგან შეჩვენებულო. შენ უკეთ გეცოდინება ჩემზე.

სკაპ. დამიჯერეთ, რომ არაფერი არ ვიცი!

ლენ. არ იცი? (მსუნღრომესი შექმცკერას).

ოქტ. (აჰაჰესს) ლენდრო!..

სკაპ. რადგანაც აღარ მეშვებით, უნდა გამოგიტყდეთ, მეტი გზა აღარ არის: ამ დღეებში რომ ერთი ბოჩკა ჰისპანიური ღვინო მოგართვეს ძღვნათ, ის ღვინო მე და ჩემმა მეგობრებმა გამოვცალეთ. მერე მე ბოჩკა გავხვრიტე, განგებ, და ირგვლივ წყალი დავაქციე, რომ თქვენ მომეტყუებიეთ და ღვინო გგონებოდათ დაქცეული.

ლენ. მაშ შენ დაგილევია ჩემი ღვინო და მე კი შოახლე ტყვილა-უბრალოთ შემომელანძღა!... საწყალს ყურის უკდებლობა დავწამე...

სკაპ. დიახ, მე გახლდით, შენი კირიმე და კიდევაც გვედრებით მაპატივით.

ლევან. კარგი, რომ შევიტყვევ, მაგრამ საქმე ეგ არ არის. სთქვი კიდევ.

სკაპ. აბა ეს არ იყო?

ლევან. დიახაც არა. შენ მე კიდევ უარესი საქმე მიყავი. სთქვი.

სკაპ. მაშ მე მეტი აღარა მახსოვს-რა, შენი კირიმე.

ლევან. (სცდღაღრის სმღას შუშოკვრას) არ გინდა გამომიტყდე?

სკაპ. ვაიმე! ვაიმე!..

ოქტ. (სქღას უსქეს) კარგია ერთი, კმარა!..

სკაპ. მახსოვს! მახსოვს! ახლა გამახსენდა: ამ სამი კვირის წინეთ თქვენ გაზგზავნეთ თქვენ საყვარელ ახალ-გაზრდა ეგვიპტელ ქალთან და საჩუქრათ ოქროს საათი გამატანეთ, მაგრამ მე ტალახში ამოთითხნილი, ცხვირპირ დასისხლიანებული დაგებრუნდი და მოგახსენეთ, რომ ავაზაკები დაძიხვდენ გზაში, ბევრი შირტყეს და საათიც წამართვეს თქო. ის, ბატონო, თვითონ მე გახლდი, მევე მოვიპარე საათი, თქვენ-კი მოგატყუეთ.

ლევან. მაშ ის საათიც შენ მოიპარე?!

სკაპ. დიახ, ჩემო ხელმწიფევე, რომ შემეტყუო, თუ რამდენი საათია-თქო.

ლევან. ბარაქალა! ძალიან აგისრულებია ჩემი მონ-დობილება!.. მაგრამ ეგ ის კიდევ არ არის, რასაც მე გკითხავ.

სკაპ. არც ეს არი?

ლევან. არა, შე ცუდლუტო; მე მსურს, რომ სხვა-
ში გამომიტყუდე.

სკაპ. (თაფისაყას) დალახეროს ღმერთმა!

ლევან. სთქვი მალე!

სკაპ. მაშ მე თქვენთვის მეტი არა დამიშავებია--რა!

ლევან. (უზირეხს დაკყრას). მეტი არაფერი!

ოქტ. (სუფს უქქერს) გაიგონე...

სკაპ. ვიცი! ვიცი, შენი ქირიმე, ამ ექვსი თვის წი-
ნეთ, კარგათ თქვენ გზაზე შეგახურეს! კარგა-ლაზათია-
ნათ გაგჯობეს და თქვენც გაქცეული სარდაფში ჩავარ-
დით და იქაც კინალამ კისერი მოიტეხეთ.

ლევან. მერე!

სკაპ. ის მე გახლდით, შენი ქირიმე, მე გაგზურ-
გეთ!

ლევან. თორემ ის შენ იყავი?

სკაპ. დიახ, მინდოდა შემეშინებია და მომეშლევცი-
ნებია თქვენთვის გვიან ღამ-ღამობით ჩვენი აქეთ-იქით
ვაგზავნა.

ლევან. ჰმ! მაგაზე ლაპარაკს კიდევ მოვესწრებით,
ჯერ ეს მითხარი, მამაჩემს შენ რა ენა მიუტანე?

სკაპ. მამა-თქვენს?!

ლევან. ჰო, შე საძაგელო, მამაჩემს!!

სკაპ. ჯერ არც კი მინახავს, თქვენი რისხვა არა
შქონდეს!

ლევან. არ გინახავს?

სკაპ. შენი ხატის მადლი არ გამიწყრეს. თორემ
თუ გნებავთ, თვითონ ბატონი მამა-თქვენიც გეტყვი
თუ მათ.

ლევან. რას აზრობ, რომ თვითონ მისგან გაცი-
გონე?

სკაპ. მაშ, თუ არ გამიწყობით, ძალიან მიუქარავს
იმ დალოცვილს.

ბამოსვლა 6.

ლევანდრო, ოქტავი, კარლო და სკაპენი.

კარ. (დღესღამის) ძალიან უსიამოვნო აზბავი მოგი-
ტანეთ, ჩემო ბატონო.

ლევან. რაო? რა აზბავია?

კარ. თქვენი ეგვიპტელები ეზზავრებიან და ზერ-
ბინეტაც თან მიჰყავთ. საბრალომ ტირილით შემევედ-
რა თქვენთან მოსვლა და შეტყობინება, რომ თუ ეს-
ლავე არ უშოვეთ ის ფულიც, რომელსაც თქვენ დაჰ-
პირებიან, საქმე დაიღუპება. — ერთ წამსაც ნუ დაჰკარ-
გავთ, მალე შემოიტანე ჩემი სასყიდელიო, თორემ საუ-
კუნოთ დაგეკარგებაო. ორი საათის დაგვიანებაც ძნე-
ლია, თორემ მეტი აღარ შეიძლებაო.

ლევან. ორი საათი?

კარ. დიახ, ორი საათი, მეტი არა!..

ბამოსვლა 7.

ლევანდრო, ოქტავი და სკაპენი.

ლევან. ახ, ჩემო კარგო სკაპენო. გვევდრები, თუ
გიყვარდე, მიშველე რამე!

სკაპ. (წამოადგება და ძალიან გულდაღლით გააუფ-გამო-
იყლის ლეონდრის წინ). დიახ, „კარგო სკაპენო“ თუ
გიყვარდე!.. ჰმ, დიახ, მე ყოველთვის კარგი ვარ და ე-
თილი, როცა კი საჭირო ვარ ხოლმე.

ლევან. რაშიდაც კი გამომიტყდი, სულ-ყველაფერი
მიპატივებია. ასე გასინჯე, რომ თუ კი რამ მარჯლა გი-
თქომს მამიჩემისათვის, ისიც შეზინდვია.

სკაპ. არა, რა პირობაში? ჩემთვის საჭირო არ გა-
ხლავს პატივი და შენდობა. გამკუჭეთ მაგ თქვენი ხმლით.
თუ მომკლავთ მე კიდევ მიაჩება.

ლევან. რის გულისათვის უნდა მოგკლა? მოგლავ
კი არა, მე პირიქით გეხვეწები, რომ მოქმებმარო რო-
გორმე და შენი სამსახურით სიცოცხლე დამიბრუნო.

სკაპ. არა, არა, მომკალით!—ის უკეთესი იქნება.

ლევან. შენ ჩემთვის ძვირფასი ხარ და დაუფასებე-
ლი. გევედრები, თუ ღმერთი გრწამს, მომეხმარე რო-
გორმე შენი ჟუნაური ხერხიანობით.

სკაპ. არა, არა, მომკალით! აი ჩემი გულ-მკერდი!..

ლევან. კარგია, ახლა. ღვთის გულისათვის დაივიწყ-
ე, შენ მხოლოდ იმაზე იფიქრე, რასაც მე გთხოვ.

ოქტ. სკაპენო! უნდა როგორმე უშველო. უმისო-
ბა არ იქნება.

სკაპ. დიახ! სწორეთ! მისთანა შეურაცხყოფის
შემდეგ?

ლევან. რჯულს გაფიცებ, ნულა იგონებ იმ ჩემ გულ-
მოსულობას. შენ ისა ჰქენი, რასაც უხლა გთხოვ.

ოქტ. მეც იმასა გთხოვ, ჩემო სკაპენ!

სკაპ. წვლანდელი გაუპატიურება ლოდევით მაწვეს გულზე.

ლევან. ჩემო სკაპენო! ნუ თუ ეხლა გინდა უკუმელო, ამგვარ გაქირვების დროს ხელი ამალა?

სკაპ. ძნელი გასაბელი იყო იმგვარათ ჩემი სირცხვილის კმევა.

ლევან. დანაშაული ვარ, ველარ დავიფიცავ.

სკაპ. არა, ჩემი გალანძღვა, ჩემი ბიაბროთ გახდა ადვილი იყო.

ლევან. სკაპენო! წმინდის გულით ვითხოვ მოტევებას...

სკაპ. ჩემ ხელში დაჰუქრება... ჰმ...

ლევან. მაგაზედაც ბოდის ვიხდი, მომიტევე, (იხილეს) სკაპენო! სკაპენო! აჰა, ხედავ მუხლებს გიყრი და ისე გაფიცებ ღმერთს, ამ გაქირვებაში ნუ მიმატოვებ, მომეხმარე...

ოქტ. სკაპენო! უნდა როგორმე მოეხმარო, მეტი გზა არ არის.

სკაპ. ზეზე ადექი, მაგრამ კვლავ კი ფრთხილათ იყავი. აღარა წაგცდეს...რა.

ლევან. მაშ დამეხმარები?..

სკაპ. შეიძლება, ვიფიქრებ.

ლევან. კი; მაგრამ ხომ იცი, რომ დრო ძვირათ მიღირს?!

სკაპ. ეჰ, კარგია ერთი, თავს ნუ იწუხებ შენ გაზრდას, რამდენი გექირვება?

ლევან. ხუთასი ოქრო.

სკაპ. თქვენ?

ოქტ. მეც ორასი ოქრო.

სკაპ. მაგ ფულებს, მე მამა თქვენებსეე გამოვტყუებ. (ოქტავს) თქვენ შესახებ ყველაფერი მოფიქრებული მაქვს და ვიცი როგორც უნდა გავისარჯო. (ლეანდრს) თქვენი კი ცოტა ძუნწი ბრძანდება, მაგრამ მე მაინც იმედი მაქვს, რადგანაც აქ (შუბლზე მიიღებს ხელს) ცოტა ვერ უქყავა და რაც უნდა უთხრა, მაშინვე დამიჯერებს... იმედი მაქვს, ეს ჩემი განხენება საწყენათ არ დაგიჩებათ, რადგან, როგორც ამბობენ, თქვენსა და მამა-თქვენს შუა, საზოგადოთ, ბევრი მსგავსება არა არის რა. ყველას ასე ჰგონია, თუ ის მხოლოდ სხვის შესახებდათ არის თქვენი მამა, თორემ ისე კი...

ლეან. კარგი, კარგი! გაათავე! კმარა!...

სკაპ. რა კმარა! კმარა, მარა კი არ კმარა!.. თქვენ მგონია ისევ ხუმრობას აპირებთ. (შენიშნავს აგჯანტი) სსსუ! აი აგერ ოქტავის მამა მობრძანდება. ჯერ იმისაგან დავიწყებ, რადგან პირველათ ვე შევეფეთა წინ (ოქტავს) წადით და სილიბისტროს შეატყობინეთ, რომ მალე მოვირდეს ჩემი დარიგების ასასრულებლათ.

გამოსვლა 8.

სკაპენი და არგანტი.

სკაპ. (ააფისთავის) ჰე, მოაყოლა ცხვირის ცემას.

არგ. არა, ასე საქაველი და უგნური როგორ უნ-

და იყოს კაცი, რომ ამისთანა საქმე გაბედოს. ოჰ, ოჰ, სიჭაბუკევე, სიჭაბუკევე, შენ წინ დაუხედავო შენა!!

სკაპ. ღვთის წყალობა, ჩემო ხელმწიფე-ბატონო!

არგ. გაგიმარჯოს, ჩემო სკაპენო!

სკაპ. თქვენ ისევ თქვენს ვაჭხედა ჰფიქრობთ, შენი კირიმე.

არგ. სწორეთ უნდა გამოვტყდე, რომ ამ საძაგელ-მა ბევრი უსიამოვნება მომაყენა.

სკაპ. ეგრეა, ბატონო. ჩვენი სიცოცხლე, ჩვენი ცხოვრება სულ ცალიერი სხვა და სხვა შემთხვევებია. კაცი ყველაფერს უნდა მოელოდეს, მზათ უნდა იყოს. მე ყოველთვის ერთი ძველი ბრძენის ნათქვამით ვხელმძღვანელობ ხოლმე.

არგ. აბა რა არი?

სკაპ. ცოლ-შვილის პატრონი კაცი რომ საითმე გაემგზავრება, დაბრუნების დროს ყოველთვის ის უნდა ჰქონდეს სახეში, რომ ოჯახი არეულ-დარეული დაუხვდებო: ქონება სულ დამწვარი, ფულები მოპარული, ცოლი მკვდარი, ვაჟიშვილი ყელ-გამოქრილი და ქალიშვილი გაუპატიურებული, და .თუ ესენი ყველა ერთად არ აუსრულდა, ღმერთს მადლობა უნდა შესწიროს და თავი ბედნიერათ ჩაითვალოს. ჩემთვის მაინც ესენი ყველა ცხოვრების კანონია: როდესაც შინ ვბრუნდები, ყოველთვის ერთათ მოველი ხოლმე ბატონების რისხვას, ლანძღვას, გინებას, გათრევას, გაუპატიურებას. და სხე... და თუ ესენი ყველა ერთად არ ვადაშიდა, მადლობელი ვარ

ხოლმე ჩემი ბედის და ღმერთს მადლობასა ვსწირავ, ჩემო ბატონო.

არგ. ეგ ყველა მაკრეა, მაგრამ, ჩემო სკაპენო, იცოდე, რომ მაგ უკანონო ქორწილმა ჩემი აზრები სულ აურ-დაურიოა: იცოდე, რომ მე ამას ვერ მოვითმენ და კიდევაც გავსწევ ეხლა ადვოკატთან, რჩევის საკითხათ... ეგებ როგორმე მოვშალო ეს საქმე.

სკაპ. აჰ, მაგას კი ნუ მიბრძანებთ, ღმერთი გადღეგრძელებსთ!.. ეგ რა ბრძანებაა! უკეთესი არ იქნება, რომ სხვაგვარათ შევეუდგეთ როგორმე საქმეს, თორემ ხომ იცით საჩივარს რა წვალება და ვაი-ვაგლახი უნდა... ადვოკატები პირაქეთვე ასე დაგხლართვენ, თუ ჩაგიოდეს ხელში, რომ თქვენზე უცოდვესი ქვაც აღარ იქნეს.

არგ. მართლა... მაგას მეც ვფიქრობ, მაგრამ აბა რა ვქნა, რომ მეტი ღონე აღარა მრჩება რა!?

სკაპ. იცით, რას მოგახსენებთ. შევიტყვე თუ არა ეგ თქვენი უსიამოვნება, ცეცხლი მომეკიდა, დავიწყვე ერთი ფიქრი და თავის ტეხა, ეგება ვუშველო რამე-თქო. უნდა გამოვიტყდეთ, რომ აგრე უპატიოსნოთ ქცევა შვილის მამასთან, ვისიც უნდა იყოს, ძალიან მალეღუფებს და, რასაკვირველია, რომ თქვენ უფრო შეგაწუხებდა, თორემ თქვენც კარგათ მოგეხსენებათ ჩემი ერთგულება...

არგ. ღმერთმა გიშველოს, ჩემო სკაპენო!..

სკაპ. რაღა ბევრი გაწუხოთ ბევრი ლაყობთ... მე მაშინათვე გავსწიე იმ ქალის ძმასთან, რომელიც

თქვენმა შვილმა შეირთო და ვნახე... იმე, ვნახე, მარა რა ვნახე!—რა ყოფილა ღმერთო! ერთი ვილაც ხეპრე კაცი, მის თავში ხმლის მეტი არა ტრიალებს რა... სულ დუელებზე ლაპარაკობს და კაცის კვლახე. ასე არაფრათ მიაჩნია ადამიანის სისხლის დაქცევა, როგორც ერთი ყანწი ღვინის. აბა არა გეტკინოს რა, კაცის მოკვლისათვის ის სინიღისმა არ შეაწუხოს... მე ჩამოვუარაკე ქორწინებაზე, და ისიც ვუთხარი გადაკვრით, თუ თქვენ ვინა ხართ და რა დამოკიდებულება გაქვთ, ან რა შეძლების კაცი ბრძანდებით; ამასაც, შშობლის უფლებაც დავამატე და ავუხსენი, რომ კარგი იქნებოდა ფულზე მორიგებით საქმის გათავება თქო.

არგ. მერე?

სკაპ. ჯერ მისთანა სასყიდელი ითხოვა, რომ კაცის ყურს არ გაეგონებოდა.

არგ. მაინც?

სკაპ. არც კი ღირს, რომ მოგახსენოთ.

არგ. არა, მაინც ვიცოდეთ, რა გენაღვლება!

სკაპ. ჯერ, ბატონო, ხუთასს, ან ექვსას ოქროს ფეხიც არ მოუცვალა.

არგ. ხუთას ოქროს? ხომ არ გადარეულა? ხუთასი ლახვარი იმას გვერდებში.

სკაპ. მეც მაგრე ვუთხარი! რას ამბობ, სულელი კი ნუ გგონია ის კაცი, რომ ხუთას-ექვსასი ოქრო რომ ასე ალაღათ მოგითვისალოს-თქო. ბევრი ვეჩიჩინე და ბოლოს, როგორც იქნა, დავითანხმე. რაღაცა ბედით სამსახურში წასვლა ეჩქარება, ფულები კი შემოკლებია და

მაშ რაღა გზა აქვს, არ. დამეთანხმოს. ცხენის ყიდვა უნდა და მისთვის სამოცი ოქრო ეკირვება.

არგ. სამოცი ოქრო? რა გაეწყობა! ჯანი გავარდეს, მიესცემ.

სკაპ. მაგას გარდა, ჩემო ბატონო, დამბაჩებიც არ ჰქონია და ოცი ოქროც მის საყიდლათ უნდა.

არგ. სამოცი და ოცი; ეს შეადგენს ოთხმოცს. ბევრი კია, მაგრამ რაღა გაეწყობა. მივცემ, როგორც იქნება.

სკაპ. ამას გარდაც კიდევ ერთი ცხენი ბიჭისათვის; ისიც უნდა ეღიროს ერთი ოცდა ათი ოქროს; ნაკლებ არ იშოვება, როგორც თვითონ ამბობს.

არგ. მეტის-მეტი მოუნდომებია. სულ ვერაფერსაც ვერ მიიღებს, თუ მაგრეა.

სკაპ. კარგია ერთი, თქვე დალოცვილო!

არგ. არაფერს არ შივცევი.

სკაპ. შე დალოცვილო, ქვეითად ხომ ვერ გაჰყვება მისი მოსამსახურე?

არგ. როგორც უნდათ, ისე წაეთრენ. ორივეს ჯანი გავარდეთ, მე რას დავეძებ!

სკაპ. ეეეჰ, დალოცვილო. ცოტა რამეზე დაიხუთე თქვენცა. ქეშმარიტათ, სულ რომ მისცეთ ისა სჯობს ადვოკატებთან საქმის დაქერას.

არგ. ეჰ, ჯანი გავარდეს; მიმიცია ოცდა ათი ოქროც, ოხრად მოახმაროს ჩემმა გამჩენმა.

სკაპ. რასაკვირველია მაგრე სჯობია. ერთი კიდევ

ახლა გამახსენდა, ის ასე მოგახსენებს, რომ ერთი საბრალო ჯორიც მექირვებო.

არგ. კიდევო? კისერიც მოუტეხიათ იმასაცა და მის ჯორსაც... ეხლავე მივალ, ისევ საჩივარს დავიწყებ.

სკაპ. კარგია, ღვთის გულისათვის.

არგ. ჩუმათ იყავი, ტყუილათ ნულა მირჩევ.

სკაპ. რა უნდა იყოს ერთი გლახა, უხეირო; მუნიანი ჯორი.

არგ. ერთ გროშსაც არ მივცემ, ერთი ფარა რომ უნდა, იმასაც.

სკაპ. არა, თვითონვე გასინჯეთ და...

არგ. არა, უნდა ვიჩივლო! უნდა! გესმის?

სკაპ. ნეტავი ერთი რას აპირობთ. რომ იცოდეთ, თქვე დალოცვილო. განა არ იცი, რამდენი ქაზბაკები და ხერხებია ჩვენს სასამართლოებში? თვითოეული იქ მოსამსახურე იმას ეცდება, რომ აგაფუცქენას რამე. თქვენ უნდა დაიქიროთ საქმე პრისტავებთან, მსაჯულთან, სეკრეტართან, პროკურორთან, ადვოკატებთან და მწერლებთან, ერთის სიტყვით ვინც კი იქ მსახურებს— ყველასთან. და ხომ იცით, რა შვილებიც არიან? ვინც გინდათ მთგანი თვითოეული ერთის გროშის გულისთვის მართლ-მსაჯულებს კისერს ზოატეხინებს, სულ ცხვირპირს ჩააღეწს. პრისტავი ყალბ უწყებას მისცემს და თქვენ გაგხვევენ საქმეში. პროკურორი ორი აბაჯისათვის თქვენვე გაგყიდისთ კარგა ლაშაზათ. თქვენი ადვოკატი, მოპასუხისაგან ზოყიდული, თქვენვე ყინვაზედ გაგაცურებსთ და დამნაშავეთ თქვენვე გამოგი-

ვანსთ; სეკრეტარი რამეს გიხიბანებს... მოწმეები გიმტყუნებენ და იტყვიან, ჩვენ არაფერი არ გვინახავსო და სხვ... ერთის სიტყვით, რომ კიდევ გადაურჩეთ ამაებს ყველას, სასწაულით, მაინც არც მაშინ დარჩებიან მოგებას: აგიტყდებათ მთელი საზოგადოება, ჰაი ასე, ჰაი ისეო და დაგიწყებენ სიცილს. არა, ბატონო! თავს უშეველეთ როგორმე, მოშორდით სასამართლოებს! სიახლოვესაც ნუ გაივლით! სასამართლოში საქმის დაწყებას, თავის სიცოცხლეში რომ გაქირვებული იაროს კაცმა, ჩემის აზრით, ისა სჯობს. მე რომ ესეები მომაგონდება ხოლმე, მინდა, რომ ცხრა მთას იქით გადავიკარგო, ან ინდოეთში სადმე ამოვყო თავი.

არგ. რამდენს თხოულობს, მაინც, ჯორის ფასათ?

სკაპ. ჯორისა, მოსამსახურის ცხენისა, უნაგირისა, დაძაბაჩებისა და ცოტაოდენიც კიდევ ვალებისათვის, რომელიც მის მასპინძელს უნდა გადაუხადოს, ერთის სიტყვით, სულ ყოველიფრისათვის ორას ოქროს თხოულობს, არც მეტსა და არც ნაკლებს...

არგ. ორას ოქროს?

სკაპ. დიახ, მეტს არა!...

არგ. არა, არაფრის გულისათვის არ მივსცემ. ისევ ვიჩივლებ.

სკაპ. კარგათ იფიქრეთ.

არგ. სწორეთ ვიჩივლებ.

სკაპ. შე დალოცვილო, გინდათ, ერთი ვაი-ვავლაწი აიტეხოთ...

არგ. უნდა ვიჩივლო!

სკაპ. კი, მაგრამ საჩივრისათვის ფული დაგკირდე-
ბათ; უწყებისათვის ფულიც უნდა გადინადოთ, ვეკი-
ლობისათვის—ფული, გადასაწერი—ფული, საქმის დასა-
ჩქარებლათ—ფული, ღერბის ქალაღღში—ფული და ყო-
ლიფერში ფული, ერთის სიტყვით, სულ ფული და
ფული! ახლა რასაც ადვოკატი წაგაღლეჯს, იმას აღარ
ანგარიშობთ? თქვენ როგორც გნებავღეთ, ბატონო,
მაგრამ ჩემი აზრით კი სჯობია, რომ იმ შეჩვენებულს
მისცეთ, რასაც თხოუღლობს და გაათავოთ.

არგ. როგორ! ორასი ოქრო? არასოღდეს!

სკაპ. რასა ბრძანებთ, უფრო მოგებას არ იქნებით?
ნე ეგეები სულ ნაანგარიშები მაქვს: ღმერთს გეფიცე-
ბით, ორასი ოქრო რომ გაღინადოთ, ორასს კიღვე მო-
გებას დარჩებით, თორემ თუ სუღის წესით დაიწყეთ
საქმე, ერთი ორათ უარესი დაგემართებათ. სხვა უსია-
მოვნებას გარდა ფულათ ორი იმღენი ხარჯი მოგოვათ.
ღამერწმუნეთ, რომ მორიგება აჯობებს. სამასი ოქროს
გაღახდა სჯობია იმ ადვოკატებთან, იმ ურიებთან, საქ-
მის დაქერას.

არგ. ფებებზეღ მკიღია სულ ყოღიფერი. ახლავ
ადვოკატს მოვქებნი და ჯინზეღა სირცხვიღს კია არა
ესქამ...

სკაპ. თქვენი ნება გახღღდესთ. მე თქვენს აღღიღ-
ზეღ სხვებ გავათავებღი მაგ საქმეს...

არგ. და მე კი არასოღდეს არ მიღსცემ ორას ოქ-
როს...

სკაპ. აი, ის ავაზაკი, ის გიფი, რომელზეღდაც წე-
ღან მოგახსენებღი.

სილ. ეგება მის მეგობართაგანი იყოს?!

სკაპ. რა ბრძანებაა, მეგობარი კი არა და მისი დაუძინებელი მტერია.

სილ. მტერი? ეგ სასიხარულოა ჩემთვის. მაშ თქვენ მტერი ბრძანდებით იმ ძაღლის, იმ ჯრგანტის, განა?

სკაპ. სწორეთ! სწორეთ! არ კი მოგახსენებთ.

სილ. (სედას აწიადებს ჯრგანტის) ხელი მიბოძეთ! პატიოსანს სიტყვას გაძლევთ და გეფიცებით ან ხმაღ-ზედ, რომელიც მუდამ ზედ მკილია, რომ მე თქვენ დღესვე გადაგარჩინთ იმ თქვენს მტერს. ფიქრი ნულა გექნებათ.

სკაპ. კი ბატონო, მაგრამ ჩვენში კანონი ნებას არ მოგცემს შაგვარი მოქმედებისას.

სილ. მე მაგას არ დავსდევ, არაფრის არ მეშინიან.

სკაპ. კი მაგრამ, ობოლი ხომ არ არის; იმასაც ჰყავს ნათესავეები, მეგობრები და ერთგული მოსამსახურეები!.. ვინ მიგიშვებს იქამდი!..

სილ. რაო? აქ მომგვარეთ ყველა! მობრძანდენ (აშაადებს სილას) დაჰკა! სადა ხართ თქვე თავს ლაფ-დასხმულებო? მობრძანდით ჯარათ, ერთათ სულ ყველა! ავაზაკებო თქვენა! ნახავთ თქვენ თვალის სეირს. როგორ ბედავთ ჩემ შებმას. მაშ დაჰკა, ნუ ზოგავ. (სინ შარჯენიყ იქიყუს სილას და სინ შარცხნიყ) გაჩერდით! სთქლიშე მაგრა!— კიდევ, კიდევ! მაგრე! ჩეხე სულ ლუქვა-ლუქვა. შებრალეების დრო აღარ არის! უკირე, მარჯენივ! მარცხნივ! მე თქვენ გასწავლით ომს, როგორც უნდა. მარჯვეთ ბიკებო! აბა! ჰო, შეშინდით,

წადით თქვე მხთლებო თქვენა? აგრე დაგემაართებოდათ, აგრე გიზამდით, არ იცოდით? მაშ რაჲა გეგონათ? ეინ გეგონეთ მე? დაჰკა კიდევ! სთხლიშე, ნუ ზოგავ! აქ! იქით! ბარაქალა! გამაგრდი! ასე ეიცი მე! მე გახლავარ ეს!.. გიფრინეთ წინ თუ არა! ჰა!..

სკაპ. რას ჩადიხართ თქვე დალოცვილო, ვერა ჰხედაეთ, რომ აქ ჩვენ მეტი არაეინ არის?!.

სილ. მე თქვენ გასწავლით ჰკუას, თქვე . ყურუსა-ლებო თქვენა. (შადის).

ბამოსვლა 10.

სკაპენი და არგანტი.

სკაპ. ახლა? ვერ ნახეთ ორასი ოქროს გულისათვის რამდენი კაცი დაჩეხა? რაც გენებოსთ ის ქენით!.. ღმერთმა ქნას, რომ მაგ ორას ოქროს გაემდიდრებოთ...

არგ. (აღშაის) სკაპენო! არ გესმის, სკაპენო.

სკაპ. რა ვნებავსთ?

არგ. თანახმა ვარ, რომ მივცე ორასი ოქრო.

სკაპ. ან ამდენს ხანს რას უყურებდით!

არგ. წადი მონახე ის შეჩვენებული, ახლავე მივსცემ იმ ფულებს. კარგი, რომ ფულებიც თანა მაქვს.

სკაპ. მაშ, მე მგონია, უკეთესი იქნება; რომ ფულებიც მე გამატანოთ, თორემ თქვენ რომ თითონ ნახოთ, არ ივარგებს. ერთი რომ წელან გადაუფიცეთ თქვენი ვინაობა და მეორეც ისა, რომ, თქვენ თუ დაგინახათ, შესაძლებელია, აღარ დაგჯერდესთ ორასს ოქროს და მეტი მოინდომოს.

არგ. ეგ კი მართალია, მაგრამ ჩემის ხელით რომ მიმიყცა, უფრო მიახებოდა.

სკაპ. როგორ, რე არ მენღობით თუ?

არგ. ნდობით კი გენობით, მაგრამ...

სკაპ. მაგრამ რაო! აჰ ორში ერთი უნდა იყოს, ან პატიოსანი და სანდო კაცი ვარ და ან არა. ეგება ის გეგონოსთ, რომ მე თქვენი მოტყუება მინდოდეს? ეგება ჰტიქრობდეთ, რომ თქვენი და ჟერონტის დამოყვრების წინააღმდეგ ვიყო როგორმე? თქვენც ექვი აიღეთ ჩემზედ? აჰას კი არ მოველოდი! ღმერთმა მშვიდობა მოგცესთ, რაც გენებოსთ, ისა ქენით, მე აღარ გავერვვი.

არგ. აჰა ფულები! წაიღე!

სკაპ. რათა ბატონო? რა ჩემი საქმეა? არ გირჩევთ, რომ მენდოთ. სხვა ვინმე მონახეთ.

არგ. კარგია ერთი, წაიღე და!

სკაპ. არა, არ წავიღებ, თქვენ არ უნდა მენდოთ! ვინ იცის, ეგება მე თქვენი მოყუება მინდა, რომ ფული ჩემთვის წავიღო.

არგ. წაიღე თუ ღმერთი გწამს, ოღონდ ის დავიდარაბა კაცი კი მომაშორე თავიდან.

სკაპ. ჯაფრი ნუ გაქვს. ყველაფერს გავაკეთებ, სულელი არც მე გახლავარ!

არგ. მე კი ჩემს გზას დავადგები, შინ წავალ ჩემთვის.

სკაპ. მეც ეხლავე იქ გახლავებით. (მხარტა) ერთი კი გავძმარე, ახლა მეორეს უნდა მივჰყო ხელი. აი ისიც

აგერ მოდის, რაღაც ეშმაკათ ერთი მეორეზე თვითონ-
ვე პირაქეთ ჩემთან მოდიან.

გამოსვლა 11.

სკაპენი და ჟერონტი.

სკაპ. (თათქა ვერ ჭხედაყდეს ვერანტს, გარბის და
გამოარბის გამწვანებული) ღმერთო! საბრალო ჟერონტი!
რა უნდა ჰქნას კაცმა?

ჟერ. მგონი ჩემს სახელს ახსენებს! ნეტავი რას
აუშფოთებია ასე?

სკაპ. არაფინ არის ქრისტიანი, რომ მასწავლოს
სად არის ჟერონტი?

ჟერ. რა ამბავია, სკაპენ, რა დაგმართნია?

სკაპ. (ვითამ ვერ ჭხედაყს და ჰრც ესმის, გარბის და
გამოარბის) სად უნდა ვნახო, რომ ეს მოულოდნელი
უბედური შემთხვევა ვაცნობო!

ჟერ. (დასდევს სკაპენს) რა ამბავია! არ იტყვი?

სკაპ. (დაბნის) ტყუილა ვეძებ აქეთ იქით, არსად
არა სჩანს.

ჟერ. კაცო, ვერა მხედავ, აგერ არა ვარ!

სკაპ. სად დაკარგულა, ღმერთო ჩემო, რა ქნას
კაცმა?

ჟერ. (ასყურეს) შე თვალ დამდგარო, ვერა მხედავ,
თუ რაფაა შენი საქმე.

სკაპ. ახ, ჩემო ხელმწივე-ბატონო! რამდენი ხა-
ნია გამწვარებული დაგეძებთ.

ჟერ. ერთი საათია, რაც დაგდევ და არა მეშველარა! რა მოხდა?

სკაპ. რა, ჩემო ბატონო და...

ჟერ. რა?

სკაპ. თქვენი ვაჟი...

ჟერ. რა დეემართა?

სკაპ. საშინელს ცუდსა და მოულოდნელს მდგომარეობაში ჩავარდა.

ჟერ. როგორ?

სკაპ. დიდი ხანი არ არის, რაც თქვენს ვაჟს შეეხვდი, რომელიც რაღაც თავის გუნებაზედ ვერ იყო, რადგანაც თქვენ მიგიყენებიათ რაღაც უსიამოვნება და რომ სევდა გულს გადაჰყოფდა, ნავთ-საყუდლისაკენ გავისერიანეთ. იქ ერთი ლამაზი და საუცხოვო გემი შევნიშნეთ. იმ გემის პატრონი ერთი ვიღაც ახალგაზდა და დარბაისლური შეხედულობის თათარი იყო: მიგვიწვია გემზე და ათასის ალერსისა და ზრდილობიანის მოქცევის შემდეგ გაგვიმასპინძლდა სხვა და სხვა საიასაღო ხილებითა და ღვინოებით.

ჟერ. მერე რა ვუყოთ, მად უსიამო არა არის რა!

სკაპ. მოითმინეთ ბატონო!.. გაიგონეთ, მერე რა მოხდა. ჩვენ გახურვებულს ლხინსა და შექცევაში ვერ შევნიშნეთ, როგორ გვი მოხსნეს და შიგ შეგვაცურვეს შუაგულ ზღვაში. მაშინ კი მე ნავზედ გადმომსვა იმ შეჩვენებულმა თათარმა და ასე დამაბარა თქვენთან, თუ ახლათ-ახლანვე ხუთასი ოქრო არ გამოგიგზავნიათ ჩემთვის, ამ თქვენს შვილს ალყირში ამოვაყოფინებ თავსაო.

ჟერ. რაო? დალახვროს ღმერთმა! ხუთასი ოქროვო?.

სკაპ. დიახ, შენი ქირიმე! და ორი საათის მეტი
-ბორჯათაც არ მომცა.

ჟერ. დაუკლავარ! დაუკლავარ იმ შეჩვენებულ
თათარს.

სკაპ. ახლა, შენი ქირიმე, თქვენ იცით, როგორ
მალე უშველით და გამოიხსნით იმ თქვენ სატრფო შვილს.

ჟერ. არა, რა ეშმაკათ მირბოდა გემზედ, რა უნ-
დოდა?

სკაპ. ჩვენ რა მოგვაუიქრებიებდა, რომ იმასთან
ხათაბალას გადავეკიდებოდით?!

ჟერ. გასწი, სკაპენო, მიდი და უთხარი იმ თა-
თარს, რომ ახლათ-ახლავე გიჩივლებ-თქო.

სკაპ. რასა ბრძანებთ, ზღვაში საჩივარი ვის გაუ-
გონია? აბა იფიქრეთ რასა, ბრძანებთ მაგას!

ჟერ. არა, რა ეშმაკათ მიდიოდა იმ გემზედ, რა
უნდოდა?

სკაპ. ეტყობა, რომ იმ ბედისა ყოფილა, შენი
ქირიმე.

ჟერ. გესმის, სკაპენო, ერთი საქმე უნდა მიყო და
დამავალო!

სკაპ. რა, შენი ქირიმე?

ჟერ. მიდი იმ თათართან, უთხარი, რომ ჩემი შვი-
ლი გამოუშვას და შენ კი იქ დარჩი სანამ მე ფულებს
მოვაგროვებდე.

სკაპ. ეჰ, შე დალოცვილო! ნეტავი მაგას რასა
ბრძანებთ! განა ისე სულელი გგონიათ ის თათარი.

რომ ჩემისთანა უბრალო კაცში გასცვლის თქვენს შვილს? ფასი არ იცის თუ? როგორ არა! აგრე უთხარით და დაგიშაბავსთ.

არგ. არა, რა ეშმაკათ მიდიოდა იმ გემზედ, რა უნდოდა!?

სკაბ. რა იცოდა, ბატონო, თუ ეს საქმე მოვიდოდა. კარგია, დაეჩქარეთ ბატონო თორემ იმ თათარმა მხოლოდ ორწ საათი მოგვეცა ბორჯათ.

ჟერ. როგორ ამბობ, რამდენს ითხოვს?

სკაბ. ხუთას ოქროს.

ჟერ. ხუთას ოქროს! არც ხატი სწამს, არც ჯვარი, იმ შეჩვენებულსა?

სკაბ. თქვენ გინდათ, რომ თათარს ჯვარი სწამდეს?

ჟერ. არა, ერთი მითხარით, იცის კი, ხუთასი ოქრო რას შეადგენს?

სკაბ. კი ბატონო, ას ორმოცდა ათი თუმანი, ასე მოგახსენებთ, შენი კირიმე.

ჟერ. მერე, ალა-ალათ საშოვნე ჰგონია იმ ყურუს-საღს ეგ ფულეები, კერაში ხომ არ ითხრება?

სკაბ. განა არ მოგეხსენებათ, ისინი იმისთანა კაცები არიან, რომ შეებრალება არ იციან ადამიანის!

ჟერ. არა, რა ეშმაკათ მიდიოდა იმ გემზედ, რა უნდოდა?

სკაბ. კარგი! კარგი! ნუ დაივიწყებთ, რომ მხოლოდ ორი საათი გვაქვს ბორჯი, დაეჩქარეთ.

ჟერ. დაიქი, ჰა ჩემი ყუთის გასაღები.

სკაბ. მერე. შენი კირიმე!

ჟერ. როცა იმას გააღებ...

სკაპ. კარგი.

ჟერ. მარცხნივ ნახავ დიდ კლიტეს, ჩემი დიდი ზანდუკის გასაღებს და ის ამოიღე.

სკაპ. მერე?

ჟერ. რაც იქ ჩემი ძველი ტანისამოსი იყოს, გაუიდე და მით გამოიყიდე ჩემი შვილი.

სკაპ. ხომ არ ჰბოდავთ, ბატონო! იმ ტანისამოსში ოც მანეთსაც არაფერ მოგცემს და მასთანაც რაღას დროში მოესწრობა, რომ კიდევ ღირდეს! განა აღარ გახსოვს, რომ დრო ცოტა-ლა გვრჩება?

ჟერ. არა, რა ეშმაკათ მიდიოდა იმ გემზედ, რა უნდოდა?

სკაპ. ნეტავი ტყვილა უბრალოთ დროს არ ჰკარგავდეთ! დაანებეთ თავი იმ შეჩვენებულ გემს და იმას ეცადეთ, რომ დრო არ დაჰკარგოთ და საუკუნოთ არ გამოეთხოვოთ თქვენ სასურველ შვილს. ახ, ჩემო საბრალო ბატონის შვილო. ვაი თუ ეს არის ამ წამში აღჟრისაკენ გაკვრევიეს თავი, ზღვაში მიგაცურებენ და მე კი აღწაოდეს აღარ მელირსება თქვენი ნახვა! ღმერთთა გულთა მხილავი, რომ ჩემ მხრით არაფერი ღონე დამიკლია და თუ ვერ გამოგიხსენით, ეს მამიშენის ბრალია, რომელსაც სულ არა ჰყვარებიხარ, თორემ ჩემი არა.

ჟერ. მოიცადე, სკაპენო. მე წაველ და ვიშოვნისადმე იმ ფულებს.

სკაპ. აბა, დაეჩქარეთ, ბატონო, თორემ ვაი თუ დაგვიგვიანდეს.

ჟერ. რამდენს ამბობ შენ, ოთხას ოქროს?

სკაპ. არა, ხუთასს მოგახსენებთ.

ჟერ. ხუთასს?

სკაპ. ღიახ, შენი კირიმე!

ჟერ. არა, რა ეშმაკი მიაჩნებინებდა იმ გემზედ, რა უნდოდა..

სკაპ. მართალი ბრძანებაა, მართალი, მაგრამ დროს რაღათ ჰკარგავთ.

ჟერ. არა, რა ეშმაკათ მიდიოდა იმ გემზედ, სხვა ადგილი ველარსად ამოიჩინა სასეირნოთ?

სკაპ. მართალს ბრძანებთ მაგას, აბა მალე, რაღას უცდით.

ჟერ. ახ, ის შეჩვენებული გემი!

სკაპ. იმე! არ ჩააკვდა ამ გემს!

ჟერ. ყური მიგდე, სკაპენო, ახლა განახსენდა, ეს ეს არი ახლა მივიღე სწორეთ მაგდენი ოქრო, მაგრამ იმას კი არ მოველოდი, თუ ასე მალე გამიქრებოდნენ ზღლიდან (ამოიღებს ქისას და გაუშუქებს სკანქნს) ჰაა, წაიღე და გამოიყიდე ჩემი შვილი.

სკაპ. (უნდა ჩამოართვას) ბატონი ბრძანდებით!

ჟერ. (კიდევ აძღვეს ქისას, ატყ აძღვეს) უთხარი იმ თათარს, რომ ის ღვთის რისხვა რამ ყოფილა.

სკაპ. (სედს აწყდენს) ბატონი ბრძანდებით!

ჟერ. (აძღვეს ქისას) ავაზაკი რამ ყოფილა.

სკაპ. ღიახ.

ჟერ. (კითხვით უნდა მისცეს) უსინიდისო, მტარცველი!

სკაპ. მაგრე ვეტყვი! აღარაფერს აღარ დაუფარავ!

ჟერ. ყოვლის უსაფუძვლოთ მართმევს. ამ ხუთას ოქროს.

სკაპ. ცხადია, ცხადი.

ჟერ. ასეთიც დამართოდეს, რომ გულზედ დადგომოდეს ეს ფულები! შიგ ყელში გახირობოდეს!

სკაპ. ძალიან კარგი იქნება.

ჟერ. და თუ ღმერთი შემეწია და ჩავიგდე როდისმე ხელში, ვაყურებიებ მის სვირს. იმას კი გაურიგებ საქმეს.

სკაპ. თქვენ კარგათ ბრძანდებოდეთ, მაგას ყოლიფერს თვითო კაკლათ გადავსცემ...

ჟერ. (ქისას ჯიბეში იღებს) გასწი! გასწი და მალე გამორჩიდე ჩემი შვილი!

სკაპ. (შისდევს ქურონტს) ჰერიპა, ბატონო!

ჟერ. რაღა გინდა კიდევ?

სკაპ. ფულები რა უყავით?

ჟერ. განა არ მომიცია?

სკაპ. არც კი გიფიქრიათ. ისევ ჯიბეში ჩადევით.

ჟერ. გულის ყური დამეკარგა...

სკაპ. ასე ჰგავს.

ჟერ. არა, რა ეშმაკი უნდოდა იმ გემზედ. რა მიაბრენინებდა? ის დასაწვავი და დასალუპავი გემი! ის შეჩვენებული სათარი!... ჯანაბას მისი თავი და ტანი!...

სკაპ. (შინტო) ძალიან არ გაამწარა, შეაფუცხუნა ამ ხუთასმა ოქრომ?! ძლივს არ გამოვტყუე? ასე სოგინდება, შე ბერო კაცო შენა, ეს რა არის! კიდეე უარესს გინამ;--დამასპინე შენ შვილს, მაგრამ თუ კაცი ვყოფილვარ, ის მე შენ გადაგლი!

ოქტავი, ლეანდრო და სკაპენი.

ოქტ. რა ქენი, სკაპენო? გაარიგე რამე?

ლეან. მეც ხომ გამირიგე საქმე?

სკაპ. (აქტაყს) აი ორასი ოქრო, მამა-თქვენს დაეს-

ტყუვე.

ოქტ. ოხ, ღმერთმა გიშველოს, ჩემო სკაპენო!

სკაპ. (ლესანდროს) თქვენთვის კი ვერა გავარიგე-რა!

ლეან. (აზარტესს წასუჯას) მაშ მომკვლადრვარ და ის ყოფილა. შე ზერბინეტის ჯავრს ველარ გადაუჩები.

სკაპ. სად მიღიხარ? სად? მოითმინეთ! დახეთ, რა გულ-ცმუტია!

ლეან. რალა გინდა?

სკაპ. გული დაიმშვიდეთ; თქვენი საქმეც გავაჩირაღდნე.

ლეან. ახ, ხელ-ახლად ვიცოცხლებ, ჩემო კარგო სკაპენო!

სკაპ. მხოლოდ იმ პირობით გიკეთებთ ამ საქმეს, რომ ცოტათი მამი-თქვენის ჯავრი ამომაყრევინოთ ცილის მოგონებისათვის.

ლეან. რაც გინდა ჰქენი, თანახმა ვარ.

სკაპ. მოწმებთან.

ლეან. დიახ.

სკაპ. მაშ კარგი, მიირთვი ეს თქვენი ხუთასი ოქრო.

ლეან. მე მივაშურებ და ახლავე გამოვიხსნი იმ ჩემს ძვირფას ტყვეს.

მოქმედება შესაძე.

გამოსვლა 1.

ზერბინეტა, გიაცინტა, სკაპენი და სილიბისტრო,

სილ. თქვენს საყვარლებს ჰსურსთ, რომ თქვენ ერთად დაუხვდეთ და მე მისთვის გიახელით, რომ შეგატყობინოთ...

გიაც. (ზერბინეტას) იმედი მაქვს, რომ ორივე სიამოვნებით ავასრულებთ მაგ სურვილს. მე ძალიან მოხარული ვარ, რომ ამისთანა მეგობარი შევიძინე და იმედია, რომ ჩვენი საყვარლების ერთმანერთთან მეგობრობა, ჩვენ ერთმანერთთან მეგობრულად დაგვაკავშირებს.

ზერ. ჩემის მხრით მე ყოველთვის მზათა ვარ ვიკისრო მეგობრობა, თუ კი პირაქეთაც მთხოვენ.

სკაპ. სიყვარულს?

ზერ. მაგისი კი რა მოგაასენო! მაგაში კი ცოტა ვერ გახლავარ გამბედავი.

სკაპ. მე მგონია, რომ ჩემი ბატონიშვილის შესახებ კი სხვა ანგარიში უნდა იყოს. რაც იმან თქვენთვის საქმეები ჩაიდინა, მე მგონია, საკმაო იყოს, რომ თავი შეგყვაროს.

ზერ. რა მოგახსენო! მაგაში კიდევ ვერა ვხვდავ სიყვარულს და მსახურების სურვილს. მე ისეთი ხალისიანი ხასიათისა ვარ, რომ ხან და ხან დაცინება მიყვარს ზოგიერთს რავეებზედ, და შენი ბატონი დიდრ

შემცდარია, თუ იმას ჰფიქრობს, რომ ერთი მხოლოდ ჩემი გამოყიდვა საკმაო იყოს მის შესაყვარებლათ. არა. სინამ არ შემირთავს, იცოდეს ვერ დაბისაკუთრებს, რომ უნდა ისე.

სკაპ. მაგას რაღა თქმა უნდა... განა მაგაში ექვი გაქვსთ? რა ბრძანებაა! თქვენს ბედნიერებასა და პატივზედ თქვენზედ უფროჯის ჰფიქრობს.— დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ მაგ საქმეებში მეც არ გავწევროდი, თუ ჩემს ბატონის შვილს სულ სხვა ანგარიშები არა ჰქონდეს.

ზერ. მჯერა თქვენი სიტყვა, მაგრამ, მეშინია, ვაი თუ მამამ შეგვიშალოს ხელი.

სკაპ. ფიქრი ნუ გაქვსთ! ისე მოვახერხებთ, რომ უკეთესი აღარ უნდოდეს..

გიაც. (ჟესტიანულად) ჩვენის ბედის ერთნაირობაჲ კიდევ უფრო უნდა გაამტკიცოს ჩვენის მეგობრობის კავშირი: ჩვენ ორივეს ერთი და იმავე საქმის გვეშინიან.

ზერ. თქვენი საქმე სულ სხვა არის: თქვენ ის უპირატესობა გაქვსთ ჩემზედა, რომ იცით თქვენი გვარი-შვილობა, შეგიძლიანთ მშობლები მოწახოთ, და რაღაი ისინიც ხელს შეგიწყობენ, აღვიღათ თავი გაიზარათ და საქმე გაირიგათ. მე კი შემწეობას არსაიღან ველი. დარწმუნდით, რომ იმ კაცის სურვილი, რომელიც მხოლოდ ფულეებში ჰხედავს კეთილ-დღეობას, საუკუნოთ ბოლოს მოუღებს ჩემს ბედის-წერას.

გიაც. მაგიერათ, თქვენ შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ თქვენის საყვარლის თანაგრძნობაზედ, და მე

იმედი არა მაქვს ჩემი ოქტავის: არა მგონია, რომ მის-
მა სიყვარულმა დიდი ხანი გასტანოს.

ზერ. მისგან გულის აცურების ნუ გეშინია. თქვენ
შეგიძლიათ, რომ თავი შეაყვაროთ და საუკუნოთაც
დაჯაქვოთ. ამ შემთხვევაში ყველას უარესი ის არის,
რომ მშობლები ხელს უშლიან.

გიაც. ოხ, რატომ ყოველთვის გამარჯვებული არ
არის ტრფიალი გული! სასიამოვნო მაშინ არის სიყვა-
რული, თუ ხელს არაფერს გიშლის.

ზერ. შემცდარი ბრძანდებით მაგაში. უუშფოთვე-
ლი სიყვარული არც კი ვარგა. გაუსხლეტელი ბედნიე-
რება კაცს თავს აბეზრებს. ორივე უნდა გამოსცადოს
კაცმა—ტკბილიცა და მწარეც. ცოტაოდენი ნალველი
გულს ხან და ხან არა სწყენს, რომ ბოლოს უფრო
იამოს სიტკბო.

ზერ. აბა, ჩემო სკაპენო, ერთი მომიყევი, როგორ
გამოალაღე ფულები იმ შენ ძუნწ ბებრუხანას? მაგითი
ძალიან მასიამოვნებ.

სკაპ. მაგას, შენი კირიმე, სილიბისტრო მოგახ-
სენებსთ, მე კი არა მცალიან! ცოტა ჯინი უნდა ამო-
ვიყარო ერთი ვისმესი, ჩემდა სასიამოვნოდ გული ვი-
ჯერო.

სილ. ეჰ, თავი დაანებე. მაგაზედ ნულარას ფიქ-
რობთ. არა, თვითონ შენ იფიქრე რა საკიროა?

სკაპ. ისე ტყვილა. მე ძალიან მიყვარს მაგნაიზი
გაბედული ოინები.

სილ. დამიჯერე, თავი დაანებე.

სკაპ. გეუბნები, არ დავანებებ თქო.

სილ. აბა იფიქრე, რა ეშმაკი უნდა...

სკაპ. თვითონ შენ რა ეშმაკათ ჩამცივებიხარ? რა შენი საქმეა, რომ ერევი?

სილ. იცოდე მოგხვდება.

სკაპ. ჩემმა ზურგმა ინაღვლოს, შენ რა გენაღვლება.

სილ. კისერიც მოგიტეხია... რა მენაღვლება! რაც გინდა, ისა ჰქენი!

სკაპ. მაგისტანა ცოტა რამე ვერ შემაჩერებს. მე ძალიან მეჯავრებიან ის ლობიო კაცები, შიშით რომ ვერაფერ საქმეში ვერ ერევიან ხოლმე.

ზერ. მაშ ჩვენ თქვენი შემწეობის იმედი გვექნება.

სკაპ. მიბძანდით! მეც ეხლავ გიახლებით. ფრთხილათ კი იყავით! არავისთან რამე წაგცდესთ, თორემ თუ შემიტყვეს ჩემი ხრიკები, სასიამოვნოთ ველარ დაძირება საქმე.

გამოსვლა 2.

ჟერონტი და სკაპენი.

ჟერ. აბა სკაპენო, როგორ არის ჩემი შვილის საქმე?

სკაპ. თქვენმა შვილმა თავს უშველა, მაგრამ თქვენი საქმე კი ცუდათ არის. ასეთი საქმე დაგეჰართებათ, რომ მეტი აღარ შეიძლება. უნდა გამოგიტყდეთ, ახლა

რომ შინ ბრძანდებოდეთ, ათასჯერ უფრო დამშვიდებული მექნებოდა გული.

ჟერ. რა მემართება?

სკაპ. ახლა, სწორეთ ამ წამში აჰ, გამწარებული გეძებენ აქეთ-იქით მოსაკლავათ...

ჟერ. მე?

სკაპ. დიახ.

ჟერ. ვინ დამეძებს?

სკაპ. ოქტავმა რომ შეირთო, ამ ქალის ძმა. მისი დის კორწინების მოშლის მიზეზი იმას ის ჰგონია, რომ თქვენ გინდათ მის შვილს თქვენი ქალი შერთოთ და გამწარებულს უნდა, რომ თავის გულის ჯავრი თქვენზედ ამოიყაროს! ..ამ ჩემს გაუპატიურებას არ შევარჩენ, მაინც და მაინც უნდა მოვჰკლაო,“ იძახის თქვენზედ... მეგობრებიც თავისავით რეტყიანი ჰყოლია; მისი არ იყოფს, ისინიც აქეთ იქით დაგეძებენ; მე თვითონ ჩემის თვალითა ვნახე სალდათები, გამვლელ-გამომვლელებს თქვენზედა ჰკითხავდნენ და ახლა ირგვლივ შემოერთყენ თქვენ სახლს, ასე რომ საძრავი ღონე აღარა გაქვსთ. ტყვილა ნუ გაქანდებით, თორემ გიგდებენ. ხელში.

ჟერ. ახა ღმერთო! ახა ღმერთო! რა უნდა ვქნა? რალა მეშველება?

სკაპ. მეც ვერა მომიფიქრებია-რა, შენი ჭი-იმე! ეს მართალი საქმეა, რომ მეც თავიდან ფეხებამდე ვიწვი შიშით, სულ მაკანკალებს. მოითმინეთ.. (განჯერებს და ვიოთამ ვიღაც კიდეც დაინახა შიშის).

ჟერ. ვაი!

სკავ. არა, არა! არავინ არის, ნუ გეშინიან!

ჟერ. ვერაფერს შოიგონებ, რომ მიშეწლო?

სკავ. შეიძლება, რომ მოახერხოს კაცმა, მაგრამ ვაი თუ მისი გულისათვის ძალღივით გამგულონ!

ჟერ. ახ, ჩემო სკაპენო! დამიმტკიცე ერთგულება, ღვთის გულისათვის ნუ მიმატოვებ.

სკავ. ნეტავი რას მიბრძანებთ, შენი კირიმე! ისე მებრალეებით, რომ აღარ შემიძლია, თქვენს მტერს ხელგულ-დაკრეფილი შევჩერებოდე.

ჟერ. აბა თუ ღმერთი გწამს, და მერე მე ვიცი შენი პატივის ცემა; ცოტა როგორც კი დაძველდება, ამ ტანისაშოსს მაშინვე შენ გაჩუქებ.

სკავ. მოითმინეთ. ერთი რამ მოვიგონე... ამ ტომარაში უნდა ჩაძვრეთ.

ჟერ. ვაიმე! (უიღაცას შენიშნავს)

სკავ. არაფერია, ნუ გეშინიანთ! მე მოგახსენებთ, რომ ამ ტომარაში ჩაწეკით და გაუნძრევლათ განაბეთ სული: მე ზურგზედ მოგიკიდებთ, ვითამ ტვირთი ხარ რამე და ისე მიგიყვანთ სახლში, რომ შიგ შუაგულ მტრებში გავივლი. მერე იქიდან თვითონ ჩვენვე გამოუსიოთ იმათ დაიარაღებული კაცები! ხომ მიხვდით?

ჟერ. რა გგონია? ეგ ძალიან კარგი იქნება?

სკავ. უკეთესი აღარ შეიძლება; თვითონ ნახავთ! (თავისაშოსს) დამაცადე, შე დაწყევლილო ბებერო და შენ გაყურებიებ შენ სეირს.

ჟერ. რას ამბობ?

სკავ. მე მოგახსენებთ, რომ სულ ერთიანათ ხელ-

ში ვივლებთ იმ ჩვენ მტრებსათჳს. აბა ჩაძვერით და იცოდეთ კი, რომ იქიდან თავი არ ამოყოთ, არც გეინძრეთ რაც უნდა დაგემართოს, თორემ...

ჟერ. ფიქრი ნუ გაქვს. ჩემს კისერზედ იყოს.

სკაპ. დაიმაღეთ კარგათ. აი, აგერ მოდის ერთი ავაზაკი (სმის იცვჯის). ეს რასა ჰგავს! ნუ თუ ვერ მოგკლა ჟერონტი? ვინ გაბედავს, რომ დამიმალოს და არ მიჩვენოს მისი თავი? მიწა რომ გახვრიტოს და ქვესკნელში ჩაძვრეს, იქიდანაც კი ამოვიყვან ყურის „წიაქწიაქით“. (ჟერონტს თავის ხმით) თავი არ ამოყოთ. (სმის იცვჯის) „ეს ვინა სდგას იქ ტომარა მოკიდებული?“ რა გნებავნთ—ჩემო ბატონო? „ერთ ოქროს გაჩუქებ, თუ მასწავლი, სად შემიძლიან, რომ ჟერონტი ვნახო?“ თქვენ ჯერონტს ეძებთ? „ღიახ იმ ღვთის, რისხვას!“ მერე რა გნებავსთ? „რათა მნებავს?“ ღიახ, ნება მიბოძეთ გკითხოთ? „მინდა რომ ამ ჯოხით დავბეგვო“. თუ უკაცრავათ არ ვიქნები, მოგახსენებ, რომ ჟერონტი მაგრე ალა-ალა გასალახავი კაცი არ გახლავსთ. „ვინა? ის საძაგელი? ის პირუტყვი ჟერონტი?“ ღიახ, უ. ჟერონტი არც პირუტყვი გახლავსთ და არც საძაგელი და გირჩევთ, რომ ცოტა ზდილობით ილაპარაკოთ იმაზედ! „როგორ ჰბედავ მის გამოსარჩლებას შე საძაგელო შენა!“ მე ვესარჩლები, როგორც კეთილსა და პატიოსანს კაცს. „მაშ შენ, ვეტყობა, მისი მეგობართაგანი ხარ?“ ღიახ, მეგობართაგანი გახლავარ. „კარგი დაგემართოს! სწორეთ მისი მეგობარი ხარ!“ გეუბნებით, რომ ვარ-თქო! „მაშ თუ მაგრეა, მომიცადე, შენ სვირს

გივენებ: ეს შენ, შე ძაღლო შენ! ესეც კიდევ შენ!
(უბრალოდ ქუჩის ტომარას) (ისე ჭეუიბის თიანთ იმას უბრალოდ)
ვაი! ვაი! ბატონო შენი კირიმე! მაპატივეთ!
ვაიმე! მაიმე! მოვეკდი ჩემო ხელმწიფე!.. ვაი, მოვეკდი,
დედა ჩემო! ჰოიმე! (სსვისი სისით) „ახლა კარგი,
ეს ასე გადაეცი ჩემ მაგიერ შენს ერონტის. მშვიდობით“
(თავს უწავს) ოპ! ოპ! მომკლა იმ ღვთის პირისაგან წყეულმა!

ჟერ. (ამოყავს თავს ტომარადან) ოხ, სკაპენო, მეტი აღარ შეიძლიან.

სკაპ. (ავაშუქავს სისით) ოპ, ბატონო! დამამახინჯეს! რა საშინლათ მეწვის ზურგის კანი, რომ იცოდეთ! გვერდები დამალეწვის... ოპ...

ჟერ. როგორ!.. სულ მე არ მირტყამდა?

სკაპ. არა, შენი კირიმე. მხოლოდ ჩემ ზურგზედ ტაფა-რიკაობდა.

ჟერ. რას აშობ კაცო! განა მე ვერა ვგრძობდი? ახლაც მთლათ ერთათ გვერდები მიხურს.

სკაპ. არა მეთქი, მოგახსენებ!.. შეიძლება, ჯოხის წვერი მოგხვდათ სადმე, თორემ თვითონ ჯოხს კი ჩემს ზურგზედ გაჭკონდა ბრაგა-ბრუგი.

ჟერ. მაშ ისე უნდა გამდგარიყავი განზედ, რომ ჩემამდი არ მოეწია ჯოხს.

სკაპ. (ისევე ჩასვამს უწონტის ტომარაში) ფრთხილათ იყავი. აი კიდევ ვილაც საეჭვო კაცი მოდის აგერ. (კამოცვლის სმას) დალახვროს ღმერთმა! მთელი დღეა დავრბივარ გაბრაზებულივით და ვერსად ვერ შევხვდი

იმ ეშმაკის გავარდნილ ჟერონტს! (აჲჲის სმით ჟჳრონტს) დაიმაღეთ! კარგი! (სსჳისი სმით) ეი! შენ, ძმობილო! ერთი მითხარი, ჟერონტი ხომ არსად გინახავს? არა, შენი კირიმე, არ მინახავს!.. „მართალი მითხარი! საკიროა ჩემთვის! მინდა, რომ ერთი კარგა ლამაზათ შევახურეო ამ ჯოხითა და სამიოდე ეს ხმალიც უშიშვლო გვერდებში.“ თქვენი რისხვა არა მქონდეს, არ ვიცოდე სად იყოს. „მაგ შენ ტომარაში რა ინძრევა ეგა?“ არაფერ შერი კირიმე! რა უნდა ინძრეოდეს?... „ვილაცა გყავს დამალული!“ სრულიადაც არა! „მე მინდა, რომ ხმალი შემოვჭკრა მაგ ტომარას.“ (აჲჲის სმით) რას ხვანხვალობ, რომ ხვანხვალობ, შე დალოცვილო!.. (სსჳისი სმით) „მაჩვენე, რა არის მანდ!“ ვერ გიჩვენებთ! „რაო, ვერ მაჩვენებ?“ იქ თქვენი სანახავი არა არის რა.. „მე მსურს!“ მე მაინც ვერ გიჩვენებთ. „ვის უბედავ მაგას, შე წუწკის შეილო?...“ აქ, შენი კირიმე, ჩემი საგძალია, სხვა რა უნდა გახლდესთ! „მიჩვენე მეთქი!“ არ გიჩვენებთ, რას ჩამცივებიხართ! „მე შენ ერთს კარგათ შეგზელ და...“ მე მაგისტანა ფახი-ფუხების არ მეშინია. „თუ არ მიჩვენებ და ესეც შენ.“ (ურტყაშის ცამაზას) მოვკვდი. მოვკვდი ვაიმე! ვაიმე, ვაიმე, ვაიმე! ბატონო, შენი კირიმე მაპატივეთ!.. ვაი! ოიპ! „ჰეე, აცა, აცა, გიამა? მაგრე გინდოდა შენ, აწ მშვიდობით, მეორეთ კკუა ისწავლე....“

ჟერ. (აჲჲის აშაყოფის) ოიპ! ოიპ!.. ნეტავი რათ აჯავრებდი ისეგანა ტკბილათ და თავ-მდაბლათ ვერ შეეხვეწებოდი? შენ სულ გადარიე!... ოიპ! ვკვდები, დედა-ჩემო!.. ოიპ...

სკაპ. ოჰ, მე კიდევაც გავთავდი და...

ჟერ. დალახვროს ღმერთმა, მაინც რომ არ აცილ-
და ამ ჩემს ზურგს!

სკაპ. (მადანს ტომარასში) ფრთხილათ იყავით! აგერ
მოდის ერთი ჯარი სალდათებით (სისვა და სხვა სმუხით)
ჰეი! ჩქარა, ერონტი მონახეთ, დაძებნეთ ყველ-
გან, არაფერი დაგრჩესთ დაუჩხრეკელი, იქით, აქეთ
ზიიხედ-მოიხედეთ. ახლა სად წავიდეთ, მარჯვნივ? არა
მარცხნივ წავიდეთ, ის აჯობებს. ჰეი! აქეთ, აქეთ! არა,
ისევ 'იქით!.. კაცო, აქ მოდით, აი აგერ არის მისი
მოსამსახურე: ეი, შენ, ავაზაკო, სად არის შენი ბა-
ტონი? აბა გვითხარი მალე!— ახ, თუ ღმერთი გწამს
თავი დამანებეთ! რა გინდათ ჩემგან! „გვითხარ სად
არის შენი ბატონი! მალე!“ ეჰ, თავი დამანებეთქო,
გუებნებით... (ეურონტის ამოუყვავთ თავი და გაშტერებით
შიხერუბის სკანჯენს) „თუ ახლავე არ გვიჩვენე, ახლავე
წიკვდილზედ მიგაყენებ!“ რაც გინდათ ის მიყავით!..
სიკვდილს ვირჩევ და ჩემს ბატონს არ ვუღალატებ...
მაშ კარგი და ესეც შენ. (მოუკნევს ჯიხს ტომარას და
რომ შეხედავს ეურონტს, გაიქცევა) ვააიზე!....

ჟერ. შე შეჩვენებულო, შე ავაზაკო, შე ცულ-
ლუტო, შე კაცის მკვლელო, ეს რა მიყავ?!..

გამოსვლა 3.

ზერბინეტა და ერონტი.

ზერ. (ეურონტის ყერ სედაყს და იცინის) ხა! ხა! ხა!
ხა! სერიო თუ გინდა, სწორეთ ეს არის!

ჟერ. (ჟერ სედავს სეზბანეტას და სეაპენს მიჭევირის) მოიკადე, მოგაგონებ. სულ ურმით გდევ შე შეჩვენებულო, შე დეთის რისხეაე, შენ...

ზერ. (ჟერ სედავს ჟერონტის) ხა! ხა! ხა! სწორეთ სასაცილო ამბავია! ხა! ხა! რა სულელი ყოფილა ის ბერიკაცი. ღმერთო ჩემო! ხა! ხა! ხაჰ...

ჟერ. მე მგონია, რომ აქ სასაცილო არა იყოს რა!

ზერ. რასა ბრძანებთ?

ჟერ. მე მგონია, რიგი არ იყოს, რომ დამცინით!..

ზერ. თქვენ დაგცინით?

ჟერ. დიახ, მე...

ზერ. რა ბრძანებაა, გულშიდაც არ გამივლებია! თქვენ ვინ გეცინისთ..

ჟერ. პირველი თქვენ. შიგ ცხვირ-პირში მაყრით სიცილს.

ზერ. თქვენზედ მე სრულიადაც არ ვიცი. ეს-ეს არის ერთი სასაცილო ამბავი მითხრეს და ის მაცინებს. ის ამბავი მეც მუხება ცოტა, მაგრამ მაინც იმაზედ უფრო სასაცილო საქმე ძნელათ მოხერხდება, რომელიც ახლა ერთმა ყმაწვილმა კაცმა მამა მისს უყო, ფული რომ დაეტყუებია. ძნელათ მოხერხდება!

ჟერ. ფული რომ დაეტყუებია მამისათვის?

ზერ. თუ გნებავსთ, მოგიყვებით. მე რასაც კი გავიგონებ, ძალიან მიყვარს, რომ სხვებთანაც ვიტყვინო ხოლმე.

ჟერ. ჰმ! ჰმ! აბა ერთი გვიბრძანეთ, რა არის?

ზერ. მე მგონია, არავის საწნებელი იქნეს, რომ

მოგიყვით! აი რაშიდ არის საქმე! ჯერ უნდა მოგახსენოთ, რომ ეგვიპტელები რომ არიან, ბოშა დედაკაცები, ათასის ღლეტა-ცვეთით რომ ირჩენენ თავს და აქაიქ დაწანწალობენ, რალაც უცნაურათ, ბედმა ჩემი თავი იმათ ჩაუგდო ხელში. აქ, ქალაქში რომ მოვედით, ერთმა ყმაწვილმა კაცმა მომკრა თვალი და მოვეწონე!.. დამიწყო არშიყობა. რალაც იმედი ჰქონდა, მაგრამ არა გამოუვიდა რა!.. წაუხდა ხრიკები... საქმე კიდევ იმან უფრო გაუძნელა, რომ მე თვითონ სხვის ხელში ვიყავი. ჩემდა თავათ ნება არაფრისა მქონდა. ბოლოს ეგვიპტელებმა, რომ შეატყვეს, იხრუკებაო, სახსარი სთხოვეს ჩემში და ფასიც გადაუქრეს. ჩვენდა საუბედუროდ იმას ფული არა ჰქონდა და მამა კი ძალიან ძუნწი ჰყავდა. დალახვროს ღმერთმა, არ იქნა ვარ მოვიგონე მისი სახელი... მოიცადეთ,-- თქვენ ვერ დაასახელებთ იმ კაცს, რომელიც აქ სუყველას საშინელ საარაკო ძუნწათ მიაჩნიათ?

ჟერ. ვერა.

ზერ. მისი სახელი... რონტი... ო.. ორონტი... არა! ჟერონტი. დიახ სწორეთ ასეა, ჟერონტი ჰქვიან. რას მოგახსენებდით? ჰო, დღეს ეგვიპტელები სხვაგან მიემგზავრებოდნენ და რომ მე საუკუნოდ არ დავჰკარგოდი ჩემ საყვარელს, თავისი მსახური მოიხმარა! იმის მსახურს მეც კარგად ვიცნობ, სკაპენი ჰქვიან! დაუფასებელი კაცი რამეა! ყოველი ქების ღირსია.

ჟერ. (თაფისთფის) ჰაი შე საძაგელო, შენა!..

ზერ. ახლა წარმოიდგინეთ, იმ მსახურმა რა ნაი-

რათ გააკურვა ყინვაზედ ის სულელი ბერიკაცი. ხა! ხა!
ხა! როცა გამახსენდება ხოლმე, არ შემიძლიან, რომ
სიცილი მოვიკაფო. იმან მონახა ის კრიჟანგი ბებერი
ძალდი და უთხრა, რომ მე და შენი შვილი ნავთ-საყუ-
დელში ვსეირნობდით, ერთმა დარბაისელმა თათარმა
თავის გემზედ მიგვიპატიჟა, გაგვიმასპინძლდა და ამა-
სობაში შიგ შუაგულ ზღვაში მიგვაცემია თავიო. ბო-
ლოს მე გადმომსვა ნავზედ, უკანვე გამომისტუმრა და
ისე დამაბარა ჩემ ბატონთანო, რომ თუ ხუთასი ოქრო
ახლათ-ახლავე არ გამოგიგზავნია ჩემთვის 'შენის შვი-
ლის სახსრათ, გამოეთხოვე, — ალჟირში ამოვაცოფინებ
თავსაო. ვერ წარმოიდგენთ, თუ რა მოუვიდა იმ ბერი-
კაცს: ერთის მხრით შვილის სიყვარული ჰკლავდა და
მეორეთი სიძუნწე. იმ ხუთასი ოქროს გადახდას ხუთას-
ჯერ რომ ეკრათ გვერდებში ხანჯლის წვერი, ის ერჩია.
არ იცოდა, რა უნდა ექნა; ისე იტანჯებოდა, რომ
ათას რამეებს იგონებდა შვილის გამოსახსნელათ; ფუ-
ლის მიცემას ვერ ჰბედავდა, ვერ ელყოდა. ხა! ხა! ხა!..
ხან ვითომც საჩივარს უპირობდა ზღვაში მცურავ გემს!
ჰა! ხა! ხა!.. სულ მოსამსახურეს ეხვეწებოდა, სანამ
ფულებს მოვაგროვებდეთ, ჩემის შვილის მაგიერ შენ
დარჩი გემზედ ამანათადო; ვითომ ატყუებდა რაღა. ხა!
ხა! ხა! ხა! ხან ეხვეწებოდა, რომ ხუთას ოქროთ ჩემი
ძონძები გაჰყიდეთ! ხა! ხა! ხა! თვითონ ბიჭიც ძლივს
იჭერდა 'სიცილს ლაპარაკის დროს. — საბრალო ძუნწი
თურმე წამდა-უწუმ იძახოდა ცრემლის ღვრით: „არა,
რა ეშვავი უნდოდა იმ გემზედ! რა მიაბენინებდა! აჰ

ის შეჩვენებული თათარი და სხ!..“ ბოლოს, ბევრის ცრემლებსა და ვაი ვაგლახის შემდეგ... მაგრამ რა გე-
მართებათ? თქვენ მგონია ეს ამბავი არაფრათ გეპრიანე-
ბათ: განა სასაცილო არ არის თქვენთვის ეს ამბავი?..

ჟერ. მე მგონია, რომ ის უმაწვილი კაცი ხასიათ
გაფუჭებული და საძაგელია, და მამა-მისიცი, რომ ეკად-
რება ისე დასჯის. იმ შეჩვენებულ ეგვიპტელ ქალს
აყურებიებს, როგორ უნდა ოჯახის შვილებს.. გარყვნა!
და შენ ველარ დამიძვრები ხელიდამ, შე ღვთის რისხვავ
სკაპენო!. დღესვე თხსავით ჩამოგკიდებ, ავაზაკო. (შიდის).

ბამოსვლა 4.

ზერბინეტა და სილიბისტრო.

სილ. სად დაიკარგეთ? იცით, რომ ახლა ეს-ეს
იყო თქვენის საყვარლის მამას ემუხსაიფებოდით?

ზერ. ბეჩა, რა ვიცოდი, და მე კი სულ თვითო
კაკლად მოვუყუყუე, რაც კი სკაპენმა უყო.

სილ. ახა, ღმერთო! ეგ რა გიქნიათ?

ზერ. რა გაეწყობა. სჩანს აგრე უნდა მომხდარიყო!
მასთანაც იმან ინალვლოს, თორემ მე რაო?

სილ. არა, მაინც რა გეხალისებათ, ვისაც კი შე-
ყურებით, ყველასთან ტიკტიკი? განა არ შეიძლებოდა,
ენისთვის კბილები მოგეჭირებიათ?..

ზერ. ერთი არ იქნებოდა? სხვისგან ხომ მაინც
შეიტყობდა?

გამოსვლა 5.

არგ. (სტენას აქიო) ეი, სილიბისტრო!...

სილ. (სეზზინეტას). სახლში წაბრძანდით ახლავე.
არ გესმისთ, რომ ჩემი ბატონი მეძახის (სეზზინეტა შიდას)?

გამოსვლა 6.

არგანტი და სილიბისტრო.

არგ. თორემ მაგისთანა პირობა გქონდათ შეკრული ავაზაკებს?! შენ სკაპენო და შენ ჩემო საქებო ვაჟო შეთქმული იყავით ჩემს გაცარცვაზედ? გინდოდათ, რომ გაგვეგიჟებოდათ? ა? ისა ჰგონიათ, რომ შეგარჩენთ ამ ამბავს?

სილ. მე, შენი კირიმე მაგ საქმეში ხელი დამიბანია, და კიდევ ფიცით შემოძლია მოგახსენოთ, რომ ფრჩხილის ოდენა ბრალიც არა მაქვს. მაგ საქმეში არც კი გავრეულვარ.

არგ. არაფერია, მოიცადე და მე გავარჩევ მაგ საქმეს, გამოვიკვლევ. ის ნუ გგონიათ, რომ თვალები ამიხვიოთ!...

გამოსვლა 7.

ჟერონტი, არგანტი და სილიბისტრო.

ჟერ. ახ, ბატონო არგანტო! ვერა მხედავთ, რა საძაგელ მდგომარეობაშიდა ვარ?

არგ. არც მე გახლავარ უკეთესში, ჩემო ბატონო!...

ჟერ. იმ შეჩვენებულმა სკაპენმა აკი ხუთასი ოქრო გამომტყუა!

არგ. მაგ ავაზაკმა სკაპენმა მეც ორასი ოქრო დამტყუა.

ჟერ. ეგ კიდევ არაფერი, რომ მარტო ეგ ეკმარებია, მაგრამ მისთანა საქმე მიყო, გამოთქმისა მრცხვენინან, მაგრამ არ შევარჩენ კი...

არგ. მეც მასუხს მოვსთხოვ!

ჟერ. ოო! საარაკოთ ვადავუხდი!.. სამავალითოდ!..

სილ. (თავისთავის) თავს უნდა ვუშველო, თორემ ცუდათ მოვა ჩემი საქმე. თუ ღმერთი შემეწია, მოვახერხე როგორმე და ერთი ვქუსლე აქედან...

ჟერ. ეს ამან კიდევ თქვენი ჰირი წაიღოს, ბატონო არგანტო. მაგრამ ჰირი ყოველთვის ჰირს ეკიდება. იმედი მქონდა, დღეს ჩემს ქალს შევხვდებოდი, მაგრამ ეს-ეს არის ეხლა გავიგე, რომ ის დიდიხანია კიდევაც გამოსულა ტარენტრიდან და ვაი თუ ზღვაშიდაც დემეულუა...

არგ. ახა, ღმერთო ჩემო! ნეტავ რათა სტოვებდი ტარენტში? განა არ შეგეძლო, რომ თანა გყოლოდა?

ჟერ. მაგისი ცოტა მიზეზი მქონდა, რომ დამეთარა ჩემი მეორე ცოლის შერთვა. მაგრამ ავას რას ვცედავ, შენა ხარ ძიძავ?

გამოსვლა 8.

არგანტი, ჟერონტი, ნერინა და სილიბისტრო

ნერ. (მუსტაფისუდ ესევიჟა ჟერონტის) ახ. ბატონო პანდოლიერო, როგო...

ჟერ. პანდოლიერს ნულა შეძახი! ჟერონტი დამი-
ძახე... აწ მიზეზი აღარა მაქვს, რომ ჩემი ნამდვილი სა-
ხელი კიდევ დაფარო!

ნერ. ღმერთო შენს მადლს! თქვენ ვერ წარმოიდ-
გენთ ბატონო, თუ რა გვიყო მაგ სახელების არეფ-და-
რეფამ! სულ გზა და კვალი აგვირია და ხელი შეგვი-
შალა თქვენს ძებნაში.

ჟერ. ჩემი ცოლ-შვილი სად არის?

ნერ. თქვენი ქალიშვილი აქედან შორს არ გახ-
ლავსთ, მაგრამ ჯერ შეგვედროთ, რომ ჩემი დანაშაუ-
ლობა მაპატივით: იმედი რომ დაგვეკარგა თქვენის
პოვნის, თქვენი ქალი ავიყვანე და გავათხოვე.

ჟერ. ჩემი ქალი გაათხოვე!

ნერ. დიახ, ჩემო ხელმწიფე-ბატონო!

ჟერ. ვის მიეცი?

ნერ. ერთის გამოჩენილის კაცის ვაჟს! ოქტავს...
არგანტის შვილს!..

ჟერ. ღმერთო დაილოცა შენი სახელი!

არგ. აბა, მოულოდნელი საქმე ეს არის!

ჟერ. წაგვიყვანე, მიგვიყვანე იმასთან ეხლავ!..

ნერ. აბა, ბატონო, ამ სახელშიდ შებრძანდით და
ის იქნება!

ჟერ. მაშ წავვიძებნი! აბა მომყევით, ბატონო არ-
განტო, მომყევით..

სილ. აბა, საქმეც ამისთანა უნდა ჰა!.. (არგანტი,
ჟერონტი და ნერონი მიდვან.)

გამოსვლა 9.

სკაპენი და სილიბისტრო.

სკაპ. ახალ ამბავს რას იტყვი, სილიბისტრო?

სილ. ახალ ამბავს ბარე ორს გეტყვი: პირველი, რომ ოქტავის საქმე კარგათ გაკეთდა: გიაცინტა ჟერონტის ქალი გამოდგა და ამ გვარათ ორი მამეწის სურვილი ასრულდა. და მეორეც ისა, რომ ორივე ბერიკაცები გაბრაზებული არიან შენზედ, განსაკუთრებით ჟერონტი.

სკაპ. ეგ არაფერია! დარწმუნდი, რომ იმის რისხვას ადვილათ ავიცილებ.

სილ. აბა, ძმაო, სიფრთხილე გიჯობს. შეილები შეურიგდებიან თავიანთ მამებს და შენ რიყეზედ მიგაგლებენ.

სკაპ. შენ ნუ ნაღვლობ! მე იმათ მალე გავაყუჩებ...

სილ. თავს უშველო, სინამ სული კიდევ გიდგას! ვერა ჰხედავ აგერ მოდიან!

გამოსვლა 10.

ჟერონტი, არგანტი, გიაცინტა, ზერბინეტა, ნერიინა და სილიბისტრო.

ჟერ. მოდი, ჩემო შეილო, მომეხვეი. ჩემი სიხარული მაშინ უფრო სრული იქნება, რომ შემეძლოს შენთან ერთად დედაშენის ნახვაც.

არგ. აი, ოქტავიც კარგ დროს მოვიდა.

იგინივე და ოქტავი.

არგ. ჩქარა, აქ მოდი, შეილო, შენი-ქორწილი...

ოქტ. აბა, მამა ბატონო! აქ ხეწნა აღარ გავივით. დრო აღარ არის, რომ დაგიფაროთ... მეც თქვენთან მოვსულვარ და ეს არის...

არგ. გამიგონე. ჯერ ხომ არაფერი არ იცი?..

ოქტ. რაც საკიროა ჩემთვის, კიდევ ვიცი.

არგ. მე გეუბნები რომ ჟერონტის ქალი...

ოქტ. არ მინდა და არ შევირთავ...

არგ. როგორ, არა რომ..?

ოქტ. ტყვილათ სიტყვებს ნუ ხარჯავთ, მე გავსწყვიტე და...

სილ. (ოქტავს) გაიგონეთ ერთი და!

ოქტ. ხმა ჩაიწყვიტე! არაფერს არ გავიგონებ..

არგ. შენი ცოლ...

ოქტ. თავს მოვიკლავ და ამ ჩემს გიაცინტას კი არ ვუღალატებ (მიდას მასთან). რაც უნდა მოვიყოთ, მაინც ეს შეყვარება სიკვდილამდე და სხვა ცოლს კი არ შევირთავ!

გიაც. დიახ, ოქტავო. აი მამაჩემი, მე რომ დავეძებდი. ახლა ხელის შემშლელი აღარავინ გვეყოლება.

ჟერ. წავიდეთ შინ, შეილებო, იქ უფრო თავისუფლათ ვიმხიარულებთ თქვენს ბედნიერებას.

გიაც. (ხელს აშვეწს სკრუანეტსად) ნება მიბოძეთ,

მამა ბატონო, რომ ამ ჩემ მეგობარს არ გავეყარო. ამას იმდენი საქებური თვისებები აქვს, რომ თქვენც თავს შეგაყვარებსთ, როცა კარგათ გაიცნობთ.

ჟერ. რაო! შენ გინდა, რომ ის გომბო, რომელსაც შენი ძმა ეარშიყებოდა და რომელსაც შიგ ცხვირპირში სიცილი მომაყარა და ათასი საწყენი რამეები მითხრა, ჩემს სახლში შემოუშვა კიდევ?

ზერ. ბოდიშს ვიხდი: ჩემს დღეშიდაც ვერ გავბედავდი მავ ამბავს, რომ მცოდნოდა, თუ ის თქვენ იყავათ. მე მხოლოდ ქვეყნის ხმით გიცნობდით და სხვისი ნათქვამით გსჯიდით.

ჟერ. როგორ თუ ქვეყნის ხმით?

გიაც. მამა ბატონო, იმ მიღრეკილებაში, რომელიც ჩემს ძმას აქვს ამასთან, ცუდი დასაზრახი არა არის რა. ამრს თავმდები მე ვიქნები.

ჟერ. კარგი დაგეპართოს! მეტი აღარ უნდა! ეგება ისიც ვინდოდეს, რომ ეგ ვილაც მაწანწალა, უგვარტომოს შვილი შენ ძმას ცოლათ შეერთო!

გამოსვლა 12.

გინივე და ლეანდრი.

ლეან. მამა ბატონო! ნუ გაშიწყობით მისთვის, რომ მე ვილაცა მიყვარს. ვისგან ეს გამოვიყიდე, იმათ მითხრეს, რომ ეს ქალი ამ ქალაქიდან არისო და დიდი გვარის შვილს ეკუთვნისო! ოთხის წლის ყოფილა, რომ მოქუპარავსთ. აი სამაჯე, რომელიც დაგიმტკიცებსთ

ჩემს სიმართლეს და ეგება თავის დროზედ ამის ნათესალებიც მიგვაგნებოს.

არგ. ძლიერო ღმერთო! ეს სამაჯე ჩემი ქალიშვილის არის.

ჟერ. თქვენი ქალის?

არგ. დიახ, აი ეს არის ჩემი ქალი, ვიცანი! ვიცანი! შვილო, ჩემო შვილო!

გიაც. ღმერთო, დაილოცა შენი სახელი, ამდენი მოულოდნელი, საქმე იქნება!

გამოსვლა II.

ეგინივე და კარლო

კარ. ბატონებო, საარაკო შემთხვევაა! საარაკო!..

ჟერ. რა ავბავია რა მოხდა?

კარ. საბრალო სკაპენი!

ჟერ. მე ის ავაზაკი უნდა ჩამოვადრჩო, თოქნედ ჩამოვჭკიდო.

კარ. ვეღარ, შენი კირიჟე, ტყუილათ თავს ნუ შეიწუხებთ. თქვენგან ჩამო-ღრჩობა იმ უბედურის დღის შეილს აღარ ეკირვება: ერთის სახლის გვერდით, რომელსაც აშენებდენ, გაიარა იმ ცოდვის შეილმა. უცერად გადმოვარდა ურო, დაეცა თავში და ისე თქვენს მტერს გაუქულიტეს თავი, როგორც იპას გაუქულიტა. ასე, რომ ტენი გარჯთ დარჩა და თავის ხრიკი შიგნით. ახლა უნდა, რომ სიკვდილის წინეთ ცოტა რამ მიგასენოსთ...

არგ. სად არის?

კარ. აი, ბატონო, აგერ მოაქვს!

გამოსვლა I.4.

ისინივე და სკაპენი შემოაქვთ მეკურტნეებს.

სკაპ. (თავშესყუდი) ვაი! ვაი! ბატონო, მხედავთ! ა! აჰ! რა უბედურ მდგომარეობაშიდა ვარ! რა ყოფაშიდ ჩავარდი? ვაი! ვაი! არ მინდოდა მოემკვდარიყავი ისე, რომ შენდობა არ მომეთხოვა თქვენთვის. თუ რამე გაწყენინეთ ნებით ან უნებურათ როდისმე... ვაი! ვაი! ბატონებო, ამ სიკვდილის წინეთ მაპატივეთ ღვთის გულისათვის, შემინდვეთ, საფლავში ნუ ჩამატანთ. ვაი, ვაი! განსაკუთრებით თქვენ გვედრებით, ბატონო არგანტო და ბატონო ჟერონტო. ვაიმე, ვაი დედავ, ვაი!..

არგ. ღმერთმა შევინდოს. მშვიდობითა და განსვენებით განუტყვე სული.

სკაპ. ბატონო, მე მგონია, თქვენ ყველაზედ უფრო მეტი შეგცოდეთ ჯოხით.

ჟერ. კარგია! ნულა იგონებ, მეც შემინდვია.

სკაპ. არა. ოხ, რა თავხედობა იყო თქვენი ჯოხით გალახვა!

ჟერ. კარგი! კარგი! კარგი!..

სკაპ. სინიღისი არ მაძლევს ნებას, რომ განსვენებით დავლიო სული. სულ ის ჯოხები მეჩვენებიან.

ჟერ. თუ ღმერთი გწამს, გაჩუმი!

სკაპ. ოხ, ის შეჩვენებული ჯოხები, რომლითაც მე თქვენ დაგეყვით.

ჟერ. კარგი! მიპატივებია და არ გესმის!

სკაპ. ოხ, რა გულ-კეთილი და ღვთისნიერი ბრძანდებით. ჩემო ბატონო! სხვა რომ ყოფილიყო, თავის დღეშიდაც არ მაპატივებდა იმ ჯოხებს.

ჟერ. კარგი! კარგი, მიპატივებია და რაღა გინდა მეტი? გათავდეს საქმე.

სკაპ. ოხ, ჩემო ხელმწიფე, - ბატონო! ღმერთმა გადაგიხადოს. დიდ მადლს შერებით მაგით; მე ვგრძნობ, რომ ვრჩები. მგონია, აღარ მოვკვდე.

ჟერ. არა, შენ ავაზაკო, მხოლოდ იმ პირობით მიპატივებია, რომ ჩაძალდე.

სკაპ. ოხ, ღმერთო ჩემო! ოხ... ვაი! ვაი. ისევე ვკვდები, მიშველეთ თავო! თავო!...

არგ. ჩვენი სიხარულის გულისხამვის, ბარემც სულ აპატივე, ჟერონტო და ის იქნება.

ჟერ. კარგი, აგრე იყოს! ჯანი გავარდეს!

არგ. ჩვენ ერთად წავიდეთ, ყველანი მხიარულათ დავსხდეთ ვახშმათ და ლხინი გავსწიოთ.

სკაპ. (შეკუთრტყვის) თქვენ რაღას გაჩერებულხართ? წამიღეთ, მეც უნდა სუფრაზედ მოვკვდე!

ფ ა რ დ ა .

აკაკი წერეთელი.



პრანჰია ქალები

კომედია ერთ მოქმედებად.

საბჭოთა დიქციონარი:

ლაგრანჟი {
დიუკრუაზი { უმაწვილი კაცები.

გორტიბუს—მოქალაქე.

მადლონა—ამისი ქალი.

კატო—გორტიბუსის დისწული { პრანკია ქალები.

მაროტა—ამათი მოახლე.

ალმანზორ—ქალების მსახური.

მარკიზ დემასკარილ—ლაგრანჟის მოსამსახურე.

ვიკონტ-დე-ჟოდლე—დიუკრუაზის მოსამსახურე.

ორი ტახტრევანის მატარებელი.

ორი მეზობლის ქალი.

სკრიპკის დამცველი და ქუჩის ბიჭები.

სცენა არის პარიჟში 1659 წელს.



ბამოსკლა 1.

ლაგრანჟი და დიუკრუაზი.

დიუკ. ბატონო ლაგრანჟე!

ლაგრ. რა გნებაესთ?

დიუკ. ერთი შემომხედეთ, ნუ კი გაიცინებთ.

ლაგრ. რა არის მერე?

დიუკ. იმათთან რომ ვიყავით, რა შთაბეჭდილება გამოიტანეთ, ჰა! კმაყოფილი ხართ?

ლაგრ. როგორც თქვენა ხართ, ისე მე ვარ, რა ვისიამოვნეთ?

დიუკ. მართლაც და ბევრი არაფერი!

ლაგრ. კარგათ დარცხვენილები კი გამოგვიწვეს იმ სოფლელმა გომბიო ქალებმა. ვერა ნახეთ, რანაირად მიგვიღეს, სულ არაფრად ჩაგვაგდეს! სკამები მაინც ეთავაზებინათ! ჩემს სიცოცხლეში არ მინახავან იმისთანა სულელი ქალები. ერთმანეთს ყურში ეჩურჩულებოდენ რაღაცას, ამოქნარებდნენ, თვალებს იფშენეტდენ და წამ-და-უწუმ რომელი საათიაო, კითხულობდენ, ვითამ ამით გვაჩვენებდენ რომ მოვსწყინდით ჩვენა. დიდი უზრდელები ბრძანდებიან. ხეირიანათ მოგვცეს რაჟე პასუსი?!... ჩვენისთანა ღირსების კაცებს ეკადრებათ იმისთანა გომბიო ქალებისაჟან მაგგვარი პატივი! რაც

უნდა უკანასკნელი ხარისხის კაცები ეყოფილიყავით, ასე უზრდელად მაინც არავინ მიგვიღებდა, როგორც ამ პრანკია ქალებმა გაბედეს.

დიუკ. გეტყობათ, ძალიან საგრძნობლად მიგიღიათ ეს ამბავი.

ლაგრ. რასაკვირველია ძალიანა მწყინს. მე კიდევ გადაუხდი ამ პატივისცემისათვის იმ სულელებსა, იმათ! ძალიან კარგად მესმის რატომაც მიგვიღეს ასე. მარტო ესენი კი არ არიან უზრდელები და მარტო პარიეში კი არა ჰყრიან ამისთანა გოგოები! სხვა-და-სხვა პროვინციები მოფენილია ამ გვარი საძაგელი, სულელი და პრანკია ქალებით,—ესენიც იმათ რიცხვში ბრძანდებიან, გაუნათლებელს და უჭკუო ქალებისაში. ერთის სიტყვით — სულელური, მეტიჩარა კეკლუცი პრანკია ქალები ყოფილან. მე ვიცი როგორც უნდა მოექცეს იმათ კაცი და აწვენოს თუ ვისთან ბედვენ ამას. ისეთს საქმეს ვუზამ, რომ ძალიან კარგად გავაგებინებ თუ ვისთან როგორ უნდა დაიქირზნ თავი.

დიუკ. აბა როგორ?

ლაგრ. ერთი მოსამსახურე მყავს,—მასკარილდ, გამოქნილი კაცია, თავის-თავი ქვეიანად მიაჩნია და უნდა რომ ყველასთან გამოიჩინოს მახვილობა და ქვეაგონება; ახლა ხომ ვინც ბერსა ტიკტიკობს, ის მიაჩნიათ ყველას ქვეიანად. აბა ამაზედ უადვილესი რა არის, რომ თავ-ქარიან ქალებს აუხვიოს თვალი! ლექსები იცის რაღაც-რაღაცა, მოარზიყე კაცია, თავში ჩამჯღარი აქვს— დიდი კაცი ვარო და თავის თანა-მოსამ-

სახურებს ამაყათ უყურებს, ყველა სულელი და ბრცვი ჰგონია, თავის-თავის შეტი.

დიუკ. რას აპირებთ მე-ე თქვენ?

ლაგრ. რას ვაპირებ?... მე უნდა... ჯერ გავიდეთ აქედან.

გამოსვლა 2.

დიუკრუაზი, ლაგრანჟ და გორჟიზუს.

გორჟ. ჩემი ქალი ღა ჩემი ძმის-წული ნახეთ, მოვლაპარაკეთ რამე? როგორ გაათავეთ საქმე?

ლაგრ. ამას თქვენ უკეთ შეიტყობთ იმათვან. მეტს ვერას მოვახსენებთ, გწლითადი მადლობა უნდა გამოგიცხადოთ თქვენის განუსაზღვრელი პატივის-ცემისათვის და ამასთანავე უმდაბლესად თავს დაგიკრავთ.

დიუკ. მშვიდობით ბრძანდებოდეთ ბატონო (გაუღუნს).

გორჟ. (შარტა). დახედეთ, მგონი გაჯავრებულები არიან! ვითამ რათ უნდა იყვნენ ასე უკმაყოფილო, ერთი უნდა შეეიტყო რას ნიშნავს ესა. ჰეი! (აძისისი).

გამოსვლა 3.

გორჟიზუს და მაროტტა.

მარ. რა გნებაესთ ბატონო?

გორჟ. შენი ქალბატონები სად არიან?

მარ. თავის ოთახში.

გორჟ. რას აკეთებენ?

მარ. ტუჩხედ წასასმელ პომადას აკეთებენ.

გორუ. ეყოფათ ამდენი პომადის წასმა, უთხარი აქ ჩამოვიდნენ.

გამოსვლა 4.

გორუიბუს, მარტო.

გორუ. გააქირეს საქმე ამ გომბიოებმა თავისი პომადით, ლამის გამაკოტრონ კიდევ! საცა არა მგონია, კვერცხის ცილასა ვხედავ, ქალის რძესა და ათასს ამისთანა უბრალო რაღაც რაღაებსაც, არც კი ვიცი ამნაირი სახელები. რაც აქა ვართ, მარტო თორმეტი ღორი მაინც დაჰკლეს და იმათი ქონი იხმარეს! ოთხი მოსამსახურე მაინც შეინახებოდა ყოველ დღეს იმ ცხვირის ფეხებით, რამდენსაც ისინი პომადისათვის ხარჯვენ.

გამოსვლა 5.

მადლონა, კატო და გორუიბუს.

გორუ. ნეტა თუ მართლა დიდი საქიროება მოითხოვს სულ ქონით რომ ითხოვნით პირსა და ამდენს ხარჯს მაწეინებთ? ახლა აქ რომ ყმაწვილი კაცები იყვნენ; მითხარით რა მიზეზია, რა უთხარით ისეთი, რომ ასე ცივად დაგშორდენ? აკი გითხარი მიიღეთ მეთქი ისინი კარგად, ისე როგორც თქვენი საქმროები, მე იმათ უნდა მიგცეთ თქვენა.

მადლ. ახა, რა პატივისცემა უნდა გვქონდეს ჩვენ ამისთანა კაცებისა, ასე ცუდათ რომ იქცევიან, მამა ჩემო!

კატო. იმისთანა კაცებთან, იმათ შესაფერისად ნეტაროგორ უნდა დაიქიროს თავი ჩვენისთანა ქვეიანმა ქალებმა, ბიძა-ჩემო!

გორუ. აბა რას ხედავთ იმათში დასაწუნარსა.

მადლ. კარგი მოუფიდათ, კარგი მოარშიყენი ისინი არიან! როგორა, პირველადვე ცოლ-ქმრობაზე ლაპარაკით უნდა დავიწყოთ?

გორუ. მაშ რა გინდათ, ჯერ ხასობიდან ხომ არა გნებავთ დაწყება?! იქნება თქვენ გსურსთ სხვის, ხარჯზედ იცხოვროთ, როგორც მე გაცხოვრებთ? განა ცოლ-ქმრობაზედ ლაპარაკი საკიცხავი არის ვისთვისმე?

მადლ. ოჰ, მამა-ჩემო, მრცხვენია კიდევ თქვენგან რომ მესმის ამისთანა ცუდი ლაპარაკი; რა არის, არ შეიძლებოდა გესწავლათ კარგი, თავაზიანი, ქვეიანური ლაპარაკი და გაგეგოთ უფრო კარგად ყველა საგნები?!

გორუ. როგორც მიწირავს ისე ვწირავ! მე შენ გეუბნები, რომ ცოლ-ქმრობა ისეთი წმიდა კავშირია. რომ ვინც ამ გზაზედ წავა—პატიოსნება ეთქმის.

მადლ. აჰ, ღმერთო; მთელი ქვეყნის ხალხი შენისთანა რომ იყოს, ერთი უშველვებელი გასართობი რომანი დაიწერებოდა იმაზედ. ოჰ, დიდი რამ კარგი საქმე არ იქნებოდა, სირუისს მანდანა შეერთო და არონსას კი კლედია (აჭიანას).

გორუ. რას ბოდავს ესა, რომ არ მესმის!

მადლ. მამა-ჩემო, აი თუნდ კატოსა ჰკითხე, ისიც გეტყვის ამასა, რომ თავის დღეში არ უნდა გათხოვდეს ქალი ისე, სანამ რამე ხიფათი არ გადახდება. საქმრო

რომ სასიამოვნო იყოს, ჯერ უნდა გრძნობით, ნაზათ, სიყვარულით ილაპარაკოს, მაგრამ ისე რომ განსაზღვრული იყოს იმის შესაიფი. ჯერ უნდა ან ეკლესიაში ან სეირნობაზე შეხვდეს თავის საცოლოს, ან ხალხში სადმე, ან არა და ქალის მეგობრისა, ან ნათესავისას და მერე, როცა საქმრო ნახავს ქალს, სულ იმ ქალის ფიქრებით იყოს სავსე და მაშინ სიყვარულიც შეეპაროს. რასაკვირველია, თუ ქალი შეუყვარდა, იმას არაფერი არ უნდა შეატყობინოს, მაგრამ იმასთან მსვლელობა უნდა დაახშიროს და ისე ეცადოს, რომ როდესაც საერთო მუსაიფში არიან, თავისი არშიყობა ისე გამოიყვანოს იმ ლაპარაკში, მარტო ქალის მეტმა რომ ვერაინ შეიტყოს. აი, საქმრომ ძლივს ჩაიგდო დრო სიყვარულის გამოცხადებისა, მაგრამ ეს გამოცხადება უნდა მოხდეს ბაღის მიყრუებულ კუნკულში სადმე, მაშინ როდესაც ბევრნი ერთად წავალთ იქ სასეირნოთ და ყველანი წინ არიან წასულები, ეს ორი კი დარჩნენ ერთად, მაშინ უნდა დაიწყოს ვაჟმა სიყვარულის გამოცხადება. ქალმა უნდა ისე დაიჭიროს იმასთან თავი, ვითომ ძალიან იწყინა, როგორ მიხედავ ამასაო, გაანჩხლდება, ჯავრობას დაუწყებს და კაცი ცარიელი დარჩება. მერე ეცდება, რომ დაგვაშვიდოს როგორმე, გული მოგვიგოს. იმის მხურვალე, მტკიცე სიყვარულს კარგად რომ გავიგებთ, რითიც იქნება მერე, ძალა-უნებურად შერთვაზედ დავყაბულდებით. ამებს მოჰყვება მერე ერთი ხათაბალა, დედ-მამის უთანხმოება, გამოჩნდებიან სხვა საქმროები; ჩვენს წაყვანას რომ დაეპირებიან, შური,

ჩხუბი ხდება, ერთმანერთში ატყდება ერთი ალიაქოთი, ჩივილი, წუწუნის იმათი. ბოლოს მოგვიტაცებენ და მერე რაც იქნება, ეს ხომ იცით... აი, ასე უნდა დაბოლოვდეს ამნაირი საქმე. ამნაირი ქცევა სწორედ სასიამოვნო და პატიოსანი არის. აბა ერთი იფიქრეთ, რა სასიამოვნო არის ქმრის შერთვა თუ ამ გვარი შემთხვევა არ გადაგხდა და ისე პირ-და-პირ ირთავ ქმარს, რასა ჰგავს ესა! ისე გამოდის, სწიამოვნო წიგნის კითხვა რომ გინდა, თავიდგან კი არა, ბოლოდან იწყობ იმის კითხვას; ჯვრის წერაც ისეა. არა, მამა-ჩემო, ამგვარად გათხოვება საძაგელი ვაქრობაა და შე კიდევ გული მერევა, როცა თვალთა ვხედავ მაგნაირს ცოლ-ქმარს.

გორუ. ეს აქ რა ქაჯური ლაპარაკი მესმის, დასეთ ერთი რა დიდ-გულად ლაპარაკობს!

კატო. სწორედ მართალს ამბობს ჩემი ბიძაშვილი, ძიაგ. ვის შეუძლია იმისთანა ხეობე კაცების კარგად მიღება. შემძლია დანაძლავდევ კიდევ, რომ იმათ აღერსისა არა გაეგებათ-რა; საარშიყო ბარათების მიწერისა არა იციან რა და არც ლაპარაკი ლექსების წერა შეუძლიათ; ზედ რომ შესედოთ, მაშინვე იტყვიან, რომ აქაებისა არა გაეგებათ-რა. ისეთი შექედულობა მაინც ჰქონდეთ, რომ შესაძლებელი იყოს იმათზედ კარგი აზრი შეადგინოს ადამიანმა! რა სასიამოვნო მოვიდნენ მერე ჩვენთან თუ სიყვარულის გამოცხადება უნდოდან?! რა ნაირად იყვნენ ჩაცმული? თავზედ ისეთი ქუდი ეხურათ, რომ ერთი ფრთითაც არ იყო მორთული; თმები აწეწილი ჰქონდათ, ტანისამოსზედ ერთი ნაქერი ლენტის

არ ევლოთ; ფეხები რალას უგავდათ, ჯასე გეგონებოდათ არა აცვიათ-რაო; ისე ჰქონდათ უბრალოთ ჩაცმული ფეხ-საცმელები, რომ არაფრით არ იყო შემკული. ოჰ, ღმერთო ჩემო, სადაური საქმროები არიან ისინი! რა სასაცილოთა ლაპარაკობდნენ, მღელვარება სულ არ ეტყობოდათ, მანამ ჩვენთან იყვნენ. მე შევნიშნე, რომ პერანგის საყულო ახალ-მოდისა არა ჰქონდათ; ცოტა და აკლდათ; რომ სწორეთ იმ სიდიდე საყულო გაეკეთებინათ, ყელზედ ახლა რომ იკეთებენ.

გორუ. (სადსს) მგონი გაგიყებულან ესენი და ამითი ლაპარაკი არ მესმის. კატო და შენ მადლონავ...

მადლ. ეჰ, მამა-ჩემო, თუ ღმერთი გწამთ გადაეჩვიეთ ამისთანა უცნაურ სახელებს, სხვანაირათ დაგვიძახეთ ხოლმე ჩვენა.

გორუ. როგორ თუ უცნაურს სახელებსაო, განა ეგ ნათლობის სახელები არ არის თქვენნი?!

მადლ. ოჰ, ღმერთო ჩემო, რა ტუტუცი რამა ბრძანდებით! ჩვენთვის გასაკვირვალი ამბავია, რომ თქვენისთანა კაცს ასეთი ჰქვიანი შვილი ვყავარ! გაგიგონიათ როდისმე, რომ მადლონას და კატოს სახელი ეხმაროთ საპატიო საუბარში? გამოტყდით, ერთ-ერთი ამ სახელთაგანი საკმარისი იქნებოდა, რომ ძალიან კარგი რომანი გაცრუებულიყო.

კატო. მართალიც არის, ბიძიავ, რომ ჩვენისთანა ნაზი ყურისათვის ძნელია ამ სიტყვების გაგონება. აი, ჩემმა ბიძა-შვილმა ამოიჩინა თავისთვის სახელად პოლიქსენი, მეც---ამინტა და თქვენც უნდა დაგვითანხმდეთ ამაზედ.

გორუ. გამიგონეთ თქვენ! მე არც კი მსურს გაგონება, რომ თქვენ სხვა სახელი დაირქვით, იმის მეტი, რაც ნათლობის დროს დაგარქვეს თქვენმა ნათლიებმა. რაც შეეხებათ იმ კაცებს, მე ხომ ვიცნობ და ყველა იმათი კარგი და ავი ვიცი. სწორეთ მინდა, რომ ისინი მიიღოთ, როგორც თქვენი საქმროები და გაჰყვეთ ცოლებათ. მომწყინდა თქვენი შენახვა, აღარ შემიძლია; ჩემ დროულს კაცს არ შეშვენის თქვენოდენა ტვირთის ზიდვა.

კატო. სწორეთ უნდა გითხრა ძია, რომ ქმრის შერთვა ძალიან მიძნელდება და სასირცხვილოთ. მიმაჩნია. ან კი როგორ უნდა წარმოვიდგინო თვალ-წინ, რომ პერანგის ამარა კაცთან მომიხდება წოლა!!

მადლ. როგორც იყოს, მოითმინეთ კიდე ცოტა. ჯერ ხომ ეს არის—შევდივართ პარიჟის საზოგადოებაში—დაგვაცადეთ იმის ჰაერი ჩავყლაპოთ. დაგვაცადეთ ჩვენრ დაწყებული რომანი ბოლომდის მივიყვანოთ, მოვიქცეთ როგორც ჩვენა გვსურს და თქვენის გადაწყვეტილებით ნუ დაგვაჩქარებთ.

გორუ. (გაღკე.) რალა თქმა უნდა, გადაუწყვეტი-ათ კიდევ! (მადლათ) ერთხელ კიდე გიცხადებთ, და აღარა მსურს თქვენი ტიკტიკის ყურის გდება. რასაც მე გიბრძანებთ, ის უნდა აასრულოთ. თქვენ რომ მეტი აღარა იტიკტიკოთ რა, გამოვიცხადებია თქვენთვის, ან უნდა შეირთოთ ორივემ ის ყმაწვილი კაცები, ან არა და მოლოზნებათ შეგიყვანთ, გადაწყვეტილი მაქვს. (გადის).

გამოსვლა 6.

კატო და მადლონა.

კატო. ღმერთო ჩემო! რა ნაირი ადამიანია მამა-შენი! მადლონა-~~ჯენ~~! ქვეყნიერებისა არა გაეგება რა; იმის გული რაღაც უფსკრულს წარმოადგენს!

მადლ. მე მრცხვენია იმის მაგიერათ. ფიქრათ მომდის, რომ იმისი შვილი არ უნდა ვიყვე და გული მეუბნევა, ერთხელაც იქნება შევიტყობთ, რომ მე დიდი კაცის და განათლებულის შვილი ვარ.

კატო. რასაკვირველია ასე იქნება! ოჰ, ქვეყანაზე რა არ მოხდება, მეც, როცა სარკეში ვიხედები...

გამოსვლა 7.

კატო, მადლონა, მაროტა.

მაროტ. ერთი ვიღაც ლაქია მოვიდა და გკითხულობთ, შინა ბრძანდებითო? იძახის: ჩემს ბატონს სურს იპათი ნახვალ.

მადლ. როდის გადაეჩვევი შენ სულელო, ასე უბრალოთ მოხსენებასა; აი ასე უნდა მოგვახსენო: „ერთი ადამიანი საჭიროებს შეიტყოს— შესაძლებელია თქვენი ნახვაო, გცალიათ თუ არაო?“ ასე უნდა სთქვა!

მაროტ. ქალბატონო, არ მესმის ეგ თქვენი რაღაც ნაირი ლათინური ლაპარაკი! თქვენი რაღაც ფილოფია რომ არ მისწავლია, რა ვქნა?!

მადლ. შეხე ამას! პასუხსაც რომ მიბედავს! ველარ

მომითმენია ამ საძაგლის ლაპარაკი. ვინ არის იმ მოსაქსახურის ბატონი?

მაროტ. ასე მითხრა, მარკიზი მასკარილლიაო.

მადლ. ვილაცა მარკიზიაო, მარკიზი. (სასწრაფოაო) წადი მოახსენე, რომ შეიძლება ჩვენი ნახვა. ეს ერთი ვილაც კვეიანი კაცი იქნება; უთუოთ ჩვენს ამბავს გაიგებდა.

კატო. რასაკვირველია.

მადლ. ამ ხალაში რომ მივიღებდეთ, ემჯობინება, მანამ ჩვენს ოთახში. თმა გავისწოროთ მაინც, რომ რაც ჩვენზე გაეგონა, სწორეთ ისე ვეჩვენოთ. არიქა გვიშველე ერთი, გვირჩიე, როგორ უფრო შესაბამათ მივიღოთ.

მაროტ. ღმერთო ჩემო! ვინ არის ის სულელი ვილაცა; ერთი ქრისტიანულათ მელაპარაკეთ, რომ თქვენნი ბრძანება გავიგო რამე მაინც.

მადლ. მოგვართვი აქ სარკე, რა საძაგელი რამახარ! არ მიეკარო, თორემ სახეს ველარ, გვაჩვენებს კარგათ.

გამოსვლა 8.

მასკარილლ და ორი მეტახტრევანე.

ჭასკ. ჰეი, ჰეი, მეტახტრევენებო! იქა, იქა, იქა, იქა, იქა, იქა, მგონი ამ საძაგლებს უნდათ მიმამტვრიონ კედელს, ლამის ძირს დამცენ.

პირ. მეტახტ. რა ვქნა აბა! კარები ვიწროა ძალიან; თქვენ არ გინდოდათ რომ აქ შემოგვეყვანეთ?!

მასკ. რასაკვირველია! მაშ თქვენ უსინიდიხებო, გინდოდათ, რომ ჩემი ქუდის მორთულობა წვიმით წამეხდინა და ჩემი ფეხსაცმელები ტალახში ამომესვარა?! დაიქი, წაიღეთ. თქვენი ტახტრევანი.

მეორე მეტახტ. ბატონო ფული მოგვეცით, რაღა!
მასკ. ჰაა!

მეორე მეტახტ. მე მოგახსენებთ, უფალო, რომ ფული უნდა გვიბოძოთ, თუ თქვენი ნებაც იქნება.

მასკ. (სიღვას კარტუყავს) როგორ მიბედავ ამას, შე საძაგელო შენა! ჩემისთანა ხარისხის კაცს, როგორ უბედავ ამას, ჰაა!

მეორე მეტახტ. განა ასე აქლევენ ფულს ღარიბებსა? თქვენი ღირსება გვაქმევს პურსა თუ?

მასკ. აჰა, მე თქვენ გასწავლით, თუ როგორც უნდა მოიქცეთ; ამ ოხრებს ვერ უყურებთ, რომ მებუმრებიან კიდეცა!

პირ. მეტ. (იღებს ტახტრევნიდან ჟახსს) აი ასე. აბა, მალე მოგვეცით ფული.

მასკ. რაო?

პირველი. მე ვამბობ, რომ ახლავე უნდა მოგვეცეთ ფული.

მასკ. ძალიან კკუიანია, სწორეთ!

პირ. აბა, მალე, ~~დაღა~~ } X

მასკ. როგორც საჭიროა, შენ ისე ლაპარაკობ. ის კი ერთი, საძაგელი რამ არის, თვითონაც არ იცის, რას ამბობს, დაიქი, ახლა ხომ გეყოფა?

პირველი. არა არ გეყოფა, თქვენ სილაგაარტყით ჩემს ამხანაგს და (ჟახსს ასწევს საცემრათ)...

მასკ. ფრთხილად დაიქი, ესეც სილისათვის მომიცია. ჩემგან ყველაფერს იშოვის ადამიანი, როცა ძალას არ მატანენ და მხოლოდ მთხოვენ. გასწით და მერე მოდით ჩემს წასაყვანად. სალამოზე ლუვრის სასახლეში უნდა წავიდე ხელმწიფესთანა.

გამოსვლა 9.

მაროტა და მასკარლლ.

მაროტ. ახლავ გიახლებიან ჩემი ქალბატონები.

მასკ. რას მოეჩქარებიან, კარგათა ვზივარ აქა და შემძლია მოვეუცადო.

მაროტ. აი, მობრძანდებიან კიდევცა.

გამოსვლა 10.

მადლონა. კატო, მასკარლლ და აღმანზორ.

მასკ. (მღაბლად ააფს დაუკრავს) ჩემი გამბედაობა თქვენთან ხლებით, რასაკვირველია გაგაოცებსთ, მაგრამ მე არ გახლავარ დანაშაული; თქვენზედ ისეთი მშვენიერი ხმები მესმოდა, რომ ჩემმა გულმა ველარ მოითმინა, საშინლად მიმიზიდა თქვენსკენ; ამისათვის გავბედე აქ ხლება და თქვენი ღირსების გაცნობა.

მადლ. თუ ღირსებას ეძებთ, არა მგონია აქ იპოვნოთ.

კატო. ღირსების ნახვა თუ გნებავდათ, უსათუოთ თან მოიტანდით.

მასკ. მომიტევეთ, რომ ვერ გეთანხმებით. მე ვხე-

დავ, რომ თქვენსედ ვავრცელებული ხმები ნამდვილი ყოფილა, და რასაც პარიუის შვენებას თაყვანსა სცემს, თქვენ ანათებთ ამასჲ.

მადლ. თქვენს ქებას საზღვარი არა ჰქონია, მაგრამ მე და ჩემი ბიძაშვილი მაინც პირში ქებათ ვსთვლით ამასჲ და არა ქეშმარიტებათ მოსაზრებასა.

კატო. (შაღღღანს) უბრძანე, სკამები მოგვართვან. სთხოვე, დაბძანდეს.

მადლ. ბიჲო, აღმანზორ!

აღმააზ. რა გნებაესთ, ქალბატონო?

მადლ. საჩქაროთ სკამები მოგვართვი; სასიამოვნო საუბრის გაწყევას უნდა შევუდგეთ.

მასკ. მგონი მე აქ დიდი გაფრთხილება მმართვეს. (ქაღმინისოდო გავა).

კატო. ვითამ რისა უნდა გეშინოდეთ?

მასკ. როგორ თუ რისა. თქვენთან აქ ყოფნით ასე მგონია, ეს-ეს არის, გული ამომიფარდება და საუკუნოთ გამოვეთხოვები ჩემს თავისუფლებას. აქ ისეთს თვალვხვდავ, რომელნიც არავის არ დაინდობენ და ისე დასწვენ, რომ ნაცრათ აქცევენ; ვინც დაუახლოვდება. ან ასლავე უნდა გავიქცე, ან თავდებათ უნდა დაფიყუნო ვინმე, რომ უნებულად დავშორდები ამ გასაგებებელს თვალვხვდა.

მადლ. (გაცას) რა მზიარული ყმაწვილი ყოფილა!

კატო. (შაღღღანს) გამოცხადებული „ჰამილკარი“; სწორეთ ის „ჰამილკარი“, მე და შენ რომ კლელიის რამანში წავიკითხეთ.

მადლ. ნუ გეშინიათ, ბატონო, ჩვენი თვალები არაფრის არ ემტერებიან და შეგიძლიათ გული დაიმშვიდოთ.

კატო. რა საცოდავით შემოგცქერით ეს სავარძელი! რა ხანია თქვენთან მოუპყრია ხელები, მოხვევენას ელის, თქვენ კი გულ-ცივათა ხარო და პასუხს არ აძლევთ; შეიბრალეთ, დააკმაყოფილეთ ამის სურვილი და მოახვევინეთ თქვენთვის ხელი.

მასკ. (თავს და ტანსაშისას ასწორებს.) ახლა, ქალებო, პარიჟისას რას იტყვით, როგორ მოგწონსთ პარიჟი?

მადლ. რა უნდა მოგახსენოთ. პარიჟში რას არა ნახავს ადამიანი. რაც რამ სიმდიდრე, შევენება, მახვილობა, გემოვნებაა, ყველაფერი პარიჟშია; უგუნური თუ არ იტყვის, თორე ამას ყველა ავბობს. რომ პარიჟი ყოველი ძვირფასი ნივთებით და მშვენიერებით სავსე ქალაქია.

მასკ. დიად, ამას მოგახსენებთ, პარიჟი რომ არ იყოს ქვეყანაზე, არ ვიცი თუ პატიოსანი კაცები სად უნდა წასულიყავით.

კატო. ქეშმარიტსა ბრძანებთ!

მასკ. ხანდისხან კი ტალახი იცის, მაგრამ ტახტრევნებით ატარებენ მაშინ.

მადლ. დიად, ტახტრევნები ძალიან სასიამოვნო თავშესაფარებელია, როცა ტალახია და წვიმს.

მასკ. ხშირათ დადიან თქვენთან სტუმრობს ხანდა, არიან იმათში გამოჩენილნი კეჟა გონ ზდთა და მახვილობით?

მადლ. ჩვენდა სამწუხაროდ, ჯერ თითქმის ვერა-
ინ გვიცნობს აქა: მაგრამ იმედი გვაქვს კია, რომ მა-
ლე კარგს ნაცნობებს ვიშოვნით. ერთი ჩვენი მეგობა-
რი ქალი დაგვიბრდა, რომ გავცანობს აქაურს საუკე-
თესო, გამოჩენილს და განათლებულს ყმაწვილ კაცო-
ბას.

კატა. საუკეთესო მკოდნე და დამფასებლებს, რაც
რამ გამოჩენილია განათლებულს საზოგადოებაში!

-**მასკ** ამისთვის შე უფრო გამოგადგებით. მუდამ
დღე იკრიბებიან ჩემთან საუკეთესო, განათლებული ყმა-
წვილი კაცები: თვალს გავახელ თუ არა დილას, ვნა-
ხოთ ბარე ექვსი განათლებული კაცი კიდევ შეკრები-
ლა ჩემს სახლში.

მადლ. ოჰ ღმერთო! დიდი მადლობელი ვიქნებით,
დიდათაც დაგვაჯალებთ, ამიტომ, რომ ვისაც მაღალ სა-
ზოგადოებაში ყოფნა და ტრიალი უნდა, უსათუოთ სა-
ქიროა, იცნობდეს მაღალი ხარისხის საზოგადოებას. მა-
გათ შემწეობით გავარდება ხოლმე კარგი ხმა მთელს
პარიჟში და ხომ მოგეხსენებათ, თუ არ იარეთ ერთმანე-
თში და არ მიიღეთ სახლში, ცუდათ შემოგხედვენ და
რა უშავს, შევასრულოთ ამ გვარი საზოგადოების წესი?!
ამასთანავე, ჩემის მოსაზრებით, ამ გონიერულს და ქვეი-
ანურს საზოგადოების შემწეობით, ბევრს სასარგებლო
და საქირო რასმე ისწავლი სიცოცხლეში, რომელნიც
მაღალ გონიერებას შეადგენენ. ყოველს დღეს სხვა და
სხვა ახალი ამბები გეხვის პროზითა და ლექსებით შეთ-
ხზულები; მაგალითად, ვინ რა ამბავი შეთხზა რომელი-

მე სავანზე, ვინ რა ლექსები გამოთქვა რომელსამე სასიამოვნო ხმაზედ; ამა და ამ გახარებულმა კაცმა სიხარულით თუ რა ლექსი დასწერა; ვთქვათ, უღალატა ვინმე ვისმე, შეიტყობ თუ იმაზედ რა ლექსია; ვსთქვათ, კიდევ, ამა და ამ კაცმა ერთი ლექსი დაუწერა თავის აწმყის ქალსა, ამ დილას დასაკმაყოფილებელი პასუხი რომ არ მისცა; ან რომელიმე მხატვარმა დახატა შესანიშნავი რამ მხატვრობა. ესა და ეს მწერალი მესამე ნაწილსა სწერს თავის თხზულებისას, ან ესა და ეს ათაფებს საცაა თავის თხზულებას და კიდევ ბექდვას დაიწყებს. აი ამ გვარი ამბების გაგონე, რასაკვირველია დიდათ აფასებ მაგნიარს საზოგადოების გაცნობას, და თუ კი დაშორებულა ეინმე აშას, სწორეთ უნდა გითხრა, იმის ქეთა—გონება გაუხსნელი ყოფილა.

კატო. მე კი ვგონებ, ეს დიდი დაპრანქვა იქნება და მიქარვა იმისი, ვისაც თავი კვეიანათ მოაქვს და კი არ იცის, თუ ყოველ დღეს სად რა აშბავი ხდება. ვგონებ თქვენნი სირცხვილი დამედებოდა თავზედ, რომ მკითხოს ვინმე,—ახალი აშბავი ხომ არა იცი რაო და მე კი ვერაფერი პასუხი მივუგო!

მასკარილ. დიახაც, დიდი სირცხვილია, მაგრამ ამაზედ რათა სწუხართ? მე გავმართავ თქვენ სახლში მთელ აკადემიას კვეიანსა და გონება გახსნილ საზოგადოებისას, და გარწმუნებთ კიდევაც, ერთი ლექსი არ დაიწერება მთელ პარიჟში ისე, რომ თავ და პირველად თქვენ არა გქონდესთ დაზეპირებული. აბა შემომხედეთ მე, როცა მინდა ვვარჯიშობ და თქვენ ნახავთ თუ ყო-

ველ ქუჩაში პაჩიეში ჩემი სხვა და სხვა გვარი ნაწერები ლექსებათ არ გაიგონოთ. ასამდის სიძღვრები შემითხუზავს, ანდაზები, ოთხასი ოროლ ტაეპიანი ლექსები, ათასამდის სხვა და სხვა გვარი გამოცანები, სურათებით აწერილს გარდა.

მადლ. უნდა გაგიტყდეთ, რომ საშინლათ მიყვარს სურათები; ამაზედ უკეთესათ არა მიმაჩნია რა.

მასკარილ. სურათების აღწერა ცოტა არ იყოს ძნელია, დამჯდარი ქკუა გონება სჭირდება; აი ნახავთ ჩემს შეთხზულებს, არ დაიწუნებთ იმათა.

კატო. საშინლათ მიყვარს გამოცანები.

მასკარილ. დიახ. ძალიან კარგათ უხსნის გონებას ადამიანს. ამ დილას ოთხსოდე დაწვერე და მოგაძსენებთ ახლავე, თუ გამოიცნობთ.

მადლ. ლექსებიც კი სასიამოვნოა, მეტადრე თუ კარგათ არის დაწერილი.

მასკარილ. ეს ჩემი ხელობა გახლავსთ, მე ვსწერ ახლა ლექსათ მთელ რომაელთ ისტორიას.

მადლ. ეს კი მშვენიერება უნდა იყოს, ერთ წიგნს ავიღებ, თუ კი დააბეჭდინებთ.

მასკარილ. თითო წიგნს ორივეს მოგართმევთ საუკეთესო ყდით გადაკრულს. თუმცა და პირობის დარღვევა იქნება ესა, მაგრამ ამით დაბეჭდავს ვაძლევ მოგების შემთხვევას, რომ საშველს არ მაძლევენ.

მადლ. ოჰ, რა სასიამოვნო უნდა იყოს თქვენ საკუთარს თხზულებას რომ ნახავთ დაბეჭდილს!

მასკარი. რასაკვირველია, მართლა უნდა მოგიყვეთ

ერთ ლექსს; გუშინ ერთ ჩემ მეგობრის, გრაფის ცოლ-
თან განლდით და იქ უცაბედათ შეეთხზე ერთი ლექსი.

მადლ. ეს არის კარგი. უცაბედათ ლექსის შეთხზვა
ამტკიცებს დიდ ნიქს.

მასკარ. აბა ყური დამიგდეთ.

მადლ. ყურადღებათ გადავიქვციოთ, აბა, ბძანეთ.

მასკარ. ოჰ, ოჰ მე მაშინ ფრთხილათ ვერ ვიყავ:

უფიქრელად რომ თქვენ შემოგყურებთ,

თქვენი თვალები მეპარებიან

და გულს მტაცებენ: არიქა ქურდი!..

არიქა ქურდი, არიქა ქურდი!

კატო. ოჰ, ღმერთო, რა მშვენიერი კილოთი არის
დაწერილი!

მასკარ. რასაც ვამბობ, ტყუილი კი არ გეგონოსთ!
რასაც ვსწერ, ყოველივე ზრდილობიანია და გამომჩვენ-
ებლობა არ დაეწამება.

მადლ. რას ბრძანებთ, სიცრუე თქვენგან შორს არის.

მასკარ. ამის დასაწყისი შენიშნეთ? „ოჰ, ოჰ“! აი
ეს არის საშავალითო, თითქო უცბათ რომ გაიკვირვებს
ადამიანი და იტყვის: „ოჰ, ოჰ!“

მადლ. დიახ, მშვენიერება რამ არის ეს „ოჰ, ოჰ“.

მასკარ. თითქო აქ არა იყოს რაო!

კატო. ოჰ, ღმერთო, რას ამბობთ, ეს უძვირფასე-
სი რამ არის.

მადლ. რასაკვირველია, ეს „ოჰ, ოჰ“ მთელს ახალს
პოემას რასმე მირჩენია.

მასკარ. გეტყობათ, საქმის გაგება კარგათ გცო-
დნიათ.

მადჯ. არც უმისობაა, რომ გესმის ცოტათ.

მასკარ. არა, - მაინც როგორ მოგწონთ, მე რომ ვამბობ „ფრთხილათ ვერ ვიყავ“ მეთქი? „ფრთხილათ ვერ ვიყავ“, ვითამ და მოსარიდებელს ვერასა ვხედავდი, როგორც ლაპარაკში ითქმის; „ფრთხილათ ვერ ვიყავ, უფიქრელათ რომ“, ვითამ უაზროდ, განუზრახავად; უფიქრელად რომ შემოგყურებთ, როგორც უმანკო რამ სულიერი, როგორც ბატკანი; როგორც ცხვარი შემოგყურებთ, ვითამ სიამოვნებით შემოგცქერივართ: „თქვენნი თვალები მეპარებიან“ — როგორ მოგწონსთ ეს სიტყვა- „მეპარებიან“, კარგი არ არის?

კატო. ძალიან კარგი.

მასკარ. მეპარებიან, თითქო კატა ეპარებოდეს თავსა. „მეპარებიან!“

მადლონა. უკეთესი არ შეიძლება.

მასკარ. „და გულს მტაცებენ“, ვითამ გული მ-მ-პარეს, გამცარცვეს და არიქა ქურდიო, არიქა ქურდიო, რომ ვიძახი ამას არ იტყვიო, რომ კაცი გაუქურდავთ და ყვირილით თითქო ქურდს მისდევდეს, ეგება - ხელი ვსტაცოო, დავიქიროო, „არიქა ქურდი, არიქა ქურდი.“

მადლონა. უნდა აღიაროს კაცმა, რომ გონივრულად არის სიტყვა გამობრუნებული.

მასკარ. ახლა რა კილოზედაც დავამღერებ, ისიც უნდა მოგახსენოთ.

კატო. მუსიკა გისწავლიათ?

მასკარ. მე? არასოდეს.

კატო. აბა მაშ რაგორ მოახერხებთ?

მასკარ. რიგიანმა ხალხმა უსწავლელათაც იცის ყოველივე.

მადლონა. (კატოს) რასაკვირველია, ჩემო საყვარელო.

მასკარ. აბა, ყური უგდეთ ამ ხმას. თუ მოგეწონებათ: ჰემ, ჰემ, ლა, ლა, ლა... ამ სიცივებმა ხმა ძალიან წამიხდინეს, მაგრამ არა უშავს-რა, მაინც კაცური ხმაა. (მღერის).

კატო. ოჰ, ალტაცებულნი ხმა არის, მომაკვდინებებელია!

მადლონა. წყობილ სიტყვაობაც ეტყობა.

მასკარ. კარგათ არ არის გამოხატული აზრი ამ სიმღერაში, არიქა ქურდიო?! მერე, თითქო ძალიან ყვიროდეს არიქა, არიქა, არიქა ქურდიო, არიქა ქურდიო. უცებ ვითამ გაკვირვებულმა წამოიძახა ვინმე, არიქა ქურდიო!

მადლონა. აი აქ არის ცოდნა, საქმე როგორ უნდა დაბოლოვდეს. საოცრებაა ესა, მე თქვენ გარწმუნებთ, ალტაცებულნი ვარ სიტყვებისაგან და კილოსაგან.

კატო. ჩემს დღეში ამაზედ უკეთესი არც არა მინახავს-რა, და არც არა გამიგონია-რა.

მასკარ. რასაც ახლა მოვახსენებთ, არაფერი არა მაქვს დასწავლილი, ჩემათ შევთხზე ახლა.

მადლონა. ბუნებას თქვენ ისე ვაუზღიხართ, როგორც ლმობიერს დედას და თქვენა ხართ იმის ნებიერი, შვილი.

მასკარ. თქვენ როგორ ატარებთ დროსა?

კატო. ვერაფრათ. ისე. უქმათ.

მადლონა. აქამდისინ ყოველს გულის ვასართობს საქმეში, დიად მარხული ვიყავით.

მასკარ. თუ გნებავთ, ამ დღეებში წაგიყვანთ თეატრში. მალე ახალი კომედია უნდა ითამაშონ, მე რომ მომეწონა, და თუ გნებავთ ერთათ წავიდეთ საყურებლად.

მადლონა. ძალიან კარგი იქნება.

მასკარ. მაგრამ ეს კი უნდა მოგახსენოთ, რომ ბევრი ტაში უნდა დაუკრათ ხოლმე, როცა იქ იქნებით, რადგან კომედიის დამწერმა მთხოვა მისვლა იმის წარმოდგენაზე და დაფასება იმის თხზულებისა. აქ ისეთი ჩვეულება არის: პირობა აქვთ დადებული მწერლებს გარეშე პირებთან, რომ უნდა მოიტანონ ხოლმე მწერლებმა თავ-თავისი შეთხზულები და წააკითხონ ხოლმე; აი მაგალითად, ჩემთან ხშირად მოიტანენ ხოლმე დასაფასებლად; უნდა წარმოვსთქვა ჩემი აზრი, — კარგია თუ არა ეს თხზულება, და როცა თეატრში დავდივარ — ყოველთვის ვაქვებ ხოლმე; ისე ავამალღებ, კიდევ ვამბობ, რომ ამ კომედიას თავყანი უნდა ვსცეთ მეთქი. თუ თეატრში გაილაპარაკებთ წარმოდგენის დროს — პარტერი გაგაჩუმებსთ.

მადლონა კარგი, დამეხსენით, თუ ღმერთი გწამს! ოჰ, რა მშვენიერი მხარე რამ ყოფილა! ეს პარიჯი, თქვენი პირივეთ! მუდამ დღე ათასნაირი რამ ხდება აქა, რასაც სხვა პროვინციებში ყურადღებასაც არაფინ აქცევს, ძალიან, განათლებულიც რომ იყოს.

კატო. აბა, კმარა! რადგან ჩვენ განათლებული და ნასწავლები ვართ, მოვალეობად დავდებთ—ყოველსავე გამოვენმაუროთ რასაც აქ ახალს იტყვიან ან დასწერენ.

მასკარ. არ ვიცი, იქნება ვსცდები, მაგრამ გეტყობათ, რომ კომედია უნდა დაგეწერათ რაზე.

მადლონა. ეჰ, შესაძლებელია, რასაც ამბობთ, მომხდარიყოს რამე.

მასკარ. ჰო, აბა ვნახოთ ის კომედია, ჩვენში კი დარჩეს, მე რომ შევთხზე ახლა ხანს და მინდა წარმოვადგენინო.

კატო. რომელს თეატრში წარმოადგენინებთ?

მასკარ. რა საკითხავია, რასაკვირველია დიდს თეატრში, მხოლოდ იქ იციან კარგი დაჯასება თხზულებისა. სხვა თეატრში რა იციან? გარდა უბრალო ლაპარაკისა, ლექსების წაკითხვისა არა გაეგებათ—რა: სრულიად ვერას გაიგებთ იმათგან წაკითხულის ლექსებიდან, რადგან ისეთს ადგილას არ ჩერდებიან, სადაც საჭიროა და ამითი ლექსებს ახდენენ ძალიან.

კატო. ერთის სიტყვით, თუ აჩვენეთ სად რა ნაირი ლექსია და როგორი, თვიღან ვერას გაიგებენ?!

მასკარ. როგორ მოგწონთ ჩემი შიშველობა, მოსახდენი ტანისამოსია?

კატო. ძალიან.

მასკარ. ლენტი კარგი არჩეულია?

მადლ. მშვენიერებაა, ნამდვილი ჰერდრიჟონია.

მასკარ. ამაზედ რას იტყვით?

მადლ. კარგი ფერისაა!

მასკარ. შემოძლია დავიკვებო, ძალიან ბევრი ნაკრები აქვს ამისი - ყველაზედ უშეტესი.

მადლ. უნდა მართალი ვსთქვა, არას დროს არ მიწახავს ასეთი მშვენიერი მორთულობა.

მასკარ. აბა ერთი ამ ბელთათმანებს უსუნეთ, კარგი სუნი უდის?

მადლ. ოჰ, მართლაც რა მშვენიერი სუნი უდის!

კატო. ა? ის თანა მშვენიერი სუნელოვანი არა მიწახავს-რა.

მასკარ. რაჟის ფაჟუჟის ამას მიუშეჟსჟ. აბა ახლა ამას უსუნეთ.

მადლ. მეტრს-მეტი მშვენიერი სუნი უდის.

მასკარ. რატომ ამ ჩემის შლიაპის ბუმბულზედ არას იტყვი, როგორ მოგწონს?

კატო. დიდათ მოსაწონია.

მასკარ. რა მიღირს თითო, იცით? ძალიან მიყვარს, როცა ღირეულად დაათვასებენ ხოლმე ჩემ ტანისამოსს.

მადლ. მე და თქვენ ერთნაირი გემოვნებისანი ვყოფილვართ; რასაც ვიცვამ, მინდა რომ შნლიანი იყოს, ჩულქებიც კი წმინდათ მოქსოვილი უნდა იყოს.

მასკარ. (უცხათ დაუყვირჟის) ეს რა ღმერთი გამიწყრა, ჰა, ჰა, ეს რა რიგია თქვენგან, უთუოდ უნდა გიჩვილოთ, როგორ იქნება ესა?

კატო. რა არის, რა დაგემაართათ?

მასკარ. როგორ რა არისო, ორთავემ ერთად შემოძლიეთ ორივე მხრიდან!! ეს ყოველის წესის წინა-

აღმდეგია, ორი რომ ერთს ებრძოდეს, უნდა ვიყვირო, რაც შეიძლება.

კატო. რალაც უცნაურათ ლაპარაკობს ეს კაცი.

მადლ. არა, მშვენიერი კკუის პატრონია, ათასნაირათ აბრუნებს თავის გონებას.

კატო. თქვენ შიში მეტი გქონიათ, გული მეტად უდროოთ გიშფოთდებათ.

მასკარ. როგორ თუ უდროოთაო! ფავიდან ბოლომდის ცეცხლი მეკიდება!

გამოსვლა II.

იგინივე და მაროტა.

მაროტ. ქალბატონო, თქვენა გკითხულობსთ ვილაცა.

მადლ. ვინა?

მაროტ. ვიკონტ დე ჟოდლე ვარო.

მასკარ. ვიკონტი დე ჟოდლეო?

მაროტ. დიახ, ბატონო!

კატო. (მასკარისადეს) იცნობთ იმას?

მასკარ. ჩემი გულითადი მეგობარია.

მადლ. (მაროტისადეს) მოახსენე, მობრძანდეს.

მასკარ. რამდენი ხანია არ გვინახავს ერთმანერთი და დიდათ მოხარული ვარ იმის ნახვით.

კატო. აი, მობრძანდა.

კატო, მადლონა, უოდლე, მასკარილო, მაროტა და ალმანზორ.

მასკ. ოჰ, ვიკონტს ვახლავართ.

უოდ. (ჭეოტინის მასკარილოს) ოჰ, მარკიზო!

მასკ. რა მოხარული ვარ შენის ნახვითა!

უოდ. რა ბედნიერი ვარ აქ რომ გხედავ!

მასკ. ერთი კიდე მაკოცე, თუ ღმერთი გწამს.

მად. (კატოს) ხედავ, ჩვენ თურმე გვიცნობენ აქა. ხომ ხედავ, დაიწყო სიარული ჩვენსა მალაღმა ხარისხის ხალხმა!

მასკ. გთხოვთ იცნობდეთ ამ კეთილ-შობილსა, მერწმუნეთ თქვენი გაცნობის ყოველად ღირსია.

უოდ. თქვენ ღირსნი ბრძანდებით, რომ ჩვენი მოვალეობა შევასრულოთ და გიახლოთ თქვენთან. ისეთი მიმზიდველნი ბრძანდებით ყოველ ხარისხის ხალხისა, რომ ყველანი ვესწრაფებით თქვენს გაცნობას.

მად. ეს მეტის-მეტი პირ-ფერობაა თქვენის მხრით.

კატო. დღევანდელი დღე ჩვენთვის შესანიშნავია და ბედნიერს დღეთაც ჩაითვლება.

მად. (ალმანზორს) ბიკო, რა არის, ყოველთვის რომ უნდა გაზგიმეოროთ ერთი და იგივე, ვერ ხედავ, რომ სივარძელი უნდა მოართვა ამათ?!

მასკ. ვიკონტს ამ მდგომარეობაში რომ ხედავთ, ნუ გიკვირსთ. ამისათვის არის დღეს ფერმკრთალი, რომ ეს არის, მძიმე ავადმყოფობა გამოიარა.

ჟოდ. დიად, სასახლის მიზეზი გახლავსთ; მთელი ღამეები იქ დროს გატარებაში ვადის, ამას გარდა ბრძოლაშიაც ვიღალეები ხოლმე.

მასკ. იცით რა მოგახსენოთ, ქალებო! ეს ვიკონტი ერთი მამაცი მებრძოლთაგანია არის ჩვენის საუკუნისა, ძალიან ყოჩაღი, უშიშარი ადამიანია.

ჟოდ. დიდათ დავალებული ვართ თქვენგან, მარკიზ. ჩვენც კი ვაგვეგება, რისაც ღირსი თქვენა ხართ.

მასკ. მართალია, შემთხვევა გვექონია ერთმანერთის გაცნობისა...

ჟოდ. და მერე ისეთს ქვეყნებში, სადაც მეტის-მეტი სიცხეები იცის...

მასკ. (გაცრის და მადლიანად უყურებს) დიად, მაგრამ ისეთი სიცხე ხომ არ იცის, როგორც აქა, ჰე, ჰე, ჰე, (იღინის).

ჟოდ. ჩვენ ერთმანერთი ომში ვავიციანით და სწორედ იმ დროს, როდესაც ესენი (მასკარადსე უჩვენებს) მალტიის ჯარს უწინამძღვრებდნენ.

მასკ. დიად, მართალსა ბრძანებს; მაგრამ თქვენ უფრო ადრე იყავით დაწინაურებული. კარგათ მახსოვს, ჯერ უბრალო აფიცერი ვიყავი, როდესაც თქვენ ორი ათასი ცხენოსანი გებართ.

ჟოდ. ომი კარგი რამ არის, მაგრამ ეს კი უნდა ესთქვათ, რომ მართებლობა, საუბედუროთ, კარგათ არ აჯილდოებს ჩვენისთანა თავ განწირულებს.

მასკ. მეც ამიტომ ჩამოვეკიდე ჩემი ხმალი ლურს-მანზედ...

კატო. საშინლად მიყვარან სამხედრო კაცები.

მად. მეც მიყვარან ძალიან, მაგრამ მე მინდა, რომ ჭკუა-გონება ეთანასწორებოდეს მამაცობას.

მასკ. გახსოვსთ, ვიკონტო, ჩვენ რომ დროშა წავართვით ჩვენს მტრებს არრასში, ნახევარ მთვარიანი?

ჟოდ. ნახევარი მთვარეო, რათ ამბობ, როდესაც ის მთელი იყო.

მასკ. მგონია, მართალს ამბობთ...

ჟოდ. ოღონდაც რომ უნდა მახსოვდეს, რადგან მაშინ ყუმბარითა ვარ ბარკალში დაქრილი და ეს ქრილობა ახლაც მეტყობა. აბა ერთი ხელი ახელით, ღვთის გულისათვის, შეატყობთ თუ როგორი დაქრილობაც იყო.

კატო. (შეშფეც იშისა, ბაზგაღს რომ გაუშინჯავს) მართლაც და დიდი დაქრილობა ყოფილა.

მასკ. (შადღუნას) მომეცით თქვენი ხელი და აქ მომიკიდეთ, თავის ქალაზედ, გრძნობთ რასმე?

მად. დიად, რაღასაცა ვგრძნობ.

მასკ. უკანასკნელს ომში აქ ვიყავი დაქრილი.

ჟოდ. (გუფს შეიხსნის) აი კიდევ ერთი ქრილობა, სადაც ტყვიამ მკერდში გამიარა გრაველენის ჩხუბის დროს.

მასკ. (შაზგაღს ასწევს მუსჯიან) ახლავ გაჩვენებთ საშინელს დაქრილობას.

მად. ასეც გვჯერა, ნახვია საკირო არ არის, ნუ შეიხსნით ფეხსა.

მასკ. ეს ისეთი ნიშნებია, რომ ადვილად შეიტყობთ, როგორი კაციცა ვარ.

კატო. ვიცით რაცა ბრძანდებით.

მასკ. ვიკონტო, თქვენი ეკიპაჟი აქ არის?

ჟოდ. რათ გინდათ მერე?

მასკ. ქალაქს გარეთ გავიყვანდით სასეირნოთ. და საჩუქრებსაც მივართმევდით.

მად. ჩვენ დღეს ვერ გავალთ შინიდან.

მასკ. დაუკრას მაინც ვინმე, ვითამაშებდით.

ჟოდ. კარგი ფიქრია.

მად. ამისი კი თანახმანი ვართ. ' მაგრამ ცოტანი ვართ და უნდა მოუმატოთ ვინმე კიდევ.

მასკ. ეი, კამპანო, პიკარო, ბურგონიონო, კასკარეტო, ბასკო, ლაფერდურო, ლორენო, პროვანსალო, ლავილეტო. ოჰ, სად ეშმაკებში წავიდნენ ეს მოსამსახურეები! მგონია მთელს საფრანგეთში ამისთანა კეთილშობილი კაცი არავინ არის ისე გაუპატიურებული მოსამსახურეებისაგან, როგორც მე. აბა ჩემისთანა კაცს, დამანებეს თავი ჩემმა მსახურებმა და მარტო გამიშვეს!..

მად. (შეშინდის აღმასივად) აღმაზორ, წადი ამ ბატონის მოსამსახურეებს უთხარი წავიდნენ და სკრიპკის დამკვრელები მოიყვანონ. შენც მოიწვიე ჩვენი მეზობლის ქალები, რომ შევაწოსოთ რიცხვი ჩვენის საზოგადოებისა.

მასკ. (აღმასივად გადასი) ბატონო ვიკონტო, ამ თვალებისას რას იტყვიან?

ჟოდ. არა, თქვენ თვითან რას ფიქრობთ ბატონო მარკიზო?

მასკ. მგონი ჩვენ აქედან თავისუფლათ ვერ გავიდეთ... რაც შეეჩება მე, რალაც ნაირათ ვცახცახებ და ჩემი გული თითქო ბეწვზედა ჰკილია.

მად. რასაც იტყვის, ძალიან კარგათ გამოჰყავს ხოლმე; მეტის მეტი გონივრულია ამათი ლაპარაკი.

კატო. მართლაც რომ დიდი ნიჭი სკირდება ამას!

მასკ. თქვენს დასარწმუნებლად, რომ მართალი ვარ მე, ერთს რასმე მოვიქმედებ (ფიქსმსი).

კატო. გულით გვედრებით, რომ ჩვენთვის შეთხზული ლექსი გაგვაგონოთ რამე.

ჟოდ. მეც ეგა მსურს, მაგრამ ვერა მგონია მოვახერხო, რადგან პოეტური ძარღვი ბევრი სისხლის დენისაგან დაღალული მაქვს.

მასკ. პირველი ლექსი ყოველთვის მშვენიერი გამოდის ხოლმე. ღმერთო ჩემო, მეტის მეტი დაჩქარებაა; უცებ შემიძლია, როცა მცალია, შეგითხოვოთ ლექსი, რომ საუკეთესოთ მიგაჩნდეთ მთელს ქვეყანაზედ.

ჟოდ. დემონის კკუა აქვს ამას.

მად. ძალიან ზდილოპიანი ყმაწვილია და ძალიანაც მოხერხებული.

მასკ. მითხარით ერთი ვიკონტო, რამდენი ხანია რაც ჩვენი მეგობარი გრაფინა არ გინახავს?

ჟოდ. სამ კვირაზედ მეტი იქნება, ვიზიტი მმართველს და აქამდისინ ვერ გადაუხადე.

მასკ. იცით, ამ დილას მნახა პრინცმა და მოხოვა, რომ წავყოლოდი ირმის სანადიროთ.

მად. აგერ, ჩვენი მეგობრებიც მობრძანდებიან.

მეზობლის ქალები: ლუსილა, სელიმენა, კატო, მადლონა, მასკარილლ, უოდლე, მაროტა, ალმანზორ და სკრიპკის დამკვრელნი.

მად. დიდათ უკაცრავათა ვარ თქვენთან, ქალებო, ამ ყმაწვილმა კაცებმა მოინდომეს ჩვენი მხიარულება და ამისათვის შეგატყობინეთ მობრძანებულიყავით, რომ შეგემატებინათ ჩვენი რიცხვი.

ლუს. დიდათ დაგვაფალეთ.

მასკ. უცებ გამართული ბალი გახლავსთ ახლა და ამ დღეებში კარგს ბალს გაუმართავთ. სკრიპკის დამკვრელნი მოვიდნენ?

ალ. დიად, გიახლენ!

კატო. აბა, გთხოვთ დაბრძანდეთ.

მასკ. (მასკარადილ თავისთავინ, მარტო ტანცაობს) ლა, ლა, ლა, ლა, ლა, ლა.

მად. სწორეთ მოხდენილი ტანადობა ჰქონია ამას (მასკარადილზედ).

კატო. ტანცაობაც მშვენიერი სცოდნია.

მასკ. (მადლანას აიუყანს სცტანცაობა) ჩემს გულმართლობასაც ფეხებს ავაყოლებ. აბა, ზომით, სკრიპკებო, ზომით. ოჰ, ამათ სულ არა სცოდნიათ რა. ჯანაბამდინ გივლიათ თქვენის სკრიპკებითა, აბა ასე დაუკარით, (მდეგის): ლა, ლა, ლა, ლა, დაიკარგეთ იქით!

უოდ. ნუ ჩქარობთ, თქვე დალოცვილებო, ნაავათ-მყოფარი ვარ, ჩქარი ტანცაობა არ შემიძლია.

ბამოსვლა 14.

დიუკრ, ლაგრანჟე, იგინივე და მაროტტა (ალმანს. ცაწდა)

ლაგრ. (დიდის კეტისა) შეხე ამ მხეცებს ამათა, ამ წყეულებსა, სადა ჰყრიან! რას აკეთებთ აქა? სამი საათია რაც დაგეძებთ.

მასკ. (ბატონი სტემს) ოჰ, ოჰ! თქვენ არ გითქვამთ, დალოცვილო, ჩემთვის, რომ გცემ კიდეცაო.

ჟოდ. ოჰ, ოჰ, ოჰ, (ჟოდლესაც სტემენ)

ლაგრ. ჰაი თქვე ყურუმსალებო, საძაგლებო თქვენა! გინდოდათ განა დიდ კაცებათ გეჩვენებინათ თავი, ჰა!

დიუკ. აი ეს მოგარჯულებსთ თქვენა, აი! (სტემს რაც შეუძლია).

ბამოსვლა 15.

იგინივე, დიუკრეზისა და ლაგრანჟეს ცაწდა

მად. ეს რა ამბებია, თქვენი კირიმეთ?

ჟოდ. დანიძლავებული ვიყავით ერთმანეთთან.

კატო. რაო, მერე აგრე აცემინებთ თქვენს თავსა?

მასკ. ღმერთო ჩემო, არ მინდა შევიმჩნიო რამე, თორემ ძალიან აპრიალება ვიცი და რომ გავცხარდე!..

მად. მაგისთანა შეურაცხყოფის ატანა, და მერე ჩვენთან!

მასკ. ეს არაფერია! დიდი ხანია ჩვენ ვიცნობთ ერთმანეთს და მეგობრობაში ამისთანა უბრალო რაზედმე კაცი არ უნდა შეფუცხუნდეს.

ივინივე, დიუკრუაზი და ლაგრანჟე.

ლაგ. ჩვენ კი ველარ დაგვცონებთ, დავიფიცავ. აბა, შემოდით ყველანი. (შემოდის ორი თუ სამი ქუჩის ბიჭი მცემლები)

მად. როგორ ჰბედავთ, რომ ჩემს სახლში თავისუფლათ შემოდინხართ და რევთ აქაურობასა?!

დიუკ. როგორა, ქალბატონებო, დიად, ჩვენ ავიტანთ ამას, რომ ჩვენი მოსამსახურეები ჩვენზედ უკეთესად იყვნენ მიღებულნი, გაგიაჩუყდნენ თქვენა და ბალებსაც გიმართვენ ჩვენს ხარჯზედ?

მად. თქვენი მოსამსახურეები?

ლაგრ. დიად, ჩვენი მოსამსახურეები გახლავან, და არც კარგი და პატიოსანია თქვენგნით იმათი გარყვნა.

მად. ოჰ, ღმერთო დიდებულო, რა შეურაცხყოფაა ეს ჩვენი!

ლაგ. ჩვენის ტანისამოსით რომ ხედავთ ახლა ამათ, მერე კი ველარ იხილავთ! თუ გნებავთ მაგათი სიყვარული, უტანისამოსოთაც შეგიძლიათ გიყვარდნეთ. (მოსამსახურეებს) გადით იქით, გაიხადეთ საჩქაროთ.

ჟოდ. მშვიდობით ჩვენო დარბაისლობავ, დიდკაცობავ!

მასკარ. აი ჩვენი მარკიზობა და ვიკონტობაც გადაყენებული!!

დიუკრ ჰაი, თქვე საძაგლებო! როგორა ბედავთ ჩვენის ტანისამოსით მათთან არშიყოზას! მე თქვენ გრძენებთ სეირსა და გასწავლით, თუ სად უნდა წახვიდეთ და რანაირათაც გეკუთვნისთ ამ გვარს ქალებთან თავის დაჭერა.

ლაგრ. მეტის მეტია ჩვენი ასეთი წარპოდგენა, ისიც ჩვენისავე ტანისამოსით.

მასკარ. ოჰ, განგებაო, რა დაუდევარი რამ ხარ!

დიუკრ. საჩქაროთ გაიხადეთ ტანისამოსი.

ლაგრ. გაიტანეთ გარეთ ეგ ბარგი-ბურგი. ჩქარა. ახლა კი ამ გვარ ტანისამოსით, როგორც ესენი არიან, ინებეთ თქვენი არშიყოზის გაგრძელება, სანამ მოგწონდესთ; სრული თავისუფლება მოგვიცია თქვენთვის. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, — მე და ჩემი მეგობარი არ ვიქნებით თქვენი არშიყოზის რაყიფები.

ბამონსვლა 17.

მადლონა, კატო, მასკარილლ, უოდლე, სკრიპკების დამკვრელნი.

კატო. ოჰ, რანაირათ შევერცხვით!

მადლ. ჯავრით ლამის გული გაჰისკდეს!

ერთი სკრ. დამკვრელი. რა აშბავია ესა, ვინ მოგეცემს ახლა ჩვენს ქირასა?

მასკ. ბატონს ვიკონტსა სთხოვეთ.

ერთი დამკვრელი. (ქაღალეს) უულებს რომელი ერთი გვაძლევთ?

უოდ. ბატონს მარკიზსა სთხოვეთ.

გამოსვლა 18.

იგინივე და გორჯიბუსი.

გორჯ. ოჰ, თქვე საძაგლებო, თქვენა, ამას რასა ვხედავ, რა მესმის! იმ ყმაწვილმა კაცებმა საზარელი ამბები მითხრეს თქვენზედ!

მადლონა. ოჰ, მამა-ჩემო, საზარელი შეურაცყოფა მოგვაყენეს იმათ.

გორჯ. ოღონდაც, რომ საზარელი, სწორეთ! მაგრამ ეს სულ თქვენი ჯიუტობის ბრალია, თქვე საძაგლებო! იმათ გადაგიხადეს რაც თქვენ უპატიურება მიაყენეთ. ვაი ჩემს უბედურობას, რომ გამიმწარეთ თქვენ სიკოცხლე.

მადლონა. უსათუოდ გადაუხდით, თუ არა და ჯაფრით მოგვედები! თქვენა! თქვე ავაზაკებო, კიდევ ბელავთ აქ ყოფნასა?!

გამოსვლა 19.

გორჯიბუს, მადლონა, კატო და სკრიპკების დამკვრელნი.


ერთი სკრიპ. დამკ. ჩვენ ველით, რომ ქირა მოგვეცეს, რაც აქ ჯათა გავსწიეთ.

გორჯ. (სკრიპ. დამკ. სტეპის) დიად, დიად, აი ახლავე მოგცემთ! აი ის ფულები, თქვენ რომ გერგებათ! (ქაღებს) თქვე სათოკენო, არ ვიცი რას გიზავთ, ლამის თქვენც ასე გაგტყვობთ. რას იტყვის ჩვენზედ ხალხი? სასაცილოდ აგვიგდებენ, რაზდენს კორს იტყვიან ჩვენ-

ზედ! ეს სულ თქვენი სისულელის, უგუნურობის და სიგიჟის ბრალია. თქვე კრანკია ქალებო, დაიკარგეთ აქედან, თავი არსად გამოჰყოთ არას დროს ქვეყანაზედ, თორემ შავს ღღეს დაგაყენებთ. (ქაღუისი გადაინ) რაც რაჲ იპათი სისულელის მიზეზი ხართ, უსაქმო გონიერების დროს-გამტარებელნო, რომანებო, ამბებო, ლექსებო, შაირებო, ანდაზებო, დრამებო, კომედიებო --სულ თქვენის კითხვითა აქვსთ თავები გამოტენილი და ვინ იცის, რა ოხრობას არ ჩადიან... ოჰ, ყველას ერთად ჯანაბაჰდისაც გივლიათ!!.

(ფარდა დაეშეება.)

ელ. ლორთქიფანიძისა.



ს ა რ ჩ ე ვ ი:

კრიუანგი	83
სკაპენის ცუღლუტობა	103
პრანჟია ქაღები	185